ალია
N42 2972/ 20 მარტი 2014 წ ფასი 70 თ
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
გამოდის 1995 წლიდან
WWW.ALIA.GE

# თამარ კინწურაშვილი და ლევან გახელაძე ერთმანეთს დაერივნენ

## რა უპასუხა გიორგი მარგველაშვილმა ბიძინა ივანიშვილს



## ვინ გაავრცელა „ქვანიას ვიდეო“, რატომ ახლა და რა „დოსტუპი“ ჰქონდათ ვიდეოკადრებთან



## 13 მაისს საქართველოში საფრანგეთის პრეზიდენტი ჩამოდის



13 მაისს საქართველოს საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი ეწვევა. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ, მაია ფანჯიკიძის განცხადებით, საფრანგეთის პრეზიდენტის ვიზიტის დეტალები და პროგრამა ზუსტდება. ამასთანავე, მაია ფანჯიკიძემ აღნიშნა, რომ გაზაფხულისთვის საქართველოში არაერთი მაღალი დონის ვიზიტი შედგება. (ინტერპრესნიუსი)

## ბურჯანაძის პარტიამ და „ქდმ“-მ ალიანსი შექმნეს




## რა არ თქვა ბიძინა ივანიშვილმა „იმედის“ პირდაპირ ეთერში მარგველაშვილზე?!



## ბარამიძე „ქვანიას ვიდეოს“ გავრცელების მიზეზს ასახელებს



„ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატის გია ბარამიძის განცხადებით, მთავრობას პოლიტიკურად გაუჭირდა და გარდაცვლილი ზურაბ ჟვანიას ფოტოები სწორედ ამის გამო გაასაჯაროეს.

საპარლამენტო უმცირესობის დეპუტატი მთავრობას მოუწოდებს, ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით ხალხის მოტყუება შეწყვიტოს.

„უნდა შეწყდეს პოლიტიკური სპეკულაციები და სიმართლე უთხრან ხალხს, ეს თემა იმიტომ შემოაგდეს, რომ პოლიტიკურად გაუჭირდათ, ძალიან დიდი დაპირისპირებაა ახლა მათ გუნდში და ამ თემის გადასაფარად დასჭირდათ ამ ფოტოების გავრცელება, მაგრამ სიმართლე არ დაიმალება. მე მოვუწოდებ მთავრობას, შეწყვიტონ ხალხის მოტყუება, რაც კარგად ეხერხებათ და რითაც მოვიდნენ ხელისუფლებაში. იმედი მაქვს, რომ ყველაფერი მალე გაირკვევა. ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების „ნაციონალური მოძრაობისთვის“ დაბრალება იმ ხალხის გათვლა იყო, ვინც საქართველოს ინტერესებს ებრძვის. ის, რომ ვიღაცამ რაღაცა დაგვაბრალა, არ ნიშნავს, რომ ფარ-ხმალი უნდა დაგვეყარა და შეგვეწყვიტა იმ საქმის კეთება, რასაც თავად ზურამ შესწირა თავი. ჩვენ რომ გამოძიებისთვის უნდობლობის გამოცხადების საფუძველი გვქონოდა, ხელისუფლებიდან წავიდოდით, მაგრამ ეს ასე არ ყოფილა“.

მისივე თქმით, გავრცელებული ფოტოები გამოძიების საკუთრებაა და მას აქამდე არ უნახავს. (პირველი)

## „მხედრიონელები“ და ვეტერანები უკრაინაში საომრად ემზადებიან



## მსოფლიო წესრიგი დამთავრდა, საერთაშორისო სამართალი აღარ მუშაობს!



## უკრაინის ხელისუფლებამ ყირიმიდან მოსახლეობის ევაკუაცია დაიწყო



ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ნაცმოძრაობას“ თავსმოხვეული ოპოზიცია უწოდა



პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ, საპარლამენტო უმცირესობის წევრებს თავსმოხვეული ოპოზიცია უწოდა.

„ნამდვილად ვიზიარებ, როგორც საზოგადოების არაერთი წევრი, იმ აზრს, რომ თავსმოხვეული ოპოზიციაა ნამდვილად დღეს „ნაციონალური მოძრაობა“. ის, რაც განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა, არის საზოგადოების აზრი. 2012 წლის არჩევნები მეტად სამართლიან გარემოში რომ ჩატარებულიყო, დამერწმუნეთ, თქვენ აქ არ ისხდებოდით, ვინაიდან არ გქონდათ საზოგადოების ნდობა არც მაშინ და არც – ახლა. ამიტომ თავსმოხვეული ოპოზიცია ბრძანდებით და ნუ გეწყინებათ“, – განაცხადა კობახიძემ.

მისივე თქმით, „ნაციონალურ მოძრაობას“ უკვირს, ივანიშვილი პრეზიდენტს რომ აკრიტიკებს, თუმცა ის უფრო გასაკვირია, „ნაციონალური მოძრაობა“ არათუ არ ემიჯნება, ვერ ახერხებს, გააკრიტიკოს სასამართლოს მიერ დამნაშავედ აღიარებული ვანო მერაბიშვილი, ბაჩო და დათა ახალაიები.

„თქვენ გაამართლებთ მეგის ქარდავასაც, კოხტა კოდუასაც და კიდევ ბევრ ადამიანს. თქვენ კრიმინალებს ვერ აკრიტიკებთ და რა თქმა უნდა, გიკვირთ, როდესაც ყოფილი პრემიერი ახერხებს იმას, რომ თავისი გუნდის წევრი გააკრიტიკოს. ეს არის დემოკრატიის მანიშნებელი. თქვენ ვერ ახერხებთ, მიხეილ სააკაშვილი გააკრიტიკოთ და ამიტომ გეშინიათ იმ ყველაფრის, რასაც ბიძინა ივანიშვილი აცხადებს. ძალიან მაინტერესებს, როგორი პასუხები გექნებათ იმაზე, რაც გაცხადდა ადეიშვილის ან იგივე ახალაიას მიმართ. ადეიშვილის ჩვენება, რომელიც უგულავას ადვოკატმა გაასაჯაროვა, არ არის ჩვენება თქვენს წინააღმდეგ?“ – განაცხადა კობახიძემ. (ინტერპრესნიუსი)



# ბურჯანაძის პარტიამ და „ქდმ“-მ ალიანსი შექმნეს

## რას აპირებენ ბაღათურია და კუკავა?

**ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიულმა მოძრაობამ და „ქრისტიან-დემოკრატებმა“ ალიანსი შექმნეს. მანამდე საუბარი იყო, რომ ბურჯანაძეს პარტიასთან ალიანსში უნდა შესულიყვნენ კუკავას „თავისუფალი საქართველო“, ბაღათურიას „ქართული დასი“ და „ახალი მემარჯვენეები“.**

**ამ ცოტა ხნის წინ ჯონდი ბაღათურია და კახა კუკავა აცხადებდნენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ „ქდმ“ ალიანსს შეუერთდებოდა, მაშინ ისინი ამგვარ გაერთიანებაზე უარს იტყოდნენ. დრო კი ნამდვილად ცოტა რჩება.**

„ალია“ კომენტარისთვის **ჯონდი ბაღათურიას** დაუკავშირდა:

– არავითარი დიალოგი ბლოკის გარეთ კოალიციის შექმნაზე არ მქონია არც „ახლებთან“, არც თორთლაძესთან და არც „ქრისტიან-დემოკრატებთან“ და არც დავითაიასთან. დიალოგი გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ „ბურჯანაძე-დემოკრატებთან“ და „თავისუფალ საქართველოსთან“. ჩვენი ბურჯანაძესთან დიალოგი შემდეგ ეტაპზეა: კონცეპტუალურად შევთანხმდით, რომ სურვილი გაერთიანებისა არსებობს ორივე მხრიდან, შემდგომში „ბურჯანაძე-დემოკრატებთან“ გავიარეთ დეტალები და არ აღმომიჩენია შემაფერხებელი ბარიერები, რამაც უნდა შეაფერხოს კოალიციის შექმნა. ჩვენ გვაქვს ასეთი არჩევანი, ან გავერთიანდებით და ერთად ვიბრძოლებთ გამარჯვებისათვის, ან უნდა ვიკინკლაოთ მესამე და მეოთხე ადგილებისთვის, რაც, ჩემი აზრით, მაინცდამაინც ჭკვიანური გადაწყვეტილება არ არის. ამიტომ, არასაპარლამენტო ოპოზიციის ჯანსაღი ნაწილის გაერთიანების, ვისაც ასევე ჯანსაღი ელექტორატი ჰყავს, ხელისშემშლელ ბარიერს ვერ ვხედავ და ასეთი გაერთიანება მაღალი ალბათობით უნდა შედგეს. თუმცა, გამორიცხული არაფერია და ეს უკვე ჩვენზე არ იქნება დამოკიდებული. ჩვენ თანხმობა განვაცხადეთ გაერთიანებაზე, მათ შორის, იმ დეტალებთან დაკავშირებითაც ვუთხარით ბურჯანაძეს, მაგალითად, ეს ეხება პროპორციებს სიებში, ახლა უნდა მოხდეს საბოლოო შეთანხმება და ველოდებით, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ ჩვენი კოლეგები. ვიმეორებ, არანაირი კონსულტაცია არ გვაქვს „ქრისტიან დემოკრატებთან“ და დანარჩენ სხვასთან, არც „ლეიბორისტებთან“, თუმცა კუკავას ჰქონდა „ლეიბორისტებთან“ დიალოგი, რაც თვალშისაცემი შედეგებით არ დასრულებულა.

**— დრო ცოტა რჩება და რამე ცვლილებას უნდა ველოდოთ ამ პერიოდში?**

– აბსოლუტურად გეთანხმებით, დრო მართლა ცოტაა, უკეთესი იყო ნაადრევად ჩამოვყალიბებულიყავით.



ამ ერთ კვირაში უნდა იყოს მიღებული ასეთი გადაწყვეტილება, ან ვერთიანდებით ყველა და ვიბრძვით ყველანი ერთად „ნაცების“ საერთოდ პოლიტიკიდან გასაქრობად და გამარჯვებისათვის, ან ერთმანეთს უნდა ვებრძოლოთ ადგილების გასაყოფად და ხომ გესმით, რომ სხვა არჩევანი არ გვაქვს? ამიტომ „ალიას“ დახმარებით ვაცხადებ, ჩვენ თანხმობა განვაცხადეთ გაერთიანებაზე და ახლა ველოდებით მათ აზრს. რაც შეხება „ქართულ დასსა“ და „თავისუფალ საქართველოს“, ჩვენს შორის დეტალებზე ყველა შეთანხმება მიღწეულია, მაგრამ კოალიციის შემთხვევაში, „ბურჯანაძე-დემოკრატების“ აზრიც მოსასმენია, ხომ? მოკლედ, ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც შეიძლებოდა, გაგვეკეთებინა ამ ერთობისთვის.

**— შანსი არსებობს, რომ თქვენ და კუკავა ცალკე დარჩეთ?**

– ეს იქნება დიდი ინტელექტუალური შეცდომა, თუკი დავუშვებთ, რომ ერთმანეთს შევეჯიბროთ და ხმები გავყოთ. არსებობს ოპოზიციის ოპოზიცია და მისი ფუნქციაა ხმების გაყოფა და სატელიტ პარტიებს, რომელიც მიშას ჰყავდა, სწორედ ეს ფუნქცია ჰქონდათ არჩევნების დროს – ხმების გაყოფა. ამ შემთხვევაში ხმები კი არ უნდა გაიყოს, უნდა შეერთდეს და ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი, ეს გვინდა.

**მამუკა კაციტაძე, „ახალი მემარჯვენეები“:**

– მას შემდეგ, რაც დამთავრდა საპრეზიდენტო არჩევნები, იმთავითვე გვქონდა პოზიცია, რომ არასაპარლამენტო პოლიტიკურ პარტიებს შეგვექმნა დიდი და ძლიერი გაერთიანება კოალიცია-ბლოკი, მერე ზოგი ისე დაწყვილდა და ზოგი ასე. ჩვენ დღესაც ვაფიქსირებთ ამ შეთავაზებას და მზად ვართ თანამონაწილეობა მივიღოთ დიდი პოლიტიკური კოალიციის ჩამოყალიბებაში და ველოდებით მზაობას პარტიების მხრიდან. ვიღაცა ვიღაცასთან ლაპარაკობს, მესმის, რომ აცხადებენ, მზად ვართ დიდი ერთობისთვისო, მაგრამ პრაქტიკულ ნაბიჯებს ვერ ვხედავ. ამიტომ, ჩვენ მომავალი კვირის დასაწყისში ყველას მივმართავთ, რომ საბოლოოდ ვთქვათ ჩვენი პოლიტიკური პოზიცია დიდ პოლიტიკურ ერთობასთან დაკავშირებით. მე ვაპირებ ორშაბათს ეს მიმართვა გავგზავნო ყველა მიმართულებით და საბოლოო პასუხის დაფიქსირება ვთხოვო ყველა პოლიტპარტიას. ანუ, ვისაც მარტო უნდა გასვლა, გავიდეს, ვისაც წყვილი უნდა, იყოს წყვილში და ვისაც ჩვენსავით დიდი ერთობა უნდა, ვიქნებით ერთად და პოზიციას დავაფიქსირებთ.

**— წყვილი ახსენეთ და შეიქმნა ეს წყვილი: ბურჯანაძისა და „ქდმ“-სი.**

– (გაღიზიანებული) თუ წყვილი შეიქმნა, მურმანის ეკალი ვერ ვიქნები! მივიდეთ და კარი ვუმტვრიოთ, ჩვენც შემოვდივართ-თქო? თუ ამბობს, რომ მეტი არავინ გვინდაო, ბუნებრივია, ამას ვერ ვიზამთ და თუ ამბობს, დიდი ერთობა იყოსო, ძალიან კარგი, თქვას და ჩვენ მზად ვართ. მესმის, რომ ბევრ პარტიას უნდა იყოს ერთობაში, მაგრამ ეს სურვილი არის ორმხრივი და მრავალმხრივი და ეს გასაგებია, თუ ვიღაცისთვის იქნება ჩვენი პარტია მიუღებელი, ჩვენ გავაგრძელებთ ცხოვრებას ასეთი პარტიების გარეშე.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გუდაური-კობის გზის მონაკვეთზე შეზღუდვებია



მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური-კობის მონაკვეთზე ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით.

გუდაური (ფოსტა)-კობის მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა ზვავდამცავი გვირაბების გავლით განხორციელდება. მისაბმელიანი, ნახევრად მისაბმელიანი ავტოტრანსპორტისა და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა გვირაბებში ცალმხრივად განხორციელდება. აღნიშნულ მონაკვეთზე ავტომანქანების მიმოსვლისას მათი გაჩერება იკრძალება. (ინტერპრესნიუსი)

## „კრაკადილის“, „ჯეფის“, „ვინტის“ მოხმარება აღარ აღინიშნება



ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს განცხადებით, ახალი რეგულაციების ამოქმედების შემდეგ „კრაკადილის“, „ჯეფის“, „ვინტის“ მოხმარების შემთხვევები პრაქტიკულად აღარ აღინიშნება. მისივე ინფორმაციით, „ნებისმიერი ქმედება არის ზიანის შემცირებისკენ და არა მყისიერი გაქრობისკენ მიმართული. ამ რეგულაციების შემოტანამ საშუალება მოგვცა, რეალური სურათი დაგვენახა, თუ რა ხდება. რაც შეეხება ნარკოტიკული თრობის შემთხვევებს. სუროგატული ნარკოტიკების, „კრაკადილის“, „ჯეფის“, „ვინტის“ მოხმარების შემთხვევები ან ძალიან მნიშვნელოვნად არის შემცირებული ან პრაქტიკულად აღარ აღინიშნება. ბაკლოფენი, ბაკლოსანით გამოწვეული ფსიქოზების შემთხვევები ბოლო თვის სტატისტიკაში არ დაფიქსირებულა“, – აღნიშნა სერგეენკომ. (ინტერპრესნიუსი)



იმთან დაკავშირებით მდგომარეობა და გამოცხადდა მობილიზაცია. დამოკიდებულება და განწყობა იყო ისეთი, როგორიც უნდა ჰქონდეს საომარ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას, რომელსაც ებრძვის გავეშებული საბჭოთა რუსეთი. ჩვენი მასპინძლები იყვნენ ჩვენი მეგობრები, „უნა უსოს“ წევრები, ჩემი და ჩვენი თანამებრძოლები აფხაზეთში. რამდენადაც მე მახსოვს, აფხაზეთში 14 კაცია დაღუპული და 7 კონკრეტულად „უნსოს“ ბიჭები. 6 გვარი აქ, გმირთა მოედანზეა ამოტვიფრული და ერთი რუსებმა სოხუმში, საფლავშივე ააფეთქეს. ჩვენი თანამებრძოლი „უნა უსოს“ აფხაზეთში იცავდა საქართველოს ტერიტორიულ ერთიანობას რუსებისგან, მათი დევიზი იყო: „თუ რუსეთი არ გაჩერდება გუმისთაზე, მოგვიწევს მათი შეჩერება დნეპრზე“. აი, ამ განწყობით იყვნენ იქ ჩამოსულები.

**— რა გითხრეს, უკრაინის ოფიციალური განწყობა როგორიაო, სჭირდებათ ქართველებისგან დახმარება?**

– მათ არ მოუთხოვიათ ქართველებისგან დახმარება

– მე ვარ არასამთავრობო ორგანიზაციის დამფუძნებელი, ვარ ვეტერანი და ჩემს განცხადებებში, ქმედებებსა და გადაწყვეტილებებში გაცილებით თავისუფალი ვარ, ვიდრე პოლიტიკოსები. მათ მეტი სიფრთხილე და წინდახედულება მართებთ, დარწმუნებული ვარ, რომ მათი განწყობაც ადეკვატურია იმისა, რასაც ეს საზიზღარი, სისხლიანი რუსეთი აკეთებს უკრაინის მიმართ. კრემლი თვისი პუტინითურთ მთელი კაცობრიობის მტერია. დარწმუნებული ვარ, რომ მათ ეს ყველაფერი გათავისებული აქვთ, მაგრამ ფრთხილი პოზიცია უკავიათ, იმიტომ რომ ისინი პოლიტიკოსები არიან და მათ მეტი მოეთხოვებათ ვიდრე, მე, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს.

მე ვფიქრობ, ხელისუფლებამ მაქსიმალურად უნდა მოსთხოვოს იგივე ევროკავშირსა და ამერიკას, ცივილიზებულ სამყაროს, რომ შეაჩეროს ეს გავეშებული რუსეთი, ვინაიდან რუსეთი არ არის მარტო უკრაინის, მოლდოვის, ყაზახეთის საფრთხე. ჩვენ არ ვიცით, ის ხვალ ან ზეგ რა გადაწყვეტილებას მიიღებს და მისი მადა როგორი იქნება, ან რას გადაწყვეტს საქართველოსთან მიმართებაში, მით უმეტეს, ცხინვალი და აფხაზეთი, რომელიც უკვე ცნო დამოუკიდებლად, შესაძლოა, არ იკმაროს და „მემარჯვენე“ სექტორის ხელმძღვანელი, ჩამოვიტანე ძალიან ბევრი და ძალიან მყარი ინფორმაცია. ჩვენ არასამთავრობოებმა გავაკეთეთ აქცია უკრაინის საელჩოსთან, სადაც ყოფილი სამხედრო მეთაურები, ბატალიონის, ბრიგადის მეთაურები და მეომრები, არასამთავრობო ვეტერანული ორგანიზაციები ვიდექით და მხარდაჭერას ვუცხადებდით უკრაინას რუსეთთან ბრძოლაში. როდესაც უკრაინაში, მაიდანზე, ცნობილი მოვლენები დაიწყო, ჩვენ უკვე მზად ვიყავით, რომ ჩავსულიყავით და მაიდანი ჩვენს თანამებრძოლებთან ერთად დაგვეცვა, მაგრამ, როცა დავუკავშირდი, მითხრეს, რომ აეროპორტიდან არ შეგვიშვებდნენ, ვინაიდან იანუკოვიჩი „ბერკუტს“ აკონტროლებდა და ტერორისტებად აგვიყვანდნენ. როდესაც მდგომარეობა იმის ადეკვატური გახდა, რომ ჩვენ ჩავსულიყავით, მაშინვე ჩავედით. ჩამოსვლისთანავე სხვადასხვა სამხედრო შენაერთის მეთაურები, წევრები და ვეტერანული ორგანიზაციის წევრები მზადყოფნას გამოთქვამდნენ, რომ დახმარებოდნენ უკრაინას, თუკი დასჭირდებოდა.

**— რამდენი კაცია თანახმა, უკრაინაში წავიდეს, თუ ეს საჭირო გახდება?**

– ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, გარკვეული

# „მხედრიონელები“ და ვეტერანები უკრაინაში საომრად ემზადებიან

უკრაინიდან დაბრუნებული „მხედრიონის“ ყოფილი ლიდერი, დოდო გუგეშაშვილი აცხადებს, რომ კიევში ყოფნისას ის შეხვდა „სახალხო ლაშქრის“ წარმომადგენლებს და ომის შემთხვევაში „მხედრიონი“ უკრაინაში იომებს, რადგან „ჩვენ მათთან სისხლით ვალში ვართ“.

**„ალიას“ „ომისა და ვეტერანების ორგანიზაცია „პატრიოტის“ ხელმძღვანელი, დოდო გუგეშაშვილი ესაუბრა:**

**— ქალბატონო დოდო, უკრაინაში ვის შეხვდით კონკრეტულად?**

– ჩვენ, სანამ მობილიზაცია გამოცხადდებოდა, მანამდე რამდენიმე დღით ადრე ჩავედით. მერე უკვე ძალიან გართულდა ყირ- და საერთოდ არავის არ მოუთხოვია. ვინაიდან, ანალოგიურ სიტუაციაში, ისინი აფხაზეთში იყვნენ ჩამოსულები და გვერდში ედგნენ საქართველოს, სხვა სამხედრო შენაერთის ვეტერანებმა გამოთქვეს სურვილი და მზადყოფნა საიმისოდ, რომ თუ საჭირო იქნება ექიმები, საველე პირობებში მიხმარება ან სპეციალისტების დახმარება, საქართველოს სხვადასხვა სამხედრო შენაერთის ვეტერანები მზად არიან, სათანადო დახმარება გაუწიონ, თუმცა ამაზე ჯერჯერობით საუბარი არ მიმდინარეობს, ვინაიდან მათ ასეთი რამ არ მოუთხოვიათ.

**— საქართველოს ხელისუფლება იქ არც კი ჩასულა, ეს პრობლემებს არ ქმნის ორ მეგობარ ქვეყანას შორის? რამე თქვეს ამაზე?**

კიდევ სხვა მიმართულებით დაიწყოს ფიქრი. მე ვფიქრობ, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ვეტერანებმა ჩვენი სიტყვა უნდა ვთქვათ, თუკი საჭირო იქნება და იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ, თუ სახელისუფლებო დონეზე საჭირო გახდება დახმარება, საქართველო ამ დახმარების ხელს უკრაინელებს აუცილებლად გაუწვდის.

**— როდესაც უკრაინიდან თქვენი თვალით ნანახი მდგომარეობა ჩამოუტანეთ თქვენს მეგობრებს, რა გითხრეს?**

– იქ ჩემს თანამებრძოლებს შევხვდი, „უნა უნსოს“ ბიჭებს, სხვადასხვა ფორმირების მეთაურებს. შევხვდი იაროსს, რომელიც არის მონახაზი გავაკეთეთ ექიმებისა და საველე ფერშლებისა, მათი გამოცდილების მიხედვით. ყოველდღიურად იზრდება უკრაინაში წამსვლელთა რიცხვი. შემიძლია გითხრათ ერთი, რომ ეს რაოდენობა არ არის არც ცოტა და არც ძალიან ბევრი. დღეის მონაცემებით, დაზუსტებული არ არის, მაგრამ ყოველდღიურად იზრდება. მთავარია ერთი, როდესაც ერთად შეებრძოლები ამ სისხლიან ეშმაკს, ვფიქრობ, საქმე უფრო გამოვა, თუმცა არ ვიცი, ამის აუცილებლობა დადგება თუ არა.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რა უპასუხა გიორგი მარგველაშვილმა ბიძინა ივანიშვილს



საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის მიერ მისი მისამართით გაკეთებულ კრიტიკულ განცხადებებს გამოეხმაურა.

„ბიძინას კომენტარები, მისი დამოკიდებულება ჩემს მიმართ ჩემთვის მართლაც მნიშვნელოვანია. ვაფასებ მას, მაღალი შეფასება მაქვს, მისი აზრი მნიშვნელოვანია ჩემთვის. ეს დამოკიდებულება, ის, რომ ხდება ჩემი კრიტიკა, ჩემთვის მაინცდამაინც სასიამოვნო არ არის. ამასთან ერთად, ბიძინამ ისაუბრა, რომ იყო გარკვეული თემები, რომლებზეც ჩვენ ბოლომდე ვერ შევთანხმდით. იყო ინტენსიური მსჯელობები, თუმცა, ის, რასაც განვიხილავდით, ამის საჯაროდ გამოტანას არ ვაპირებ ერთი მიზეზით – ეს არის ჩემსა და ბიძინას შორის ურთიერთობები და არა ურთიერთობები ჩემი მედიის მეშვეობით ბიძინასთან. რა თქმა უნდა, ჩემთვის მტკივნეულია, მნიშვნელოვანია მისი შეფასებები და შენიშვნა“. – განაცხადა მარგველაშვილმა.

„ბიძინას დამოკიდებულება ამ საკითხთან (პრეზიდენტის რეზიდენციაში გადასვლასთან დაკავშირებით. – „ალია“.) მიმართებაში ან ჩვენი დისკუსია ამ საკითხზე რჩება ჩვენი ურთიერთობის ნაწილად, რომლის განხილვას არ ვაპირებ. რაც გვისაუბრია მე და ბიძინას, ამის გარეთ გამოტანას არ ვაპირებ. ამის სრული უფლება მაქვს, რადგან ეს არის ორ ადამიანს შორის ურთიერთობა. ჩემი არგუმენტი აქ გადმოსვლასთან დაკავშირებით უკვე გაკეთებული მაქვს. იმ პირობებში, რომელშიც დავიწყეთ მუშაობა დ იმ გეგმებში, რომელშიც ამ მიმართულებით იყო დალაგებული, გარკვეული კორექტივები შევიდა. ჩემი სურვილი იყო, აქ ყოფილიყო უნივერსიტეტი, ეს პროექტი ვერ დაიძრა. ორი ოთახის ფარგლებში გვიჭირდა მუშაობა და შესაბამისად მივიღეთ ეს გადაწყვეტილება“. – აღნიშნა მარგველაშვილმა.

მარგველაშვილი „ქართულ ოცნებასთან“ მის ურთიერთობებსაც შეეხო: „მე არ მომისმენია განცხადებები უმრავლესობისგან, მაგრამ მიმაჩნია, რომ როდესაც არ არის კოჰაბიტაცია, არამედ ერთი შეხედულებების და ერთი პოლიტიკური სტრატეგიის მქონე პრეზიდენტი, პრემიერი და პარლამენტი ჰყავს ქვეყანას, ბუნებრივია, აქ უნდა იყოს შეთანხმებული და კოორდინებული მუშაობა. ამასთან დაკავშირებით ვერავინ მიმითითებს ერთ შემთხვევას მაინც, როდესაც ჩემს საქმიანობაში, იქნებოდა ეს ჩემი საგარეო ვიზიტები, ან დღევანდელი ტიპის განცხადება ან თუნდაც ჩემი გამოსვლა პარლამენტში, რაიმენაირად იმ კარდინალური კურსიდან, რომელიც აიღო „ქართულმა ოცნებამ“ და რომელსაც მე ვიზიარებ, რაიმე გადახვევა ყოფილიყოს. ჩვენ ერთიანი ღირებულებითი სისტემის ფარგლებში ვმოქმედებთ“, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა და ვეტოსთან დაკავშირებითაც გააკეთა განმარტება:

„ბიძინასა და ჩემს შორის დიალოგებს არ მოგიყვებით. ვეტო არის ამბავი გარდასულ დღეთა. არ დავადე იმ კანონს ვეტო. კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვიტყვი, რომ ამ დიალოგებს არ მოვყვები. მინდა რომ გამიგოთ და მიხვდეთ რატომ ხდება ეს. მე ასეთი ურთიერთობების მომხრე ვარ, რომ რასაც ორი ადამიანი ილაპარაკებს, აღარ მოვყვე მედიასთან“. – დასძინა მარგველაშვილმა.

## საქართველოს დელეგაცია ჰააგაში სამიტს დაესწრება



საქართველოს დელეგაცია, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, 24-25 მარტს ჰააგაში ბირთვული უსაფრთხოების სამიტს დაესწრება.

მაია ფანჯიკიძის განცხადებით: „ეს არის ძალიან დიდი ფორუმი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ინიციატივით ტარდება. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა პირადი წერილი მიიღო არა მხოლოდ აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამასგან, არამედ ნიდერლანდების პრემიერ-მინისტრისგან.

შესაბამისად, პირველი შეხვედრა კვირას უკვე არის ჩანიშნული ნიდერლანდების პრემიერ-მინისტრთან. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს უკვე რამდენიმე შეთანხმებული შეხვედრა სხვადასხვა ქვეყნების პრემიერ-მინისტრთან და პრეზიდენტთან. იგეგმება ასევე საქართველოს პრემიერ-მინისტრის სიტყვით გამოსვლა ბირთვული უსაფრთხოების სამიტზე“, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

(ინტერპრესნიუსი)

# თამარ კინწურაშვილი და ლევან გახელაძე ერთმანეთს დაერივნენ

**პრესაში გამოქვეყნებულმა სტატიებმა საზოგადოებრივ მაუწყებელში შეჭმულ-აორთქლებული მილიონების შესახებ ქართულ მედიასივრცეში ნამდვილი ფურორი მოახდინა. ის კი არა და, პროკურატურისა თუ კონტროლის პალატათა დასკვნის შიშით კულუარებიდან მოუწიათ გამოძრომა ლევან გახელაძესა და თამარ კინწურაშვილს. ორივე მათგანმა თავიანთ „ფეისბუკის“ გვერდებზე ისეთი, ვითომდა საჯარო განცხადებები აკეთეს, რომლის შინაარსი სრულიად გაუგებარი დარჩა საქმეში ჩაუხედავი მკითხველისთვის. თუმცა, ეს განცხადებები მათთვის არც იწერებოდა: კინწურაშვილი გახელაძეს უთვლიდა, თუ არ შეწყვეტ ჩემკენ თითის გამოშვერას და ბრალდებებს კულუარებსა თუ სხვა გამოსვლებში, მაგ თითს... მოგაჭრიო. გახელაძე კი პასუხობდა: აბა, მე რა ვქნა, საკუთარ თავს ხომ არ მოვჭრი თავსო.**

კინწურაშვილ-გახელაძის ფარული დაპირისპირება ამ სტატიებამდე ბევრად ადრე დაიწყო, ზუსტად მაშინ, როდესაც გახელაძემ ბორდი ჩაიბარა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტშიც ჩაიხედა. მაშინ არ უფიქრია, მაგრამ მოგვიანებით მაუწყებლის ბიუჯეტში განუსჯელი პარპაშის რამდენიმეწლიანი ციკლის შემდეგ აღმოაჩინა, რომ, თუ ხელისუფლება შეიცვლებოდა და ნაციონალები „გადავარდებოდნენ“, დაკარგულ 33 მილიონს ვინმე უსათუოდ მოიკითხავდა. არადა, ვინ იფიქრებდა 2012 წლის თუნდაც აგვისტოში, რომ ნაციონალურ ხელისუფლებას წყალი „შეუდგებოდა“ და ასე საათივით აწყობილი „საქმე“ საზმაუში გახელაძე-კინწურაშვილიანად ყოფილ ხელისუფლებას თავზე დაემხობოდა.

ამიტომაც, ვიდრე ხადური საქვეყნოდ მწარე-მწარე განცხადებებს გააკეთებდა, გახელაძემ ოპოზიციად ქცეულ ნაციონალთა ოფისში მიმოსვლას მოუხშირა და სხვათა შორის, ხმები დაყარა, რომ კინწურაშვილს საზმაუს ბიუჯეტის შეჭმა „ზომაზე მეტი“ მოუვიდა და დღეს-ხვალ გასახეთქად მომზადებული სკანდალი მარტო მე თუ დამბრალდება, იძულებული გავხდები, პირი გავაღო და ყველაფერი ვთქვაო. კინწურაშვილამდე ეს ხმები, რასაკვირველია, მივიდა. გაცხარებულმა ბოკერიას ყოფილმა მოადგილემაც ყოფილ შეფებს შეახსენა საზმაუს გავლით პარტიაში გარეცხილი ფულების შემოდინება და ურჩია, რამე არ დამბრალდეს, თორემ პირი მეც მაქვს და სტატიების წერა და ჭორების დაყრა როგორი ვიცი, დაგანახებთო.

ასე იყო თუ ისე, სამშაბათს გახელაძემ და კინწურაშვილმა ისეთი მესიჯები უგზავნეს ერთმანეთს და ისეთი ბრალდებების კორიანტელი დააყენეს, მის შინაარსს მხოლოდ „ნაცმოს“ ძალიან ბობოლა წევრები თუ გაიგებდნენ, თორემ რიგით მკითხველზე ან ადრე ვინ ფიქრობდა, ან ახლა?..



### მარადიული „ნაციონალური ყოფნის“ გეგმა „1-ლ არხზე“

კიევში, უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერ მიტინგებზე, ნაპრეზიდენტალი სააკაშვილი კადრში გამოსაჩენ, ყველაზე თვალსაჩინო ადგილას დგას და კომენტარებს არიგებს. რამდენი წელიც უნდა მიუსაჯონ ვანო მერაბიშვილს, ის მაინც უახლოეს ხანებში დატოვებს საპატიმროს, როგორც იულია ტიმოშენკო, რადგან უსამართლოდ რეპრესირებული ეროვნული ძალები უთუოდ გაიმარჯვებენ მტარვალ და სისხლისმსმელ მთავრობაზე, ასეა ესო. ძნელი სათქმელია, მართლა გულწრფელად სჯერა თუ არა სააკაშვილს საკუთარი ჩაგრულობის, ამგვარი განცხადებები უფრო საკუთარი მომხრეების დასამშვიდებლად კეთდება, რომლებიც უხვად არიან ყველა სახელმწიფო და სტრატეგიული ობიექტის სათავეში, საარჩევნო შტაბებში, სასამართლოებში, პოლიციაში და რასაკვირველია, საზოგადოებრივ მაუწყებელშიც.

სააკაშვილის 9-წლიანი მმართველობის ხანაში „1-ლ არხზე“ „ნაციონალური მოძრაობის“ ნებართვის გარეშე დაცემინებაც კი იკრძალებოდა. ამიტომაც, არავის გავაკვირვებთ, თუ ვიტყვით, რომ კინწურაშვილ-ყუბანეიშვილ-ჭანტურიას მოადგილეებიც 100%-იანი ნაციონალები იყვნენ და არხზეც „დედა პარტიის“ ინტერესებს განუხრელად ატარებდნენ. ამიტომაც 1-ლი ოქტომბრის საარჩევნო რეალობა მათთვის ძალზე ძნელი შესაგუებელი აღმოჩნდა. პირველი, ვინც საზოგადოებრივი მაუწყებლის „შესანარჩუნებლად“ ბრძოლა დაიწყო, ლევან გახელაძე იყო. ახალი კანონმდებლობისთვის საპრეზიდენტო ვეტოც სწორედ მან და მისმა ლობისტებმა გამოიმათხოვრეს სააკაშვილისგან და აგონიაში მყოფი პრეზიდენტი დაარწმუნეს, თუ მაუწყებლობის შესახებ ახალ კანონპროექტს ვეტოს დაადებ, პარლამენტში შევძლებთ „ოცნების“ ზოგიერთი დეპუტატის გადმობირებასო. სააკაშვილმა სამჯერ ჰკითხა გახელაძის ლობისტებს, დარწმუნებულნი იყვნენ თუ არა არჩეული სტრატეგიის სისწორეში და მათაც დაარწმუნეს პრეზიდენტი, რომ ღირდა კი არა, აუცილებელიც იყო „პირველი არხის“ შენარჩუნება, როგორც სტრატეგიული საინფორმაციო არხისა კვესიტაძე-პაიჭაძის ტოქშოუებით და ხათუნა ბერძენიშვილის საინფორმაციო იდეოლოგიით. თუმცა, პარლამენტმა პრეზიდენტის ვეტო მარტივად გადალახა და ახალი კანონი მაუწყებლის შესახებ ძალაში შევიდა. გახელაძის სტრატეგიამ მაშინ პირველი დიდი მარცხი იგემა, რამაც სერიოზულად შეურყია ავტორიტეტი თანაგუნდელების თვალში.

არხზე გიორგი ბარათაშვილის მოსვლისთანავე ძირეული ანტინაციონალური საკადრო რყევა განხორციელდა. მართალია, ხათუნა ბერძენიშვილის თანამდებობის ლიკვიდაციამ პირველად შეიწირა ბარათაშვილის თანამდებობა, მაგრამ ეს მსხვერპლი ნამდვილად ღირდა ბერძენიშვილის ერთხელ და სამუდამოდ არხიდან „გადასაშენებლად“. ბერძენიშვილს მიჰყვა კვესიტაძე-პაიჭაძე და რამდენიმე ნაციონალი თანამდებობის პირი. დღეის მდგომარეობით კი არხზე, სასამართლოს გადაწყვეტილებით, უკვე მეორედ დაბრუნებული ბარათაშვილის 6 მოადგილიდან ნაწილი მაინც ნაციონალური ხელისუფლების „ერთგული ჯარისკაცია“.

რაც შეეხება ყოფილი ხელისუფლების ინტერესების გათვალისწინებით დაკომპლექტებულ ბორდს, მათი ნომერ პირველი ამოცანა შემდეგში მდგომარეობდა: ვადაგასულები სასწრაფოდ უნდა გადასულიყვნენ არხის მენეჯმენტში და იქ მმართველი პოზიციები დაეკავებინათ. ასე მაგალითად, დავით კანდელაკს ტელეფილმების ხელმძღვანელის პოზიცია (შესაბამისი მაღალი ანაზღაურებით, აბა ჩიორა თაქთაქიშვილის „ბიძასა“ და აკო მინაშვილის პროტეჟეს რაღაც „საკენკს“ ხომ არ აკადრებდნენ?!), გიორგი მელაძეს პოლიტიკურ-ანალიტიკური განყოფილების უფროსობა, კადრების ხელმძღვანელისა და მთავარი პროდიუსერის თანამდებობა ჯერ კიდევ ნაციონალების ხელში იყო, ხოლო რაც შეეხება ბორდის თავმჯდომარისა და იმ წევრების უფლებამოსილებას, რომელთა ვადა სამ, ოთხ და ხუთ წელიწადში იწურებოდა, ამერიკისა თუ ევროკავშირის ელჩების აქტიური ძალისხმევითა და ზეწოლით, ეგება რამენაირად შენარჩუნებულიყო. ასე რომ, ნაციონალთა მარადიული „ყოფნის“ იდეა, ერთი შეხედვით, არც ისე აუსრულებელ ოცნებად გამოიყურებოდა „1-ლ არხზე“.

### 5 მარტის ბრიფინგი მრავალჭირგადანახად „1-ლი არხის“ კიბეებზე

ისტორიულად ასე იყო: როდესაც „პირველი არხის“ კიბეებზე ხალხი იკრიბებოდა, ან სახელმწიფო გადატრიალებას ჰქონდა ადგილი, ან ეროვნული მოძრაობა იწყებოდა, ან არალეგალები ლეგალებს ეომებოდნენ... მოკლედ, ძველი ქვეყანა ინგრეოდა და ახლის შენება იწყებოდა.

კოსტავას №65-ში 6 მარტსაც შეიკრიბნენ ჟურნალისტები და... ჟურნალისტები. ერთ მხარეს მოწვეულები, მეორე მხარეს კი მასპინძლები წარმოადგენდნენ. საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა საკუთარ მოადგილეს რესურსების დარგში ხელშეკრულება აღარ გაუგრძელა. „არ გენდობი და გიშვებო“, ასე განუცხადებია ბარათაშვილს ბაქრაძისთვის, თუმცა, ბაქრაძემ მისი ბავშვობის მეგობრის ამ განცხადებაში „იდეოლოგიური მიზეზები“ და „პოლიტიკური ზეწოლის კვალი“ აღმოაჩინა და საგანგაშო ზარები დაარისხა. იქ მოსული ჟურნალისტები გაკვირვებულები ადევნებდნენ თვალს ბაქრაძის განცხადებებს: ან აქამდე რა ეტყობოდა მისი ნამუშევარი სატელევიზიო კადრებს, ან მერე რა უნდა გააკეთოსო. საგულისხმო ბაქრაძის ბრიფინგში არა თვით ბაქრაძის განცხადებები, არამედ ის უკანა ფონი იყო, რომლებიც „ზურგს უმაგრებდნენ“ ნაციონალ ძმას. გენერალური დირექტორის მოადგილე რადიომაუწყებლობის დარგში ნიკა ცერცვაძე, ტელემაუწყებლობის მთავარი რეჟისორის მოადგილე ილია ნატროშვილი და ავტომეურნეობის უფროსი მამუკა გერმანიშვილი. ყველას კუდი ეწვის, თუ ბარათაშვილი ერთი ნაციონალის მოხსნას მაინც გაბედავს, ესე იგი ყველას შეუდგება წყალი და დღეს არა ხვალ, ისინიც ბაქრაძის ბედს გაიზიარებენ. მოკლედ, როგორც იტყვიან, ყველა თავისთვის ცდილობდა. ხოლო ლუსტრაცია და ხარაკირი, რომელიც თავადვე გაუკეთეს ნიღაბაფარებულმა ნაციონალებმა თავს, ალბათ, მალევე გამოჩნდება საზოგადოებრივი მაუწყებლის საკადრო პოლიტიკაში.

**იმდღევანდელ ბრიფინგზე კიდევ ერთი, ნაციონალთათვის „საჭირბოროტო“ საკითხი გაჟღერდა. ბაქრაძის განცხადებით, საზოგადოებრივ მაუწყებელში ბევრი არაპროფესიონალი მუშაობდა და მათი უსწრაფესი გამოვლენა ატესტაციის გზით აუცილებელი იყო, თუმცა გენდირექტორი ამ ინიციატივას სასტიკად ეწინააღმდეგებოდა, რითაც ხელს აფარებდა უვიც ოპერატორებსა და რეჟისორებსო. სინამდვილეში, თემა არახალი, ჯერ კიდევ ლევან გახელაძის ბორდის თავმჯდომარეობისდროინდელი იყო. ატესტაციის ჩატარება და საგამოცდო ტესტების მომზადება ილია ნატროშვილმა საკუთარი ინიციატივით „ჩაიბარა“. ოპერატორებმა კი, დრომოჭმული ბორდის ნარჩენებთან გამოცდების ჩაბარება სავალდებულოდ არ მიიჩნიეს. სიტუაცია ისე დაიძაბა, გაღიზიანებული ტექპერსონალი ლამის გაფიცვამდე მივიდა, რასაც არხის გაჩერება და უმართავი პროცესების დაწყება მოჰყვებოდა. მოკლედ, მენეჯმენტმა „ბუნტი“ ჩააქრო, მასთან ერთად კი, იმედია, უკანასკნელი „ნაციონალური გაფართხალება“ „1-ლ არხზე“, რომელმაც ბოლო იმედი საკადრო პოლიტიკის გაკონტროლებისა უკანმოუბრუნებლად გააყოლა ყოფილი ხელისუფლების ხსოვნას...**

ვიდრე „პირველი არხის“ კიბეებზე ბრიფინგი მიმდინარეობდა და კამერებიან ოპერატორებს შესასვლელი გზა გადაკეტილი ჰქონდათ, საზმაუს შესასვლელთან დიდი „საავტომობილო საცობი“ შეიქმნა, ამიტომაც „ჩაგრული ნაციონალის“ ისედაც არცთუ ომახიანი განცხადებები ამ საყოველთაო ხმაურში საერთოდ ჩაიკარგა. ამისთვის შეგვაწუხესო! – არაორაზროვანი სინანულით დატოვეს კოლეგა ჟურნალისტებმა გადასაღები მოედანი, რომლებიც, საზმაუს კიბეებზე დაძახებისას, ჩვეულებრივ, სახალხო რევოლუციებსა თუ სახელმწიფო გადატრიალებებს ელიან...

### „რა დროშა მოგვცა მიშამ!..“

მოვიდეთ პირველ სიტყვასა ზედა და კვლავ გახელაძის სამშაბათის „ფეისბუკ ნააზრევს“ დავუბრუნდეთ. იმ ადამიანებისთვის, რომლებიც გახელაძეს, ასე თუ ისე, იცნობენ და მისი გონების სიდიადის სჯერათ, ადვილად წარმოიდგენენ ამ ერთი შეხედვით მარტივი წინადადებების მიღმა გახელაძის აჭარხლებულ-ალეწილ სახეს და აჩქარებულ-დაბნეული ბოლთის ცემას, რომელსაც „ფეისბუკზე“ მწყობრი მსჯელობის საშუალებით უპირებს შენიღბვას. სიცრუეა ყველაფერი, რასაც მაბრალებენო, წერს ბორდის ყოფილი თავმჯდომარე, თანაც მსჯელობისთვის მწყობრი არგუმენტაციის მიცემის მიზნით სიცრუეებს ნომრავს. ეს ისე, მეტი დამაჯერებლობისთვის: „სიცრუე პირველი: თითქოს საბჭო გადაწყვეტილებებს, მათ შორის ფინანსურს (აქ მძიმე უნდა დაეწერა, მაგრამ მეტი აღელვებისგან გამორჩა) იღებდა არაკომპეტენტურად და დახურულ რეჟიმში. სინამდვილეში საბჭოს ყოველი სხდომის სრული ვიდეოჩანაწერი, სხდომის ოქმები და გადაწყვეტილებები მყისიერად თავსდებოდა და ახლაცაა განთავსებული მაუწყებლის ოფიციალურ საიტზე. სიცრუე მეორე: თითქოს საბჭო არ იყო კრიტიკული მენეჯმენტის მიერ (ალბათ, „მიმართ“-ს გულისხმობდა) და ვერ ან არ განსაზღვრავდა პრიორიტეტებს პროგრამულ ან ფინანსურ-მმართველობით სფეროში“. ეს უკანასკნელი ნააზრევი კარგად დაიმახსოვრე, მკითხველო, აუცილებლად დაგვჭირდება მომავალში. მოკლედ, შედით ტელევიზიის ოფიციალურ ვებგვერდზე და ნახეთ, რა სუფთად ვმუშაობდით, რა უბიწოები ვიყავით, როგორ თეთრად ვჭრიდით და ვკერავდით ყველაფერსო. ნამდვილად არ მიძებნია, რამდენი შემსვლელ-დამთვალიერებელი ჰყავდა გახელაძის თავმჯდომარეობით ჩატარებულ ბორდის სხდომებს, მაგრამ საყოველთაო აღიარებით, ბოლო 9 თვის განმავლობაში ყველაზე მეტი მნახველ-მომწონებელი „ფეისბუკზე“ იმ ვიდეოს ჰქონდა, რომელშიც მოხუცი ქალბატონი უზარმაზარტარიან საქართველოს დროშას აფრიალებს და შეგნებულად თუ შეუგნებლად ხოტბას ასხამს საყვარელ პრეზიდენტს. მეტად საეჭვოა ამ ქალბატონისთვის და მრავალი მისი მსგავსისთვის 9 წლის განმავლობაში რამე მიეცეს საქართველოს პრეზიდენტს გრძელტარიანი, წითელი დროშის გარდა, თუმცა საკუთარ თანაგუნდელებს კი დროშის ტარზე გაცილებით მეტი მისცა, იმდენად მეტი, რომ ვალში მყოფი თანაგუნდელები დღემდე ვერ „ამოდიან“ ამ ვალებიდან და ექსპრეზიდენტის რეანიმირებისთვის დღედაღამ მუხლჩაუხრელად იბრძვიან. საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის ნარჩენებიც სწორედ ისეთი ადამიანებითაა დაკომპლექტებული, რომელთა კეთილდღეობაზე განუხრელად მზრუნველ პრეზიდენტს ახსოვს მათთვის გაკეთებული მეფური საჩუქრები. შორს რომ არ წავიდეთ, ბორდის თავმჯდომარის მოადგილისა და „24 საათის“ დამფუძნებლის, მამუკა ფაჩუაშვილის ამბავიც კმარა, რომელსაც სააკაშვილის პირადი მითითებითა და დედაქალაქის მერისა თუ განათლების მინისტრის აღსრულებით, მრავალმილიონიანი ქონება და გამართული ბიზნესი ჩაუგდო ხელში. სამაგიეროდ მედიაექსპერტებისა თუ პოლიტიკური ექსპერტის ამპლუაში სხვადასხვა მედიასაშუალებებით (რომელთა უმრავლესობასაც ნაციონალური ხელისუფლება აკონტროლებდა) მათ ხშირად ვხედავდით ხელისუფლების ქომაგებად და მაშინდელი სახელმწიფო პოლიტიკის „გამპრავებლებად“. თუმცა, მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძისგან განსხვავებით, არცთუ ხშირად ხვდებოდა თვალში ქართველ მაყურებელს. არ ვიცი სტრატეგიის, არ ვიცი მეტყველების დეფექტის გამო, ის ხშირად არ აკეთებს კომენტარებს მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე, თუმცა სტრატეგიულად ყველაფერს აკეთებს საკუთარი ბიზნესის მოსამძლავრებლად, რომელშიც ყველანაირად ხელს უწყობს ყოფილი სახელმწიფო მანქანა. რასაკვირველია, გახელაძის ნახსენებ ტელევიზიის ვებსაიტიდან მაყურებელი ვერაფრით იფიქრებდა, რომ ბორდის თავმჯდომარის კუთხეში მჯდარმა „ბუნჩულა“ მოადგილემ სააკაშვილის მმართველობის სულ რამდენიმე წელიწადში, თავის წილად, დაახლოებით 10 მილიონი ქეშად იშოვა, ქონების სახით კი, სააკაშვილ-უგულავას ტანდემმა თავიანთი პოლიტიკის „გამპრავებელს“ 3 000 კვ.მ მიწის ნაკვეთი ჯიქიას ქუჩაზე, ისიც 6-თვიანი განვადებით, სულ რაღაც, 20 000 „აჩუქა“, სულ რაღაც 15-ჯერ იაფად. რა მოხდა მერე, ბიჭებს ხელი წაუკრა და ესეც არ იკმარეს, სტამბას უახლესი დანადგარებით აღჭურვა ხომ უნდაო და... ეს დანადგარებიც პრეზიდენტულად „უფეშქაშა“.

რა სამწუხაროა, რომ „1-ლი“ არხის საიტზე დაინტერესებული კაცი ვერც იმ ინფორმაციას წააწყდება, რომ ბორდის თავმჯდომარის მოადგილეს სახელმწიფო ინსტიტუტებმა 2 წლის განმავლობაში სახელმწიფოსგან 2-ნახევარი მილიონის სახელმწიფო შეკვეთა მიიღო:

თბილისის მერია – 172000 ლარი.

განათლების სამინისტრო – 155000 ლარი.

გარემოს დაცვის სამინისტრო – 79000 ლარი.

ფინანსთა სამინისტრო – 58000 ლარი.

გარემოს დაცვის სამინისტრო – 55000 ლარი.

თუ ჩავთვლით, რომ სახელმწიფო შეკვეთები მიღებული დოკუმენტების ნახევარია, აღმოჩნდება, რომ ჩვენმა მკითხველმაც 2 მილიონიც 2-ზე უნდა გაამრავლოს და ფაჩუაშვილის გამდიდრების დაახლოებით სქემას მიიღებს.

გარდა ოფიციალური შეკვეთებისა, საკონკურსო და სატენდერო განცხადებებისა, სახელმწიფო უწყებები „24 საათს“ სარეკლამო სტატიებსა და ფურცლებშიც უხდიდნენ. მაგალითად, უზენაესი სასამართლო გაზეთთან ძლიერი სამართლის გვერდის დასაფინანსებლად 8000 ლარს უხდის. გაზეთიც სიამოვნებით თანამშრომლობს უზენაესთან, ხოლო ძლიერი სამართლის გვერდის ნაცვლად კუბლაშვილის რიტორიკით აჭრელებულ გვერდებს იღებს, რომელშიც, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე იუწყება, რომ ქართულ სამართლებრივ სივრცეში ყველაფერი კარგადაა და რომ ჩვენი ქვეყანა განუხრელად მიდის წინ, ევროსასამართლოსკენ!.. გაზეთი, რასაკვირველია, არასოდეს მიუთითებს იმაზე, რომ მასალები დაფინანსებულია. ის 5000 მკითხველი კი, რომელიც გაზეთს ენდობა, დარწმუნებულია, რომ ქვეყანაში ყველაფერი კარგადაა, კუბლაშვილი კი დამოუკიდებელი სასამართლოს სადარაჯოზე დგას.

სამწუხაროდ, გახელაძეს საზმაუს საიტზე არც ის ინფორმაცია აუტვირთავს, როგორ გადაუხადა 2010 წელს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა შპს „მვპ“-ს, იგივე მამუკა ფაჩუაშვილს, ვიქტორ დათიკაშვილსა და პაატა ვეშაპიძეს **40000, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ჟურნალის დასაბეჭდად. გახელაძის პროტესტი არც მაშინ გვახსოვს, როდესაც ფაჩუაშვილი, რომელიც ამ დროს საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის თავმჯდომარის მოადგილეა და თავის ერთი ხმით „1-ლი არხის“ მენეჯმენტს კონტროლებს, კოლეგებს ჟურნალის გამოცემას სთავაზობს, რომლის მთავარ რედაქტორადაც ეკა კვესიტაძის პროდიუსერს, ირაკლი ტაბლიაშვილს ნიშნავენ. ჟურნალი მშვენიერი პოლიგრაფიული გამოცემაა, ღირს ქართველი მკითხველისთვის იგავმიუწვდომლად ძვირი – 4 ლარი, თუმცა არ იყიდება და მხოლოდ საზმაუს დერეფნებში აწყვია დასტა-დასტად, მუქთად, ეგება ვინმემ სახლში წაიღოს და თვალი გადაავლოს.** იმ პერიოდში საზოგადოებრივ არხს იმდენად დაბალი რეიტინგი აქვს, არათუ მის ბეჭდურ გამოცემას, არხსაც აღარ უყურებდა მაყურებელი, თუმცა ბორდის იმდროინდელი თავმჯდომარე – ლევან გახელაძე, მისი მოადგილე და ჟურნალის გამომცემელი – მამუკა ფაჩუაშვილი და კვესიტაძის პროდიუსერი ირაკლი ტაბლიაშვილი, რომელიც ჟურნალის მთავარ რედაქტორად ინიშნება, კმაყოფილნი არიან!.. აქედან გამომდინარე, მკითხველისთვის დიდ ამოცანას არ უნდა წარმოადგენდეს ბორდის წევრის, მამუკა ფაჩუაშვილის „მიუკერძოებელი“ საქმიანობა არხის გენდირექტორის საქმიანობის შესწავლისას.

გახელაძე არც იმ რიგით მერამდენე ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას, რომ... ეს ოხერი ფული მაინც ფულია და სწრაფად იცის ხოლმე შემოჭმა-შემოხარჯვა. ფაჩუაშვილს ყოველწლიური მილიონიანი საპრეზიდენტო პრეზენტი არ ჰყოფნის და მრავალი თვის განმავლობაში „24 საათისთვის“ ოფისს სწორედ საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთ კორპუსში ქირაობს. ოფისისთვის დაწესებულ თანხას, რასაკვირველია, არ იხდის. ან კი ვინ უსაყვედურებს. ყველაფრის ბატონ-პატრონი ხომ ლევან გახელაძეა, საზმაუს ბორდის თავმჯდომარე! ჰოდა, „24 საათს“ საზოგადოებრივი მაუწყებლის ზუსტად 24000-იანი ვალი აქვს, რომელსაც ახალი მენეჯმენტი ედავება საკუთარი ბორდის წევრს. როდესაც კონტროლის პალატა საზოგადოებრივი მაუწყებლის პასივებსა და აქტივებს თვლიდა, საინტერესოა, ფაჩუაშვილის დავალიანებაც მიათვალა თუ არა, რადგან სახელგატეხილი ბორდის სახელგატეხილ წევრს, რომელიც მხოლოდ კონტროლირებად „იმედის“ ჟურნალისტებთან აკეთებს კომენტარს, ამ საკითხზე ჯერ არ უსაუბრია. სამაგიეროდ სულმოუთქმელად ელის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას უფლებამოსილების გაგრძელების შესახებ. ვინ იცის, ეგება თავად აღარც სურს ბორდის წევრობა, მაგრამ რა უყოს იმ ფინანსურ ვალდებულებებსა და მორალურ პასუხისმგებლობებს, რომლებიც სააკაშვილის, უგულავას, თარხნიშვილის, ბოკერიას და სხვათა წინაშე აქვს...

ფაჩუაშვილთან შედარებით რა მოსატანია ბაკურ სულაკაური და „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, რომელსაც, აგრეთვე, არ ავიწყდება ვალი ყოფილი ხელისუფლების წინაშე. მართალია, სულაკაური ბორდის წევრია, მაგრამ დიდად აღარ აღელვებს დაშლილი ბორდის მომავალი და მისი შეშლილი თავმჯდომარის თათბირებსაც კარგა ხანია აღარ ესწრება. თუმცა, თუ სააკაშვილმა საზმაუში „ქუდზე კაცი“ დაიბარა, რთული არჩევანის გაკეთება მოუწევს – ერთ დროს ნაციონალების ხარჯზე აწყობილი ბიზნესის მომავალი თუ აწ ვადაგასული პრეზიდენტის ერთგულება.

ბორდის ყოფილი წევრი, გიგა ნასარიძე ისე წავიდა ტელევიზიიდან და ისე გაუჩინარდა პოლიტიკურ კულუარებში, რომ მხოლოდ კარგი მეხსიერების მქონე მაყურებელსღა ახსოვს მისი „საქმენი საგმირონი“ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში. თუმცა, ნასარიძე საზმაუდან უკვალოდ არ გამქრალა. მისი „კვალი“ ბორდში მისივე მეგობარი გოგო, ნატო დვალია, რომელიც ერთ დროს ბორდის თავმჯდომარეობასაც აპირებდა, თუმცა გოგუაძის არაადეკვატურმა მოქმედებებმა, ლანძღვა-გინებამ და გაურკვეველი მომავლის შიშმა ძალაუფლების სურვილი დაჯაბნა და უბრალო ბორდელად დარჩა.

რაც შეეხება გოგუაძის ბოლოდროინდელ სიგიჟეებსაც, საზოგადოებრივ მაუწყებელში აღარავის ეპარება ეჭვი მის შეურაცხადობაში.

გოგუაძის უბედურება იქიდან დაიწყო, როდესაც ნაცელიტაში შესვლისა და ბორდის თავმჯდომარის სავარძლის ხელში ჩაგდება „ნამეტნავად“ მოინდომა. მისი ყოფილი მეგობარი და ბორდის ყოფილი წევრი ავთო ანთიძე ამ შემთხვევაზე ამბობდა: „ონ ოჩენ სილნო ხოტელ ლარისუ ივანოვნუო“. ბორდის მაშინდელი წევრმა და სააკაშვილის კლასელმა „ზუმბამ“ თავმჯდომარის თანამდებობაზე გოგუაძეს მხარი არ დაუჭირა. გააფთრებული გოგუაძე თანამშრომლებით სავსე ოთახში შევარდა, „ზუმბას“ მობილურით დაურეკა და პირდაპირ კივილ-კივილით ერთი საათი დასძახოდა: „შენ ..... ქუსლებზე, თუ მე ეგ ღალატი გაპატიოო“. წერტილებით აღნიშნულ ადგილზე, ლიტერატურულად, ფეკალური მასა იგულისხმება, თუმცა, ჟარგონულ-გოგუაძისეულად უფრო შთამბეჭდავად ჟღერდა. „ზუმბა“ პირველი მიხვდა, ვისთან ჰქონდა საქმე და მეგობრები გააფრთხილა: მაგას ერიდეთ, ბნელ კუთხეში არ მიგიმწყვდიოთ და რამე არ ჩაგცხოთ თავშიო. მერე და მერე, გოგუაძის ნერვიულ აშლილობას მტერიც და მოყვარეც მიეჩვია. აღარც დერეფნებში გინებ-გინებით „მონავარდე“ ბორდის თავმჯდომარე უკვირდა ვინმეს და აღარც მისი უადგილო წივილ-კივილი. საკუთარი მდივნებიც კი ყოველ დილით მის წინადღინდელ „ონავრობებზე“ საუბრობდნენ და კაბინეტში შესულები სიცილს ვერ იკავებდნენ. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თავის თავს საქართველოს უპირველეს პოეტსა და ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მთავარ იდეოლოგს უწოდებდა. კულმინაცია მაინც საკონსტიტუციო სასამართლოში ყივილი და ყეფა იყო. იმ დღეს წამლის დალევა დამავიწყდაო, დარცხვენილი უხსნიდა მდივნებს საკონსტიტუციოში თავსდატეხილ ფიასკოს. ყველაფერი მაპატიეთ, ფსიქიატრთან დავდივარ და მალე უკეთ გავხდებიო, არწმუნებს ნაცნობსა და უცნობს გოგუაძე და მალე გამოჯანმრთელების იმედით ტოვებს გულმოკლულ ჭირისუფალს...

მოკლედ, გოგუაძის ჯანმრთელობის გადარჩენის მიზნით თანამშრომელთა ერთი ნაწილი აპირებს სპეციალური თხოვნით მიმართოს საკონსტიტუციოს, რათა მან, სასამართლო ექსპერტიზის მეშვეობით, ბოლოს და ბოლოს, დაადგინოს, შერაცხადია თუ არა „1-ლი არხის“ დაშლილი ბორდის თავმჯდომარე და ამ ფონზე, რამდენად სამართლებრივია მისი საკონსტიტუციო სარჩელი უფლებამოსილების გაგრძელების შესახებ.

ნაციონალური ბორდი კი, სახელგატეხილი, პოლიტიკურად ანგაჟირებული წევრებით, საკონსტიტუციო სასამართლოს ელოდება, რომლის გადაწყვეტილებაც განსაზღვრავს საზოგადოებრივი მაუწყებლის ხვალინდელ დღეს.

თუ დაშლილი ბორდის ნარჩენებს მოსამართლე ვარძელაშვილმა იმედები არ გაუცრუა და უფლებამოსილების ვადა აღუდგინა, მაშინ ნაციონალები კვლავ შეუნელებელი ენთუზიაზმით დაელოდებიან პრეზიდენტყოფილი სააკაშვილის დაანონსებულ „სახალხო რევოლუციას“ საქართველოში, ჯერ კიდევ შენარჩუნებული სავარძლებითა და გავლენებით „1-ელზე“.

*ლევან მაჭუტაძე*

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# მსოფლიო წესრიგი დამთავრდა, საერთაშორისო სამართალი აღარ მუშაობს!

საერთაშორისო სამართალი აღარ მოქმედებს, მსოფლიო წესრიგი მწყობრიდან გამოვიდა. დღეს ვიმყოფებით ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე. ის, რაც ხდება უკრაინაში, ცვლის მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებს, გეოპოლიტიკას და საერთოდ, ყველაფერს... მსოფლიო რეალურად დგას ცივი ომის საშიშროების წინაშე და სად აღმოჩნდება საქართველო, რა საერთაშორისო ნორმები აქვს კოზირად შემონახული დასავლეთს გავეშებული რუსეთის შესაჩერებლად, რატომ არის უმოქმედო და უუნარო მსოფლიო საერთაშორისო ინსტიტუტები: გაერო, ეუთო, რომლებიც კრიზისიდან გამოყვანის ვალდებულებებს იღებენ?

**ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „ალიას“ კითხვებს პასუხობს საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, ექსპერტი თენგიზ ფხალაძე:**

– ბოლო პერიოდში შევეჩვიეთ და მოდური სიტყვები გახდა: საფრთხე, გამოწვევა, აღშფოთება, რთული პოლიტიკური გარემო და ა.შ. თუ რა დგას ამ ყველაფრის მიღმა, უფრო ღრმად უნდა ჩავიხედოთ. დღეისთვის ის მსოფლიო წესები, რომელზეც საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე იდგა სამყარო, იცვლება და ამასთანავე, იცვლება გეოპოლიტიკური გადანაწილება. ის, რაც უკრაინაში ხდება, არ არის მხოლოდ უკრაინის პრობლემა. მსოფლიო წესრიგი დგას საფრთხის წინაშე და დღეს ჩვენ ვხედავთ, გაეროს არაეფექტურობას, ასევე, გაეროს, ეუთოს არაეფექტურობას. იმ საერთაშორისო უსაფრთხოების მექანიზმების უეფექტო ქმედებებს, რომლებმაც, წესით, უნდა უზრუნველყონ უსაფრთხოება, მათ შორის, ჩვენიც.

**— ის, ვინც პასუხისმგებელია მსოფლიო უსაფრთხოებაზე ქმედითი ღონისძიება გაატაროს, გარკვეულწილად პასუხი აგოს, ფაქტობრივად, დემორალიზებულია იმ ფონზე, როცა პუტინი ღიად აცხადებს, რომ ის ამას არ დასჯერდება.**

– დიახ, ეს ძალიან უცნაურია, ამ ყველაფრის ფონზე რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელი ღიად და მოჭარბებული სითამამით, აგრესიულად აცხადებს, რომ ის ყირიმს არ დასჯერდება. ნამდვილად შემიძლია გითხრათ, რომ ყირიმი არ არის არაფრის დასასრული, ყირიმი არის ცუდი პროცესების დასაწყისი. ეს პროცესები გაგრძელდება უკრაინასთან მიმართებაშიც და აუცილებლად გადაედება სხვა ქვეყნებს. მაგალითად, მოლდოვას... აუცილებლად იქნება რუსეთის მხრიდან მცდელობა. ამასთან დაკავშირებით უკვე გაჟღერდა პირველი განცხადება და რუსეთის სამიზნე იქნება გაგაუზია – ადმინისტრაციული გაერთიანება მოლდოვას სამხრეთით და დნესტრისპირეთის საკითხი, საიდანაც 18 მარტს უკვე წერილი გაიგზავნა მოსკოვში, რათა კვლავ მიერთების თემა წამოიწიოს. ჩვენ გვაქვს ორი ოკუპირებული ტერიტორია. მსგავსი ტიპის რეფერენდუმის ჩატარება, რაც მოხდა ყირიმის შემთხვევაში, არაერთხელ იყო ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებზეც. ასე რომ, რეალურად ბრძოლა მიდის გავლენებისთვის და მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისთვის.

**— ეს პროცესი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებით შემოიფარგლება, თუ მსოფლიოს სხვა ცხელ წერტილებშიც გაჩაღდება ბრძოლა ხელახალი გადანაწილების მიზნით?**

– არა, მე საუბარი მაქვს მხოლოდ და მხოლოდ აღმოსავლეთ პარტნიორობის იმ სახელმწიფოებზე, რომლებმაც ძალიან მკაფიოდ ჩამოაყალიბეს თავისი პოზიცია, რომ მათ რუსეთის გავლენის სფეროში ცხოვრება არ უნდათ. პირველ რიგში, საფრთხე ეხება რუსეთის მეზობლად მყოფ ქვეყნებს, კონკრეტულად მოლდოვასა და საქართველოს.

**— ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ერაყსა და ავღანეთში ჩატარებული სპეცოპერაციების შემდეგ, რუსეთს გაუჩნდა ამბიცია, რომ მასაც აქვს უფლება, შეიჭრას სხვის ტერიტორიაზე და ეს რუსეთის პრეზიდენტმა კიდეც შეახსენა ამერიკის პრეზიდენტს, — გაეროს უშიშროების საბჭოზე რეზოლუცია არ მიგიღიათ სხვის ტერიტორიაზე რომ შეჭრილიყავითო...**

– ჯერ ერთი, ავღანეთის ოპერაცია იყო საერთაშორისო ოპერაცია და ეს ამერიკელებს დამოუკიდებლად არ დაუწყიათ, ერაყთან დაკავშირებითაც საქმე არ იყო მარტივი. მართალი ხართ, როცა ამბობთ, რომ გაეროს უშიშროებას ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება არ მიუღია, მაგრამ მაშინ საერთაშორისო კოალიცია შეიკრიბა, თანაც ის საფრთხე, რასაც სადამ ჰუსეინი წარმოადგენდა, იმის შედარება ცხინვალის რეგიონთან არ ყირიმთან, არაადეკვატურია. ყველაზე მთავარი, რაც არის, თუ რუსეთის ფედერაციას პრეტენზია აქვს აშშ-სთან, ან სხვა სახელმწიფოსთან, რა შუაშია ან საქართველო, ან უკრაინა?.. თუკი რუსეთი ამბობს, რომ ამერიკის ქმედება იყო არასამართლებრივი, მაშინ მან თვითონ არ უნდა განახორციელოს იგივე. აქ სხვა საკითხი დგას. თუ წავიდა ის ტენდენცია, რასაც აპირებს რუსეთი, პოსტსაბჭოთა სივრცე ხელახლა გადაანაწილოს, გადანაწილების ამ მცდელობამ შეიძლება მიგვიყვანოს როგორც ცივ ომამდე, რომელიც, ჩემი აზრით, უკვე დაწყებულია, არამედ უფრო შორს წავა ეს პროცესი და წარმოიქმნება ახალი კონფლიქტური კერები, მათ შორის განახლდება ძველი, დაკონსერვებული კონფლიქტები.

**— პრეტენზიები გაუჩნდება თუ არა თურქეთს აჭარის მიმართ და გაიხსენებს თუ არა ყარსის ხელშეკრულებას? შეიძლება დავკარგოთ აჭარაც?..**

– ჩვენ უნდა შევხედოთ სახელმწიფოებს, ვინ რა პრინციპით მოქმედებს. თურქეთი არის ის სახელმწიფო, რომელიც უახლოეს მომავალში გახდება დასავლური ცივილიზაციის სრულფასოვანი ნაწილი, თურქეთი არის სახელმწიფო, რომელიც იბრძვის დემოკრატიის განვითარებისთვის, ის არის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი სახელმწიფო, რომელიც დგას ღირებულებებზე და ამ სახელმწიფოს აღიარებული აქვს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. ასე რომ, თურქეთის მხრიდან მსგავსი ტიპის საფრთხეს კატეგორიულად გამოვრიცხავ.

**— ვისთვის იმუშავებს პუტინის მესიჯი, როცა მან ორი დღის წინ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ჩვენ ვერ მოვითმენთ სამხედრო ალიანსს ჩვენს ღობესთან...**

– რასაც ლაპარაკობს ბატონი პუტინი, არის სრული აბსურდი. ახლა აგიხსნით რატომ. დიდი ხანია რუსეთის ფედერაცია ნატოს მეზობელია. დასავლეთის მხრიდან რუსეთის ფედერაციას ესაზღვრებიან ნატოს წევრი სახელმწიფოები. ასე რომ, მათ საზღვრებთან ნატო კარგა ხანია დგას. ყველაზე დაცული საზღვარი, რომელიც აქვს რუსეთის ფედერაციას, ეს არის სწორედ ის საზღვარი, სადაც დგას ჩრდილოატლანტიკური ალიანსი და სადაც არის ევროკავშირი. პრობლემები რეალურად რუსეთს აქვს ზუსტად იმ მიმართულებით, სადაც არ არის

*გაგრძელება მეექვსე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „დიდი მადლობა ივანიშვილს გულახდილობისთვის“



საპარლამენტო უმცირესობის წევრის, დავით დარჩიაშვილის განცხადებით, ივანიშვილის მიერ პრეზიდენტის კრიტიკა ეყრდნობოდა არა პოლიტიკას, რომელიც შეიძლება არ მოგეწონოს, არამედ ჭორაობასა და კულისებს.

„საინტერესო კონტრასტია – ბატონი გოგა ხაჩიძე კონკრეტული ფაქტების მოყვანით არის დაკავებული, ბატონი ქანთარია პასუხობს, რომ ვის გაუგია და ოდეს ყოფილა აქამომდე, რომ ჩვენ ტელევიზიის კონტროლი გვინდოდესო. გონიერმა ამომრჩეველმა განსაჯოს და განასხვავოს ფაქტები რიტორიკისგან. რაც შეეხება ინტერვიუს, დამეთანხმებით, რომ პრეზიდენტის კრიტიკა, როგორც დემოკრატიულ ისე ავტორიტარულ ქვეყნებში, ჟარგონი რომ ვიხმაროთ, „მოსულა“. თქვენ უმრავლესობიდან მუდმივად გამოირჩეოდით წინა პრეზიდენტის კრიტიკით, ჩვენც ასევე იმის წინა პრეზიდენტის – შევარდნაძის კრიტიკით. მაგრამ ექსპრემიერის გუშინდელი გამოსვლა განსაკუთრებული და ექსტრაორდინარულია, ჯერ ერთი, თვითონ კრიტიკოსის, საქართველოს №1 „მოქალაქის“, პრეზიდენტისა და თქვენი უმრავლესობის პოლიტიკური ბუნებიდან გამომდინარე, მეორე – თვითონ კრიტიკის სტილით“, – განაცხადა დარჩიაშვილმა.

მისივე თქმით, ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს გავლენა ჰქონდა იმაზე, თუ როგორ დაკომპლექტდებოდა საპარლამენტო სიები, ხოლო დღევანდელი უმრავლესობა და პრეზიდენტი მთლიანად ივანიშვილის პოლიტიკური ქმნილებებია.

„ახლა უცებ, ამ რამდენიმე თვის თავზე როცა იწყება ასეთი ტიპის კრიტიკა, უცნაურია. დიდი მადლობა ივანიშვილს გულახდილობისთვის, გავიგეთ საინტერესო დეტალი, რაც ადრე ჭორად ვიცოდით, რომ პრეზიდენტს უნდოდა, მაგრამ ვერ დაადო ვეტო იმ კანონპროექტს, რომელიც მოწმის დაკითხვის ახალი წესის გადავადებას ითვალისწინებდა. კანონის ამოქმედებას მხარს უჭერდა მთელი არასამთავრობო სექტორი, გარდა №1 „მოქალაქისა“. მთლიანობაში ივანიშვილის მთელი კრიტიკა იყო გამორჩეული არა პოლიტიკის მიმართ, რომელიც შეიძლება არ მოგეწონოს, არამედ ჭორაობასა და კულისებზე დაყრდნობილი – ვინ ვის რა უთხრა, როდის უთხრა, შენობას რას ეძახდა, რას არ ეძახდა... ეს კრიტიკა ხშირად გახასიათებთ ხოლმე თქვენც ჩვენს მიმართ“, – განაცხადა დარჩიაშვილმა.

„სრული გულწრფელობით გეუბნებით, რომ ის კადრები, სადაც პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი არის ნაჩვენები, მთელ საერთაშორისო საზოგადოებაში მიჩნეულია, როგორც პრეზიდენტის ღირსეული საქციელი, რომ დაბომბვის დროს იყო გორში. თუ ვინმეს ჰგონია, რომ დაბომბვის დროს პრეზიდენტს დაცვა არ უნდა გადაეფაროს და არ წაიქცევა, ის ან „უქარქაშო ხმლებით“ არის გაზრდილი ან უბრალოდ უნდა, რომ ყველაფრისგან შარჟი გააკეთოს“, – დასძინა დარჩიაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## ხელისუფლებაში კრიზისიაო



„ნაციონალი“ დეპუტატის, გიორგი ოჩიაურის განცხადებით, „ჩემი გამოსვლა არ არის გლობალურ საკითხებზე, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი მგონია. მიუხედავად იმისა, რომ მე ვმკურნალობ, დაუძლურებული ვარ, არ შემეძლო დღეს არ მოვსულიყავი და პარლამენტისთვის არ გამეზიარებინა ჩემი პოზიცია იმ სახიფათო ტენდენციების შესახებ, რომელიც ბოლო დროს ნათლად იკვეთება და რისი ნათელი ილუსტრაციაც კახა ბენდუქიძის დაკითხვა იყო. ეს არც უმრავლესობას ეხება და არც უმცირესობას. ისეთი მოღვაწეების, როგორიც კახა ბენდუქიძე და სხვა რეფორმატორები არიან, შეურაცხმყოფელი დაკითხვა მისაღები არ არის. თუ არ ვიცით, ვინ არის კახა ბენდუქიძე და ვინ არიან ის ინტელიგენტები, რომლებიც საქართველოს წინსვლას უწყობენ ხელს, არ არის ჩვენი ადგილი პარლამენტში“, – განაცხადა ოჩიაურმა.

მისივე თქმით, ხელისუფლებაში, დასაპატიმრებელი ხალხის ძებნაში, კრიზისია და ტენდენცია, რომ, რაც შეიძლება მეტი დაიკითხოს და დააპატიმრონ, „შეურაცხმყოფელია იმ კულტურული დონისთვის, რომელიც საქართველოს უკვე მიღწეული ჰქონდა“. (ინტერპრესნიუსი)

## ქართული მხარე პარტნიორებს მიმართავს



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, მაია ფანჯიკიძის განცხადებით, ქართული მხარე მუდმივად მიმართავს პარტნიორებს, განახორციელონ დიპლომატიური ზეწოლა რუსეთზე, რომ მან უკანონო ქმედებები შეაჩეროს. მისივე თქმით, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა არის რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების დეესკალაცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის სრული დაცვის საფუძველზე.

„ამ მხრივ, კვლავ ვდგავართ სერიოზული გამოწვევების წინაშე. მოგეხსენებათ, რუსეთმა ოლიმპიადის კონტექსტში შექმნა ე.წ. 11-კილომეტრიანი უსაფრთხოების ზონა, რომელშიც მოხვდა საქართველოს ტერიტორიის აფხაზეთის ნაწილი. ოლიმპიადის დამთავრებისთანავე რუსულმა მხარემ, მეორე დღესვე განაახლა მავთულხლართების დამონტაჟება ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის გასწვრივ. ჩვენი შეშფოთება, ისევე, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის, გამოიწვია სწორედ ამ ფაქტებმა. ჩვენ, იმისთვის, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის კონსოლიდაცია მოგვეხდინა, გამოვიყენეთ ყველა ფორმატი და საერთაშორისო ფორუმი, სადაც ცალსახად იყო დაგმობილი რუსეთის უკანონო ქმედებები“, – განაცხადა ფანჯიკიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## ხათუნა გოგალაძე ბულგარელ კოლეგას შეხვდა



გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი, ხათუნა გოგალაძე საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად მყოფ ბულგარეთის რესპუბლიკის გარემოსა და წყლის მინისტრს, ისკრა კოპაროვას შეხვდა.

სამინისტროს ცნობით, ორი ქვეყნის სამინისტროებს შორის გარემოს დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის ცერემონია გაიმართა. შეთანხმების მიზანია ხელი შეუწყოს მჭიდრო თანამშრომლობის განვითარებას გარემოს დაბინძურებისა და მისი მდგომარეობის მონიტორინგის, ნარჩენების მართვის, ბიომრავალფეროვნების დაცვის, დაცული ტერიტორიების მართვისა და ეკოტურიზმის განვითარების, ასევე ევროინტეგრაციის საკითხებში თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით. (ინტერპრესნიუსი)

მეხუთე გვერდიდან

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი და ეს არის აღმოსავლეთი. ეს არის პუტინის მხრიდან დასაშინებელი რიტორიკა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის, მისი ქვეტექსტი არის ასეთი: ბალტიისპირეთი გაგვექცა, მაგრამ თქვენ ვერ გაგვექცევით და არც გაგიშვებთო. ეს გზავნილი, პირველ მკაცრი ყოფილიყო, რაც პუტინმა ყირიმში გააკეთა, მას აზრადაც არ მოუვიდოდა. აქ არის ორი მომენტი, ერთი – დასავლეთმა თავის დროზე ვერ დაინახა, რომ რუსეთს არ სურდა გარდაქმნა, სხვათა შორის, ბევრი ფულიც ჩადეს რუსეთის რეფორმებში და მეორე – როდესაც დასავლეთის სახელმწიფოები აკეთებენ პოლიტიკური ვითარებისა და არ აინტერესებს რუსეთს, რამდენად დაარტყამს ეკონომიკური სანქციები და რამდენ მოქალაქეს შეექმნება ეკონომიკური პრობლემა. ჩვენთვის ეს უცხო არ არის, რადგან ამ ვითარებაში გავიზარდეთ და ვიცით, რუსეთი რაზეა წამსვლელი, მაგრამ დასავლეთმა დღემდე ვერ გააცნობიერა, ვისთან აქვს საქმე. მერწმუნეთ, ვერ წარ- რაც გამოიყენა. ეს არის დასავლეთის პრობლემა, სადაც აღმოჩნდნენ აბსოლუტურად მოუმზადებლები. დიდი ხანია, ვაშინგტონი აღარ არის მსოფლიოში ერთადერთი ცენტრი, რომელიც მსოფლიოს პოლიტიკას უკვეთს. ამ ყველაფრით დასავლეთმა საშუალება მისცა რუსეთს, განვითარებულიყო და ჩამოყალიბებულიყო იმ ტიპის სახელმ- ჯასო?..

– თუ როგოზინს უცხოურ ბანკებში არ აქვს ფული, სამაგიეროდ, რუსეთში მრავლად არის ისეთი ადამიანი, ვინც უცხოეთში საქმიანობს და მათ აქვთ კაპიტალი. რუსი ბიზნესმენების ფული მიდის კრემლის ყულაბაში. აი, მათი ფული და ქონება რომ დაყადაღდება, არა მგონია, ამ ადამიანებმა ეს გადაყლაპონ.

# მსოფლიო წესრიგი დამთავრდა, საერთაშორისო სამართალი აღარ მუშაობს!

რიგში, ეკუთვნით იმ ქვეყნებს, რომლებმაც დასავლური გზა აირჩიეს, სჭირდებათ დამატებითი გარანტიები. ის, რაც უკრაინაში მოხდა, საშინელი პრეცედენტია.

**— და მაინც, რას ელოდება დასავლეთი, აქვს კი რაიმე კოზირი შემონახული რუსეთის შესაჩერებლად? უკრაინელი ჯარისკაცი მოკლეს, განაიარაღეს ჯარი, დააკავეს სამხედრო საზღვაო ძალების სარდალი, უკრაინის სამხედრო საზღვაო გემების დიდი ნაწილი რუსეთის საკუთრებაში გადავიდა, ვრცელდება ასევე ინფორმაცია, რომ უკრაინელმა ჯარისკაცებმა დატოვეს ყირიმი... დასავლეთისთვის საკმარისი მაგალითი არ იყო, 21-ე საუკუნეში რუსეთმა ტანკებით, ზარბაზნებითა და რუსული „კალაშნიკოვებით“ რომ გადაცხრილა საქართველოს მოსახლეობა და შემოვარდა ჩვენს ტერიტორიაზე?**

– კარგ თემას მიადექით. სამწუხაროდ, დასავლეთს უფრო მეტი ყურადღება რომ გამოეჩინა, სანქციები რუსეთის მიმართ სამი თვე კი არა, უფრო დიდხანს რომ დაეწესებინა, დღეს პუტინს არ ექნებოდა ის სითამამე, რომ საქართველოში დღესაც გავლებულიყო მავთულხლართები. დასავლეთი რომ უფრო



საფრთხეების ანალიზს, ისინი ამ საფრთხეებს დემოკრატიული ქვეყნების გადასახედიდან ითვლიან. ეს არის მათი მთავარი პრობლემა. რუსეთს საერთოდ არ აინტერესებს საკუთარი მოსახლეობის უსაფრთხოება, მაშინ, როცა დასავლეთი ამ საფრთხეებს მათი მოქალაქეებიდან გამომდინარე ითვლიან. არ აინტერესებს რუსეთს, თუკი უკრაინასთან ომი დაიწყო, ყირიმში რამდენი ადამიანი მოკვდება, მოედგინათ, რომ 21-ე საუკუნეში, სახელმწიფო, რომელიც არის გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი, ქვეყანა, რომელიც ასევე არის ევროსაბჭოს წევრი, ეუთოს წევრი და ლაპარაკობს უსაფრთხოების რაღაც ახალ არქიტექტურაზე... მათთვის მოულოდნელი იყო, რომ ეს ქვეყანა, ევროსაბჭოს წევრი ქვეყნებისა და გაეროს სხვა წევრი სახელმწიფოების მიმართ გამოიყენებდა იმ მექანიზმებს, წიფოდ, რა ტიპის სახელმწიფოდაც ყალიბდება. დღეს კი პუტინი ღიად ლაპარაკობს, რომ ის აპირებს საბჭოთა კავშირის აღდგენას ყველა იმ მეთოდებით, რის გამოყენებაც მას შეუძლია.

**— 21-ე საუკუნეში რა მკაცრი სანქციები შეიძლება დაუწესოს დასავლეთმა რუსეთს? მაგალითად, როგოზინი გამოდის და მაგრად ეკაიფება დასავლეთს უცხოეთში ანგარიშები არ მაქვს და როგორ აპირებთ ჩემს დას-**

გამოიწვევენ ელჩებს და მოახდენენ რუსეთის იზოლაციას. თუ მსოფლიო იქნება კონსოლიდირებული, რეალურად შეიძლება ნავთობზე ფასის დაწევა, ეს რუსეთისთვის იქნება ძალიან დიდი დარტყმა. თუკი ამ შემთხვევაში გერმანია-საფრანგეთი, რომლებიც უფრო ლოიალურ დამოკიდებულებას ინარჩუნებენ, მეტად კონსოლიდირებულები არ გახდებიან, მერწმუნეთ, რუსეთს გაუვა ყირიმში, შემდეგ მიადგება მოლდოვას და ღმერთმა არ ქნას, შემოგვიბრუნდება ჩვენც. აუცილებლად ასევე დარტყმის ქვეშ აღმოჩნდება ბალტიისპირეთი, პოლონეთი და ა.შ. თუ რუსეთს არ გააჩერებენ დღეს, ევროპას შეექმნება უსერიოზულესი პრობლემები, მათ შორის გერმანიასაც და საფრანგეთს. მერკელის ბოლოდროინდელი განცხადება იმედისმომცემია და ვვარაუდობ, რომ დასავლეთი რეალურად გააცნობიერებს რეალურად რა დონის საფრთხესთან აქვს საქმე.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პრეზიდენტს გადაწყვეტილება არ უნდა შეეცვალა



საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, გია ვოლსკის განცხადებით, ყველაფრის დრამატიზება არ არის საჭირო, იყო პრეტენზიები, იყო პასუხი და ეს ნორმალური ვითარებაა. მისი თქმით, მარგველაშვილის პრეზიდენტის სასახლეში გადასვლასთან დაკავშირებით ყველას თავისი მოსაზრება აქვს, თუმცა პრეზიდენტს თავისი გადაწყვეტილება არ უნდა შეეცვალა.

„ჩვენ 21-ე საუკუნის ევროპულ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც განსხვავებული აზრის გამოთქმას არავითარი პრობლემა არ აქვს. რაც შეეხება პრეზიდენტის სასახლეში სამუშაოდ გადასვლას, ყველას თავისი მოსაზრება აქვს, თუმცა მე ვფიქრობ, რომ ის სიტყვა, რაც თავიდან ითქვა, ასეც უნდა ყოფილიყო ბოლომდე. მთავარი ის არის, რომ საპარლამენტო უმრავლესობა და კოალიცია მთლიანად არსებული კონსტიტუციის რეჟიმში აგრძელებს თანამშრომლობას პრეზიდენტთან“, – აცხადებს ვოლსკი.

## „კარგია, რომ პროკურატურა ამუშავდა, ამაზე სულ გვქონდა პრეტენზია“



ნუკრი ქანთარიამ ოპონენტებს მიმართა, რომ პასუხს აგებს ყველა, ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი.

„კარგია, რომ პროკურატურა ამუშავდა. ამაზე სულ გვქონდა პრეტენზია. ეს გახლავთ ის აქლემი, რომელიც ყველა იმ პირის სახლთან გაჩერდება, ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი. ეს ნურც ერთ თქვენგანს ნუ გაგიკვირდებათ – ეცადეთ, მოიქცეთ შესაბამისად. სამართლიანობა აუცილებლად აღდგება“, – განაცხადა ქანთარიამ. (ინტერპრესნიუსი)

## რუსეთს ევროკავშირსა და ნატო-ში არ აქვს ვეტოს უფლება



საგარეო საქმეთა მინისტრ, მაია ფანჯიკიძის განცხადებით, რუსეთი არ არის ევროკავშირის და ნატო-ს წევრი და მას არ აქვს ვეტოს უფლება.

„საქართველოს არჩეული აქვს პოლიტიკური მომავალი. ეს არის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია. ჩვენ ამ გზიდან გადახვევას არ ვაპირებთ; ნატო-სთან და ევროკავშირთან გვაქვს ძალიან ინტენსიური ურთიერთობა. რუსეთი არ არის არც ნატო-ს და არც ევროკავშირის წევრი, არც ამ კავშირში და ალიანსში ვეტოს უფლება არ აქვს. იმედი მაქვს, რომ სწორედ საერთაშორისო ნორმებით, სწორედ საქართველო-ევროკავშირი, საქართველო-ნატო გადაწყვეტენ, როგორი იქნება მათი მომავალი ურთიერთობა“, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

ვლადიმერ პუტინმა ნატო-სთან დაკავშირებით მორიგი განცხადება გუშინ გააკეთა.

„ჩვენ არ ვართ ნატო-სთან თანამშრომლობის წინააღმდეგი, სულაც არა. ჩვენ იმის წინააღმდეგი ვართ, რომ სამხედრო ორგანიზაციამ ჩვენს ღობესთან, ჩვენს სახლთან, ჩვენს ისტორიულ ტერიტორიებზე იბატონოს. ვერც კი დავუშვებ იმის წარმოდგენას, რომ სტუმრად ვივლით სევასტოპოლში ნატოელ მესაზღვრეებთან, რომლებიც შესანიშნავი ბიჭები არიან, მაგრამ უმჯობესია, თვითონ ჩამოვიდნენ სტუმრად ჩვენთან სევასტოპოლში“, – განაცხადა პუტინმა. (ინტერპრესნიუსი)

# ვინ გაავრცელა „ჟვანიას ვიდეო“, რატომ ახლა და რა „დოსტუპი“ ჰქონდათ ვიდეოკადრებთან

ვიდეოპორტალ „იუთუბიზე“ 19 მარტს, საღამოს, აიტვირთა სკანდალური ვიდეო სათაურით „სააკაშვილმა მოკლა ზურაბ ჟვანია“. კადრები მძიმე საყურებელია. ერთწუთიან ვიდეოში ჩანს ზურაბ ჟვანიასა და რაულ იუსუპოვის ცხედრები, რომელთაც ფიზიკური დაზიანებები აღენიშნებათ. ზურაბ ჟვანიას დაზიანებები და სილურჯეები აღენიშნება ქვედა ტუჩის, თავისა და მკერდის არეში. თავის არეში დაზიანება, სავარაუდოდ, ბლაგვი საგნით არის მიყენებული. რაულ იუსუპოვის ცხედარს გულ-მკერდისა და ყელის არეში აქვს დაზიანებები და სისხლის კვალი პერანგზეც ამჩნევია. გარდა ამისა, ვიდეოკადრებიდან ნათლად ჩანს, რომ იუსუპოვის ცხედარი არის გადაადგილებული (სავარაუდოდ, ნათრევი), ვინაიდან გარდაცვლილის შარვალი მტვრიანია.



საზოგადოებას კარგად ახსოვს 2005 წლის 4 თებერვლის დილა, როდესაც შინაგან საქმეთა მაშინდელმა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა საზოგადოებას აუწყა, რომ გარდაცვლილია საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია. მერაბიშვილმა ჟვანიას გარდაცვალებიდან რამდენიმე საათში განაცხადა, რომ პრემიერის გარდაცვალების მიზეზი ბუნებრივი აირის გაჟონვა გახდა. მაშინ მერაბიშვილს არ უსაუბრია გარდაცვლილების სხეულზე არსებული დაზიანებების შესახებ, რაზეც წლების განმავლობაში იწერებოდა პრესაში, სწორედ გაზით მოწამვლა დაასახელა „ნაციონალების“ დროინდელმა პროკურატურამ ჟვანიასა და იუსუპოვის გარდაცვალების მიზეზად და „ნაციონალების“ ბოსებიც ამას მიზეზს ასახელებდნენ გამუდმებით.



შეახსენებთ, პოლიტიკოსებისა და ექსპერტების ნაწილი ჯერ კიდევ წლების წინათ აცხადებდა, რომ 3 თებერვლის ღამეს ზურაბ ჟვანია შავნაბადაზე იმყოფებოდა მიხეილ სააკაშვილთან, შს მინისტრ ვანო მერაბიშვილთან და იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადეიშვილთან ერთად. ერთ-ერთი ვერსიით, ჟვანიასა და სააკაშვილს შორის შელაპარაკება მოხდა, რა დროსაც სააკაშვილმა ჟვანიას საფერფლე ესროლა. მეორე ვერსიით, თითქოს ჟვანია სააკაშვილის ბიძის, თემურ ალასანიას ბიზნესინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, რომელსაც თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან დაკავშირებით ჰქონდა ინტერესები, ჟვანია კი არ აპირებდა, აეროპორტი პრეზიდენტის ბიძისთვის ჩაეგდო ხელში და სწორედ ამის გამო ჟვანია მოიშორეს.

**იცოდა თუ არა ამ ვიდეომასალის შესახებ ექსპრემიერის ოჯახმა?**

**„ალია“ ზურაბ ჟვანიას ძმას, გოგა ჟვანიას დაუკავშირდა:**

– მე ნანახი მქონდა ეს ვიდეოკადრები მანამდეც, სანამ ინტერნეტში გავრცელდებოდა. ნამდვილად არ ვიცი, ახლა ვინ და რატომ გავრცელდა, არც მაქვს ვერსია, ვის შეიძლებოდა გაევრცელებინა.

**— თქვენ აცხადებდით, რომ პროკურატურა სწორ კვალზე დგას და ზურაბ ჟვანიას მკვლელობა მალე გაიხსნებაო, ამ ვიდეოკადრებს გულისხმობდით? ჰქონდა პროკურატურას ეს კადრები მანამდეც?**

– მე შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის ერთ-ერთი მასალა, რომელიც ჰქონდა პროკურატურას და რომელმა ინფორმაციამაც თავის დროზე გამოჟონა „ნაციონალური მოძრაობიდან“, ვგულისხმობ ამ ვიდეოკადრებს. ვის მიერ იქნა ეს ვიდეო მიცემული პროკურატურისთვის, ვერ გეტყვით, რადგან ნამდვილად არ ვიცი.

**— ამ ვიდეოკადრებს თუ აქვს გაგრძელება?**

– რა თქმა უნდა, მე ნანახი მაქვს ბევრად მძიმე კადრები, ვიდრე ის არის, რაც სოციალური ქსელით გავრცელდა. სხვას ვერაფერს გეტყვით. მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან მალე ზურაბ ჟვანიას საქმე გაიხსნება. ერთი წუთითაც კი არ მეპარება ამაში ეჭვი.

იცოდა თუ არა ამ ვიდეოკადრების შესახებ პროკურატურამ? ამის გასარკვევად „ალია“ მთავარი პროკურატურის პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს თემურ დოლიძეს დაუკავშირდა: „მე არ ვფლობ არანაირ ინფორმაციას ამ კა-

*გაგრძელება მეექვსე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ივანიშვილის კრიტიკამ პრეზიდენტ მარგველაშვილის რეიტინგი გაზარდა?




პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილის აზრით, ბიძინა ივანიშვილის მიერ გიორგი მარგველაშვილის კრიტიკამ პრეზიდენტის რეიტინგი გაზარდა.

„პირადად ჩემთვის არავითარი მოულოდნელობა ყოფილი პრემიერის ასეთ განცხადებაში არ ყოფილა, რადგან სრულიად მკაფიოა, რომ ბატონი მარგველაშვილი და ბატონი ივანიშვილი წარმოადგენენ სხვადასხვა კულტუროლოგიურ ფენომენს და მათი ხასიათობრივი კოჰაბიტაცია შესაძლებელია გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მაგრამ არა სამუდამოდ. რასაც ბატონი ივანიშვილი აღწერდა ბატონი გიორგის დახასიათებისას, იმაში ჩემთვის არაფერია ახალი. ჩვენი ახალგაზრდა პრეზიდენტი არის პრინციპული, არის კარგი გაგებით ჯიუტი და როგორც ჩანს, მის პრაქტიკაში არასდროს მოიაზრებოდა ურთიერთობა სუფლიორთან და შესაბამისად, ვერც ასეთი სუფლიორობის მოდელი მოირგო, რომელიც, ივანიშვილის აღიარებით, ინერგებოდა ხშირი კომუნიკაციებით და განსხვავებული აზრების თავზე მორგების მცდელობით.

მარგველაშვილის ის მომწონს, რომ ამ დაპირისპირების შესახებ მისგან არავის არაფერი სმენია. ეს ის შემთხვევა იყო, როცა „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“. ჩემი აზრით, ასეთმა ცალმხრივმა კრიტიკამ გაზარდა ჩვენი პრეზიდენტის რეიტინგი“, – განაცხადა სოსო ცისკარიშვილმა.

მისივე განმარტებით: „ქვეყანას ურჩევნია პრეზიდენტი იყოს დამოუკიდებელი, პრემიერ-მინისტრი იყოს დამოუკიდებელი და ქვეყანას ურჩევნია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ვარსკვლავები იყვნენ ძლიერნი და საკუთარი აზრის გამოთქმის მზადყოფნა ყოველთვის გააჩნდეთ... როცა ადამიანი ვინმეში პრინციპულად განსხვავებულ თვისებებს აღმოაჩენს ძალიან მოკლე დროში, ეს ნიშნავს, რომ შესწავლილი არ ჰქონია, რა ტიპის თვისებებია მახასიათებელი ამ პიროვნებისთვის. თავად ივანიშვილის ფრაზაა, „პირველ ორ თვეში მქონდა ბევრი პოლემიკა არჩეულ პრეზიდენტთან“ – აკი, არავის გავეკარები და არავის მოვახვევ ჩემს აზრსო? თურმე არ ყოფილა ასე“, – აღნიშნა ცისკარიშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## ახალი მუნიციპალური საწარმოები 10 მლნ ლარით დაფინანსდა



თბილისის საკრებულოში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით 2014 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული მუხლები განიხილეს. როგორც კახა კუკავამ აღნიშნა, მისი და საკრებულოს დეპუტატის მამუკა კაციტაძის ინიციატივით, დედაქალაქის მთავარ ფინანსურ დოკუმენტში 10 მილიონი ლარი გამოიყო, რომელიც ახალი მუნიციპალური საწარმოების დაფინანსებასა და ზოგადად ეკონომიკის განვითარებას შეუწყობს ხელს.

კუკავას თქმით, საკრებულოს ამოცანაა, ეს თანხა მოხმარდეთ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც სამეწარმეო საქმიანობის წამოსაწყებად იპოთეკის ჩადება არ შეუძლიათ და არც საკრედიტო ისტორია გააჩნიათ. დეპუტატის განცხადებით, მერია ვალდებულია, დაინტერესებულ პირს რომელიმე უბანში იჯარით გამოუყოს ფართი და მისი ბიზნესის წარმოებას ხელი შეუწყოს.

კახა კუკავამ მიმართა მოსახლეობას და აღნიშნა, რომ ყველა მოქალაქეს, ვისაც გააჩნია კარგი იდეა, სურვილის შემთხვევაში საშუალება აქვს მიმართოს მერიას ან ისარგებლოს საკრებულოს შესაბამისი კომისიის შუამდგომლობით, რომელიც აუცილებლად გაუწევს მას ლობირებას ბიზნესკრედიტის ასაღებად.

მამუკა კაციტაძის განცხადებით, აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს არა მხოლოდ საწარმოების თანადაფინანსებას და მცირე ბიზნესის განვითარებას, არამედ ქართული პროდუქციისა და სამუშაო ადგილების შექმნას. მისივე თქმით, კრედიტის რაოდენობაზე მერია იმსჯელებს, საკრებულო კი საკითხს კონტროლზე აიყვანს და მონიტორინგს ბოლომდე განახორციელებს.

„კარგია სოციალურად ორიენტირებული ბიუჯეტი, მაგრამ ამ ფინანსურმა დოკუმენტმა მეწარმეობისადმი მზრუნველობაზე ყურადღება აუცილებლად უნდა გამოიჩინოს“, – განაცხადა მამუკა კაციტაძემ. (ინტერპრესნიუსი)

### საგანელიძეს „ნაცმოძრაობაზე“ დამოკიდებული კადრები არ მოსწონს



საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის, დავით საგანელიძის განცხადებით, პრეზიდენტის სასახლესთან დაკავშირებით გიორგი მარგველაშვილის პოზიციის შეცვლა, ცოტა არ იყოს, მიუღებელია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ვინმე თავს იმედგაცრუებულად მიიჩნევს. „პრეზიდენტის ფუნქციაც ის არის, რომ აზრთა სხვადასხვაობაში გარკვეული ბალანსი მოახდინოს. ის ამ შემთხვევაში არის მედიატორი. რაც შეეხება საკადრო საკითხებს, ცოტა საწყენი და გასაკვირიც არის, რადგან მიმაჩნია, რომ საკმაოდ ძლიერი კადრები ჰყავს „ქართულ ოცნებას“ და მაინცდამაინც „ნაციონალური მოძრაობაზე“ დამოკიდებული კადრებით პრეზიდენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურების დაკომპლექტება მისაღები არ არის“, – განაცხადა საგანელიძემ.

საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა, გადაცემა საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ავლაბრის საპრეზიდენტო რეზიდენციაში შესვლისა და ვანო მაჭავარიანის თანამდებობაზე დანიშვნის გამო გააკრიტიკა. (ინტერპრესნიუსი)

### თბილისის ძველი ეკლესიებისა და საკულტო ნაგებობების ინვენტარიზაცია იგეგმება



კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო თბილისის ძველი ეკლესიებისა და საკულტო ნაგებობების ინვენტარიზაციას იწყებს. სააგენტოს გენერალური დირექტორის ნიკა ანთიძის თქმით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც თბილისში არსებული ყველა რელიგიური კონფესიის საკულტო არქიტექტურული ნიმუშების ინვენტარიზაციასა და ფოტოფიქსაციას განახორციელებს.

სამუშაო ჯგუფი მოამზადებს სააღრიცხვო ბარათებს, ძეგლთა არქიტექტურულ-კონსტრუქციულ წინასწარ დასკვნებს და შეისწავლის საკულტო ნაგებობათა ირგვლივ არსებულ სოციალურ გარემოს. ეს პროექტი წელს, მაისში დაიწყება.

ამ მასალების საფუძველზე შემდეგ გამოიცემა ფოტოალბომი სახელწოდებით – თბილისის ძველი ეკლესია და საკულტო ნაგებობები. მიღებული მასალების საფუძველზე ასევე 2015 წლიდან თავად ამ აღრიცხული საკულტო ნაგებობების განახლება დაიწყება.

სააგენტოს გენერალური დირექტორის განცხადებით, დღეისთვის თბილისში დაახლოებით 50-60-ზე მეტი ძეგლია და ზუსტად უცნობია, რამდენი საკულტო ნაგებობაა თბილისში. ამ პროექტში ჩართული იქნებიან გეოლოგები, არქეოლოგები და იურისტები, რომ საკულტო ნაგებობების შესწავლა მოხდეს. (ინტერპრესნიუსი)

## ვინ გაავრცელა „ჟვანიას ვიდეო“, რატომ ახლა და რა „დოსტუპი“ ჰქონდათ ვიდეოკადრებთან

მეშვიდე გვერდიდან

დრებთან დაკავშირებით, ვერც იმას გეტყვით, ჰქონდა თუ არა ეს ვიდეომასალა პროკურატურას მანამ, სანამ ვიდეოპორტალზე გავრცელდებოდა. მე, როგორც პრესსამსახურის ხელმძღვანელმა, ეს კადრები უკვე გადავუგზავნე მთავარ პროკურორს. დამატებითი განცხადება მოგვიანებით გაკეთდება ჩვენი მხრიდან და გაჟღერდება ისიც, იქნებიან თუ არა ყოფილი ხელისუფლების უმაღლესი პირები დაკითხვაზე დაბარებული. ახლა მეტი ინფორმაციის მოწოდება არ შემიძლია“.

საზოგადოებას ახსოვს „ნაცმოძრაობის“ ლიდერების განცხადებები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალება ბუნებრივი აირის გაჟონვამ გამოიწვია. ექსპრემიერის მეგობრები, ის ხალხი, ვინც პოლიტიკურ ასპარეზზე სწორედ ჟვანიამ გამოიყვანა ურცხვად აცხადებდნენ, რომ ექსპრემიერი არავის მოუკლავს. ამ „ჩვენებას აწვებოდნენ“ ვიდეოკადრების გავრცელებამდე გია ბარამიძე და მიხეილ მაჭავარიანი. „ალია“ ცდილობდა მათთან დაკავშირებას, თუმცა მობილური ტელეფონები გამორთული ჰქონდათ.

ზურაბ ჟვანიას მეგობრებიდან ერთ-ერთი გამონაკლისი იყო ხათუნა ხოფერია, რომლებიც ამტკიცებდა, რომ ჟვანია მოკლეს.

**„ალიას“ ხათუნა ხოფერია ესაუბრება:**

– როდესაც ზურას გარდაცვალების შესახებ გახდა ცნობილი, როგორც მე ვიცი, იქ მუშაობდა რამდენიმე კამერა, მათ შორის იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს ვიდეოკამერა. სავარაუდოდ, ეს მასალა იმ ადამიანმა გაავრცელა, ვინც იყო ავტორი ამ კადრებისა. ალბათ, ეყო ჭკუა და შეინახა კადრები, ვინაიდან იცოდა, რომ ეს მასალა მოქმედებაში მოყვანილი ბომბი იყო. ამ კადრების გავრცელება ადასტურებს ჩვენს ნათქვამს, რომ გამოძიება მალე დამთავრდება და ერთხელ და სამუდამოდ გაეცემა პასუხი შეკითხვას - ვინ მოკლა ზურაბ ჟვანია?

**— იცოდით მსგავსი კადრების არსებობის შესახებ?**

– რა თქმა უნდა, ვიცოდი და ამბობდნენ კიდეც, რომ არის გარკვეული მასალა. რაც ამ ვიდეორგოლშია ნაჩვენები, იგივე ტუჩის ქვეშ დაზიანება და თავის არეში. ტუჩის ქვეშ ზურას ჰქონდა ნაკერი გაკეთებული, თუმცა ამ ნაკერზე სილურჯე შეიმჩნეოდა. ის არ ვიცოდი ტუჩის შიგნითაც თუ იყო დაზიანება, ბოდიშს გიხდით ასე საუბრისთვის, მაკანკალებს, ისე ცუდად ვარ. ძალიან საინტერესოა თვითონ რაულ იუსუპოვის კადრები, მას ემჩნევა, რომ გვამი არის ნათრევი და გადაადგილებული, სხვა შემთხვევაში შარვალი ასე არ ისვრება მტვრისგან.

**— რას ეტყვით ჟვანიას იმ „მეგობრებს“, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ექსპრემიერი ბუნებრივი აირით გაიგუდა?**

– არაფერსაც არ ვეტყვი. ისინი არ არიან ღირსნი ზურას თემაზე საერთოდ რამე ველაპარაკო, ასე ნამდვილად ვერ დავაფასებ ვერც ერთ მათგანს. დაურეკეთ ერთი, ჰკითხეთ, არ გაინტერესებთ, რა პასუხს გაგცემენ?

**— მობილური ტელეფონები გამორთული აქვთ, ვერ ვახერხებთ მათთან დაკავშირებას.**

– მე არაფერსაც არ ვეტყვი. საინტერესოა, თვითონ თუ რცხვენიათ თავიანთი ქმედებისა და ნათქვამების, მაგრამ გგონიათ, რამე შეიცვლება? ადამიანს რომ შერცხვეს, ნამუსი უნდა ჰქონდეს.

**— თქვენ და „ნაციონალური მოძრაობის“ სახეებს საერთო მეგობრები გყავთ, ხომ არ იცით, რას ამბობენ პირად საუბრებში გია ბარამიძე, მიშა მაჭავარიანი და ის „ნაციონალები“, რომლებიც ჟვანიას მკვლელობას გამორიცხავდნენ?**

– მე მათთან სამი წელია, შეხება აღარ მაქვს, ნამდვილად არ ვიცი. ერთადერთი რომანს ველაპარაკე კუსიანს, რომელმაც არ იცოდა, რომ ეს კადრები გავრცელდა, ნახავს ახლა რომანიც ამ კადრებს და მოგვიანებით, ალბათ, თვითონაც გააკეთებს განცხადებას.




ყოფილი მმართველი პარტიის ის წევრები, რომლებიც სოციალურ ქსელებში განსაკუთრებით აქტიურობენ და შანსს არ უშვებენ, ხელისუფლება გააკრიტიკონ, გაუჩინარდნენ მას შემდეგ, რაც გარდაცვლილი ჟვანიას კადრები გავრცელდა. მიხეილ სააკაშვილს, გიგი უგულავას, კობა ხაბაზს, დავით საყვარელიძეს, ირმა ნადირაშვილს, კობა სუბელიანს, გიორგი ვაშაძეს არათუ გავრცელებული ვიდეო არ გაუზიარებიათ „ფეისბუკზე“, საერთოდ არ გამოჩენილან სოციალურ ქსელში.







ერთადერთი, ვინც ამ თემას სოციალური ქსელით გამოეხმაურა გოგა ხაჩიძე იყო, რომელმაც შემდეგი შინაარსის სტატუსი გამოაქვეყნა ღამის თერთმეტი საათისთვის: „ხომ შეიძლება ასეთი რამე გაკეთდეს – პირადად გოგლა ჟვანიამ, აიღოს ზურაბ ჟვანიას საქმე; აიღოს ამერიკის ფედერალური ბიუროს დასკვნა, დაჯდეს პირდაპირ ეთერში და სრულად გაასაჯაროოს. მერე ის ახსნას, რას და რატომ არ ეთანხმება. ხომ უნდა დამთავრდეს ეს პრიმიტიული იდიოტიზმი?! პირადად მე უკვე აღარ მესმის, როდემდე უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენ ზურაბ ჟვანიას სახელს, თანაც იმ პირობებში, როდესაც ცალკე ოჯახის წევრები და ცალკე ხელისუფლება მუდმივად ახდენს ამ საკითხით ბინძურ მანიპულაციებს“.

ხაჩიძემ მოგვიანებით კიდევ ერთი სტატუსი გამოაქვეყნა, სადაც პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილს მიმართავს: „პირადად თქვენ გეკითხებით! რატომ გაასაჯაროეთ ფოტომასალა, რომელიც ჟვანიას საქმეში ოფიციალურად დევს?!“

შორენა გოგოლაძე
599 22 75 27



# რატომ ატეხა აკო მინაშვილმა აჟიოტაჟი ყოფილი მთავარი პროკურორის კორტეჟზე?

დეპუტატ აკაკი მინაშვილის ინფორმაციით, „ყოფილი მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე გადაადგილდება ესკორტით, ემსახურება სახელმწიფო დაცვა და დადის „მოდულის" შენობაში. იქვე ახლოს ცხოვრობს და გადაირბენს ხოლმე. ასევე, დადის ფინანსურ პოლიციაში, აქვს თავისი ოფისი. რეალურად მთელ ამ სისტემას ყაჩაღი ფარცხალაძე მართავს, რომელმაც თითქოსდა ვაჟკაცური ნაბიჯი გადადგა და თანამდებობიდან წავიდა".

ჰყავს თუ არა ფარცხალაძეს ოფიციალურად დაცვა, ამის შესახებ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის პრესცენტრს მივმართეთ. თამარ ხერგიანმა წერილობით გვიპასუხა: „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური ოთარ ფარცხალაძის დაცვით ღონისძიებებს არ ახორციელებსო".

**ეკუთვნის თუ არა ფარცხალაძეს, თუნდაც როგორც ყოფილ მთავარ პროკურორს, სახელმწიფო დაცვა?**

**როგორც „ალიასთან" იურისტი ლაშა ფარულავა აცხადებს:**

– საქართველოს კანონი „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის" შესახებ შეიცვალა და პრეზიდენტის ნაცვლად პრემიერის გადაწყვეტილებით შეიძლება დაინიშნოს დაცვა. 2013 წლის დასაწყისში შეცვალეს ეს კანონი და მხოლოდ ის შეიცვალა, რომ მთავრობის მეთაურის განკარგულებაში გადავიდა დაცვის სამსახური. პირადი დაცვის საკითხი კი ასე განისაზღვრა: „დაცვა ენიშნება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, საქართველოს პარლამენტის წევრს, საქართველოს მთავრობის წევრს, საქართველოს სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელს ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების მაღალი რანგის თანამდებობის პირს სამსახურებრივი უფლებამოსილების პერიოდში, აგრეთვე, მისი ოჯახის წევრებს, თუ არსებობს საკმარისი მონაცემები, რომ მისი ან მისი ოჯახის წევრების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება; ბ) საქართველოში ვიზიტით მყოფ უცხო ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირს, საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელს, საქართველოში დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელს; გ) „საქართველოს ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების ოჯახის წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ პირებს; დ) ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ სხვა პირებს. მუხლის შესაბამისად აქვს უფლება მთავრობას, დაუნიშნოს ფარცხალაძეს დაცვა. ანუ უკანონო არ არის.

— **ვინ იღებს გადაწყვეტილებას?**

– მოგახსენეთ, რომ ეს საკითხი სპეციალური დაცვის სამსახურის შესახებ კანონის ფარგლებში რეგულირდება, გადაწყვეტილებას დაცვის დანიშვნის შესახებ წარდგინებით ნიშნავს სამსახურის უფროსი. წარდგინება შეუძლიათ: პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარესა და, პირველ რიგში, პრემიერს. ყოფილ ჩინოვნიკებსაც ემსახურებათ დაცვა. ამის შესახებ გადაწყვეტილებას პრემიერი ან სამსახურის უფროსი იღებს. მაგალითად: შევარდნაძე, სააკაშვილი, ბურჯანაძე და ბაქრაძე დღესაც სარგებლობენ.

— **დაცვის სამსახურმა მიპასუხა, არ ემსახურება დაცვა ფარცხალაძესო.**

– შეიძლება ამაზე პასუხი არ გაგცენ, რადგანაც აქვთ უფლება, არ მოგაწოდონ ინფორმაცია. პირადი ხასიათის ინფორმაციაა. აღარ არის ჩინოვნიკი, მაგრამ გენერალურ პროკურორს განსაკუთრებით იცავს სახელმწიფო. მაგალითად, არჩილ კბილაშვილს 4 ეკიპაჟი დაცვა დაჰყვებოდა. ყოფილებსაც იცავენ, გააჩნია შემთხვევას. ამის შესახებ გადაწყვეტილებას დაცვის სამსახური იღებს და მას აქვს ამის დისკრეცია. მაგრამ თუ არ მოუხსნეს დაცვა საერთოდ და იგივე დაცვის სერვისით სარგებლობს, მაშინ საქმე გვაქვს სიყვარულთან, რომელიც აკავშირებს მთავრობის ხელმძღვანელობას ფარცხალაძესთან.

ამის შემდეგ დაკავშირება ვცადეთ უმცირესობის დეპუტატთან, აკაკი მინაშვილთან. გვინდოდა გვეკითხა, რატომ ატეხა აჟიოტაჟი, თუკი ფარცხალაძეს ოფიციალურად შეიძლება ჰყავდეს დაცვა? რამდენიმე საათი უშედეგოდ ვურეკავდით, მივწერეთ კიდეც, მაგრამ მან კითხვებზე არ გვიპასუხა.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

# რას ამბობს ვანო მაჭავარიანი ივანიშვილის ბრალდებებზე

**პრეზიდენტის მრჩეველი ვანო მაჭავარიანი, რომელიც ყოფილ პრემიერ ბიძინა ივანიშვილსა და მოქმედ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს შორის ღია დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი გახდა, აცხადებს, რომ ინფორმაცია ჰქონდა ამის თაობაზე, თუმცა არ ეგონა, რომ ეს დაპირისპირება ასეთი მწვავე იყო**

– ბატონო ვანო, ჩვენ მოვიძიეთ ინფორმაცია და „საპარტნიორო ფონდიდან" თქვენი დათხოვნის საფუძველი 2012 წლის 1-ელ ნოემბერს გახდა „შრომითი ხელშეკრულების უხეში დარღვევა". ბატონმა ბიძინამ სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადა, რომ ფონდის მაშინდელმა დირექტორმა ნიკა გილაურმა მას შეუთვალა, რომ თქვენ არ დადიოდით სამსახურში და „ქრთამის სახით იღებდით ხელფასს" 7000 ლარის ოდენობით. ჩვენ დღეს ბატონ ნიკა გილაურთანაც ვცადეთ გასაუბრება ამ საკითხზე, თუმცა მან არ ისურვა დეტალებზე საუბარი. რეალურად, თქვენ დადიოდით სამსახურში? რა გახდა საპარტნიორო ფონდიდან თქვენი დათხოვნის მიზეზი, სადაც მუშაობდით აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის პოზიციაზე საგარეო ურთიერთობების საკითხებში?

– საბოლოო ჯამში, მე მგონი, თვითონ ბატონმა ბიძინამ ისაუბრა, რაც იყო – მასა და ბატონ გილაურს შორის საუბარი.

— **ანუ ადასტურებთ, რომ თქვენ არ დადიოდით სამსახურში და ისე იღებდით ანაზღაურებას?**

– არა, არა, რას ლაპარაკობთ?! მე ვმუშაობდი „საპარტნიორო ფონდში" საგარეო ურთიერთობების კუთხით, რაც არის ჩემი პროფესია, ზოგადად, და სხვებისგან განსხვავებით, რომლებიც ახლა გამოჩნდნენ ასპარეზზე, არ მერიდებოდა და არ მეშინოდა ბიძინასთან ურთიერთობა და ამის შესახებ ძალიან კარგად იცოდა გილაურმა და სხვებმაც, ვინც იქ მუშაობდა. მე როცა იქ ვმუშაობდი, მაშინ იყო იქ ირაკლი ეზუგბაია დირექტორი, ვმუშაობდი ზუსტად საგარეო მიმართულებით, მსგავს საპარტნიორო ფონდებთან ურთიერთობის დამყარებაზე, რომელსაც ვაკეთებდით და მიდიოდა რამდენიმე პროექტზე მუშაობა იაპონიის თუ კორეელ ინვესტორებთან, კონკრეტულად ჰიდროელექტროპროექტებთან დაკავშირებით, ამიტომ ჩემი ჩართულობა, რა თქმა უნდა, იყო.

ზუსტად იმის მერე, რაც მე ბიძინასთან მქონდა შეხება, შემექმნა ძალიან ბევრი პრობლემა, ასე ვთქვათ, ნაწილობრივ ჩამომაშორეს ჩემს საქმეს. ჩემი პოლიტიკური თუ კრიტიკული დამოკიდებულება არასდროს შემიცვლია და ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც სირთულეები შემექმნა, იყო ჩემი შეხება ბიძინა ივანიშვილთან. საბოლოო წვეთი იყო ის, რომ გილაურმა ბოლო ერთ-ერთი თათბირი ჩაატარა, სადაც ძალიან შეურაცხყოფა მიაყენა ბიძინას და მოითხოვა, რომ ვისაც აქვს სხვა პოლიტიკური შეხედულებები და იზიარებს „ოცნების" იდეებს, შეუძლია დღესვე დაწეროს სამსახურიდან წასვლაზე განცხადებაო. მქონდა მასთან ძალიან ღია კონფრონტაცია და საუბარი ამ თათბირზე, რომლის მომსწრეები არიან „საპარტნიორო ფონდის" სხვა თანამშრომლები. მან ღიად მითხრა, რომ აუცილებლად გამათავისუფლებდა სამსახურიდან და მერე, სხვათა შორის, ეს გააკეთა კიდეც.

— **ეს თათბირი საპარლამენტო არჩევნებამდე იყო?**

– დიახ, არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, სადაც გილაური მოგვიწოდებდა ღიად, რომ მხარი დაგვეჭირა „ნაციონალური მოძრაობისთვის", სხვა შემთხვევაში, დაგვეწერა განცხადება, რაზეც მე ვუთხარი, მე მზად ვარ, დღესვე დავწერო განცხადება-მეთქი. ამას მოჰყვა ზუსტად ის, რომ მან თქვა, რომ დამითხოვასავით სამსახურიდან. მე მაინც დავდიოდი, რა თქმა უნდა, იმიტომ რომ ჩვეულებრივი ჩვევა არის ეს. ბოლოს იყო ერთ-ერთი ეთერი, სადაც მე ვიყავი შალვა რამიშვილთან და მანდ იყო საუბარი „საპარტნიორო ფონდთანაც", ზუსტად აი, ამ თათბირთან დაკავშირებით და ზუსტად იმ დღეს, როდესაც მე ვიყავი იქ, გილაურმა იურისტს დაავალა, რომ მოეძებნა ყველაზე იოლი საბაბი, რის გამოც მე სამსახურიდან გამათავისუფლებდა.



— **„შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების უხეში დარღვევა" — ოფიციალურად ამ მოტივით გაგათავისუფლეს... რაში გამოიხატა თქვენი მხრიდან ეს დარღვევები?**

– არაფერში. უბრალოდ, მანდ მუქარა იყო, რომ მომხსნიდა სამსახურიდან ჩემი პოლიტიკური შეხედულებების გამო, მან (გილაურმა) ეს აღასრულა. (ნეტგაზეთი)

რეკლამა: 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

# ექსკლუზივი

# რა არ თქვა ბიძინა ივანიშვილმა „იმედის“ პირდაპირ ეთერში მარგველაშვილზე?!

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა არჩევნების შემდეგ პრინციპულად განსხვავებული თვისებები გამოავლინა. ივანიშვილი ამბობს, რომ მას მარგველაშვილთან ურთიერთობა არ აქვს:

„არ დავმალავ – ველოდი უკეთესს. პირველი ორი თვე მქონდა საკმაოდ ბევრი პოლემიკა უკვე არჩეულ პრეზიდენტთან. მრავლად იყო გაუგებრობა ჩვენს შორის. პრინციპულად განსხვავებული თვისებები აღმოაჩნდა... ხასიათი გამოავლინა მარგველაშვილმა არჩევნების შემდგომ. 60 წლის ვხდები და მსგავსი რამ არ მახსოვს. დღეს ჩვენ აღარ ვაგრძელებთ არაფორმალურ ურთიერთობებს და ამაშიც ტრაგედიას ვერ ვხედავ. ჩვენ ორივე მხრიდან გადავწყვიტეთ, რომ ეს საჭირო აღარაა და საჯაროდ შეგვიძლია ვისაუბროთ, თუკი მის ირგვლივ რაიმე ხდება“.

სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილსა და გიორგი მარგველაშვილს შორის რომ დაძაბული ურთიერთობა იყო, ამაზე მე თავად ვწერდი „ალიას“ არაერთ ნომერში და იმაზეც მივუთითებდი, როგორ მოქმედებდნენ უნისონში „მარგველისტები“, „რესპუბლიკელები“ და „ნაციონალები“. მართალია, თითქმის ყველა სტატია კონფიდენციალურ წყაროზე დაყრდნობით იწერებოდა, მაგრამ ახლა, როცა ბიძინა ივანიშვილმა კარტები თავადვე გახსნა, აღმოჩნდა, რომ ჩვენი წყარო არ ტყუოდა. დიახ, პრეზიდენტსა და ყოფილ პრემიერს შორის კონფლიქტი მას შემდეგ გაჩნდა, რაც ეს უკანასკნელი თანამდებობიდან გადადგა. პირველი „ჯახის“ მიზეზი იყო ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, რომელიც ივანიშვილმა დატოვა და შემდეგ ნარმანიას კაბინეტში „რესპუბლიკელებმა“, ირაკლი მელაშვილის დახმარებით, მთლიანად გამოშიგნეს. მეტიც, კოდექსში ისეთი „ბომბები“ ჩადეს, საქართველოში ყველა ეთნიკურ უმცირესობას ეძლეოდა ავტონომიის გამოცხადების უფლება. ალბათ, გახსოვთ, „ალიაში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციის შემდეგ მისმა უწმინდესობამ, ილია მეორემაც გააკეთა განცხადება და ე.წ. შეთქმულებაც ჩაიშალა. ამას მოჰყვა „ნაციონალებისა“ და „რესპუბლიკელების“ ინიციატივა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე. თუ ამ ცვლილებებს მიიღებდნენ, მოწმეების დაკითხვა გადავიდოდა პოლიციიდან და პროკურატურიდან სასამართლოში, რაც პირდაპირ ასხამდა წყალს „ნაციონალების“ წისქვილზე. ამაზე არასამთავრობოებმაც და „ნაციონალ-რესპუბლიკელებმაც“ ერთი ამბავი ატეხეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, საპარლამენტო უმრავლესობამ ეს ინიციატივა 2015 წლამდე გადადო.



ალასანიას პარიზული ფოტო

აი, სწორედ აქ დაიძაბა სიტუაცია ივანიშვილსა და მარგველაშვილს შორის, რომელსაც უნდოდა, უმრავლესობის გადაწყვეტილებისთვის ვეტო დაედო. როდესაც ივანიშვილს უთქვამს, პარლამენტის აზრი გაითვალისწინეო, მას უპასუხია: ყ...ზე მკიდია შენი უმრავლესობაო! მაშინ მარგველაშვილს ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა ხმამაღლა მიუთითა: ბიჭო, რაც შენ არ გეხება, იქ ცხვირს ნუ ჰყოფი! ამის შემდეგ უფუნქციო პრეზიდენტი, ცოტა არ იყოს, თავის ადგილზე „მოჯდა“ და პოზიციებიც დათმო, მაგრამ ფარული ვირეშმაკობები მაინც განაგრძო. მესამე „ბათქი“, უკვე იცით, იყო „ნაციონალ“ ვანო მაჭავარიანთან დაკავშირებით, მაგრამ ძალიან საინტერესოა მეოთხე „ბათქი“, რომელზეც ბიძინა ივანიშვილმა არ ისაუბრა, ეს გახლავთ გიორგი მარგველაშვილის ოჯახური მდგომარეობა და მისი სექსუალური თავაშვებულობა... ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ ჩვენმა უსაქმურმა პრეზიდენტმა თავისი მეგობარი ქალბატონი, მაკა ჩიჩუა, რომელიც, რატომღაც თავს პირველ ლედიდ მიიჩნევს, მიატოვა და სხვა ქალს, თავისივე პრესსამსახურის თანამშრომელს, ქრისტინე გარუჩავას დაუწყო კურკური. მართალია, ეს ფაქტი საზოგადოებამ ჭორად ჩათვალა და იუმორის საგნადაც კი იქცა, მაგრამ მარგველაშვილს სინამდვილეში მართლაც ჰქონია სექსუალური პრობლემები. ინკოგნიტო წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად: პრეზიდენტის ახალ ფავორიტ ქალსა და მაკა ჩიჩუას შორის სერიოზული დაპირისპირება მომხდარა, სიტყვიერი შეურაცხყოფა ფიზიკურში გადაზრდილა, ერთმანეთი თმებით უთრევიათ და პრეზიდენტის დაცვას ძლივს გაუშველებიათ.. ინკოგნიტო წყაროს თქმით, მაკა ჩიჩუამ ჯერ ბოთლი უთავაზა გიორგი მარგველაშვილს



გვერდებში, შემდეგ კი ულტიმატუმი წაუყენა, ან მე ან ის ქალიო. პრეზიდენტს უთქვამს: მე ორივე მინდიხართო. ასე რომ, ახლა ჩვენ „გაორებული“ პრეზიდენტი გვყავს.

აქ ერთი რამ არის საკითხავი: ჩვენ რა დავაშავეთ, რატომ უნდა ვინახოთ ასეთი „ნაცარქექია“ პრეზიდენტი, რომელსაც, სააკაშვილისა არ იყოს, სექსუალური აშლილობა აქვს?! ბიძინა ივანიშვილს უთქვამს: გიორგი, ნება იბოძე და შენი ოჯახური მდგომარეობა მაინც დაალაგეო. ესეც, ეს ჩვენი პრეზიდენტიც „ავარდნილა“ და ასეთი პასუხი გაუცია: მთელი სამყარო ყ...ზე მკიდიაო! აი, ამაზე წუხს ბიძინა ივანიშვილი, სადაცაა 60 წლის გავხდები და ადამიანის ასეთი ცვლილება არ მინახავსო. ბუნებრივია, ბიძინა ივანიშვილი ამ თემაზე დეტალურად ვერ ისაუბრებდა და ვერც იმას იტყოდა, მარგველაშვილის „საყვარელი“ თავს პირველ ლედად ასაღებს მაშინ, როცა პრეზიდენტს თვალი სხვა ქალებისკენ გაურბისო. რა თქმა უნდა, ერთი ამბავი ატყდებოდა, ივანიშვილი პრეზიდენტის პირად ცხოვრებაში ერევა, ამისი უფლება ნამდვილად არ აქვსო.

ალბათ, გახსოვთ, რა ამბავი ატეხა ბიძინა ივანიშვილმა, როცა ირაკლი ალასანიამ დუბაიში საიდუმლო „სექს-ტური“ მოაწყო და შემდეგ იგივე ბიძინას მიადგა, ცოლთან საქმე ჩამიწყვეო. მაშინ ივანიშვილმა ყველაფერი თითქმის იუმორში გაატარა, მაგრამ გავიდა დრო, მოვედით დღემდე და არა მხოლოდ მარგველაშვილის, არამედ ალასანიას საქციელიც პრობლემად გვექცა. სოციალურ ქსელებში უკვე ვრცელდება ვიდეორგოლი, სადაც ირაკლი ალასანიას „მოგზაურობაა“ დაფიქსირებული პარიზში თაკო ვალიშვილთან ერთად. ალასანიამ მას პარიზში ბრიუსელიდან ჩააკითხა. ვალიშვილი არის 28 წლის, პროფესიით არქიტექტორ-დიზაინერი, ჰყავს ერთი შვილი. მეუღლეს გაცილებულია. რა სჭირთ მარგველაშვილსა და ალასანიას? რატომ ემსგავსებიან ისინი მიხეილ სააკაშვილს? კონფიდენციალური წყაროს ცნობით, ირაკლი ალასანია ამ ვიდეოს გავრცელების გამო გადარეულია და ფარულად ცდილობს, ყველა ქართულ სააგენტოს აალებინოს, მაგრამ არა მგონია, „იუთუბის“ რამე მოუხერხოს. აი, რაზეა გადარეული ბიძინა ივანიშვილი და აი, რაზე ვერ ილაპარაკა მან „იმედის“ ეთერში! გვიან ღამით კი „იუთუბისაც“ დააბლოკვინა, თუმცა ჩვენ მაინც მოვასწარით ფოტოების გადმოწერა.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## უმრავლესობა სასამართლოს ენდობა



სასამართლოს მომსახურების ხარისხის კვლევის თანახმად, რესპონდენტთა უმრავლესობა სასამართლოს ენდობა. კონსტანტინე კუბლაშვილის ინფორმაციით, კვლევა 2014 წლის თებერვალში, მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით ჩატარდა. თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოებში სასამართლოს 1330 მომხმარებელი გამოიკითხა.

„შეკითხვაზე: სასამართლოში მოსვლის შემდეგ, როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ სასამართლოს ფუნქციონირებაზე, კუბლაშვილის ინფორმაციით, თითქმის 44%-ის განწყობა დადებითისკენ შეიცვალა, არ შეიცვალა და ისედაც პოზიტიური შთაბეჭდილება ჰქონდა 36%-ს. ანუ, ფაქტობრივად, 80% ამბობს, რომ მას დადებითი განწყობა აქვს სასამართლო სისტემის მიმართ. ჯამში, უარყოფითი განწყობა თითქმის 12% გამოდის. კითხვაზე: მთლიანად რამდენად კმაყოფილი ბრძანდებით სასამართლოს მომსახურების ხარისხით, გამოკითხულთა 65%-ზე მეტმა აღნიშნა, რომ ის ძალიან კმაყოფილია, ან კმაყოფილია სასამართლოს მომსახურებით, 22% არ აფიქსირებს თავის აზრს, თუმცა აფიქსირებს, რომ ის უკმაყოფილო არ არის, უკმაყოფილო და ძალიან უკმაყოფილო ჯამში არის მხოლოდ 8%. შეკითხვაზე: რამდენად ენდობით სასამართლო სისტემას, მთლიანად ენდობა გამოკითხულთა 58%, მეტ-ნაკლებად ენდობა 33%. ჯამში, ესეც 80%-ზე მეტია. რომ შევკრიბოთ, რამდენი არ ენდობა, მივიღებთ მხოლოდ 5,7%-ს“, – აღნიშნა კუბლაშვილმა.

მისივე თქმით, გამოკითხულთა 80%-ზე მეტმა აღნიშნა, რომ სასამართლოში კორუფცია აღარ არის და მხოლოდ 12% მიიჩნევს, რომ შესაძლოა კორუფცია ერთეულ შემთხვევებში იყოს. (ინტერპრესნიუსი)

## კუბლაშვილი მოსამართლეთა იმუნიტეტის შესუსტების წინააღმდეგია



საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, კონსტანტინე კუბლაშვილის განცხადებით, ის ყოველთვის წინააღმდეგი იქნება, რომ მოსამართლეების მიმართ რაიმე იმუნიტეტი შესუსტდეს.

„იმუნიტეტის დიდი ნაწილი დაცულია კონსტიტუციით, მოსამართლეების მიმართაც ასეა და პარლამენტის წევრების მიმართაც, მაგრამ რაღაც ნაწილი სისხლის სამართლის საქმეზე ბრალის წაყენების შემთხვევაში მოცემულია საპროცესო კოდექსის დონეზე და არა კონსტიტუციის დონეზე. რამდენად სწორია ამის გაუქმება – ეს არის მეორე საკითხი. პარლამენტში მიიჩნევენ, რომ ეს არაკონსტიტუციურია, თუმცა არაკონსტიტუციური არის თუ არა, ამის შესახებ გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა მიიღოს, ეს არის კონკრეტული ადამიანების მიდგომა, პარლამენტის წევრებისა, რომ საპროცესო კოდექსში რაც არის მოცემული, ეს არის არაკონსტიტუციური, თუმცა არსებობს სხვა მიდგომაც, რომ ეს ასე არ არის, პირიქით, იმუნიტეტის რაღაც ნაწილს ერთი დონის კანონი განსაზღვრავს და დიდ ნაწილს უმაღლესი კანონი, უზენაესი კანონი კონსტიტუცია. რა მოხდება მე ვერ გეტყვით, მაგრამ მე, პირადად, ყოველთვის წინააღმდეგი ვიქნები, რომ მოსამართლეების მიმართ რაიმე იმუნიტეტი შესუსტდეს, რადგან ისედაც არ აქვთ განსაკუთრებული იმუნიტეტი, პარლამენტის წევრებისგან განსხვავებით, და ამიტომაც არავითარ შესუსტებაზე აქ ლაპარაკი არ უნდა იყოს“, – აღნიშნა კონსტანტინე კუბლაშვილმა.

„ჩემს წინადადებებს უკვე ვამზადებ და თქვენთვისაც ცნობილი გახდება, ჩემი აზრით, რა არის საჭირო, რომ მოსამართლის იმუნიტეტიც და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის პრინციპები როგორ უნდა განმტკიცდეს კიდევ უფრო კონსტიტუციის დონეზე. ამ კუთხით შესაძლებელია იმის გაკეთებაც, რომ ის, რაც არის კანონმდებლობის დონეზე, ეს გარანტიები კონსტიტუციის დონეზე ავიდეს მოსამართლეებისთვის, რომ უფრო ხელშეუხებელი იყოს ეს ნორმები და პარლამენტს არ ჰქონდეს საშუალება, ჩვეულებრივი უმრავლესობით რაღაც ცვლილება გააკეთოს კანონმდებლობაში და ისე გააუქმოს რაღაც, რაც მოსამართლეებსა და სასამართლო სისტემას ეხება“, – განაცხადა კონსტანტინე კუბლაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

ექსკლუზივი

# რა განაჩენი გამოუტანეს „ნაციონალებმა“ ოთარ ფარცხალაძეს?!

18 მარტს „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრა მათივე ოფისში დახურულ კარს მიღმა გაიმართა. როგორც „ალიას“ ინკოგნიტო წყარო ატყობინებს, მესამეხარისხოვან (შეხვედრას არ ესწრებოდნენ საელჩოების პირველი პირები) დიპლომატებს მიაწოდეს ცრუ ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს წინასაარჩევნოდ ქვეყანაში მასობრივად მიმდინარეობს „ნაციონალების“ დევნა-დაპატიმრებები: პარტიის გენმდივანი, ვანო მერაბიშვილი ციხეშია, გიგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარეობს გამოძიება, კახა ბენდუქიძე პროკურატურაში დაიბარეს და რაც მთავარია, დაიწყო შეტევა იმ ორგანიზაციის წინააღმდეგ, რომელიც მედიის რეიტინგებს ადგენს. „ნაციონალებმა“ უცხოელ დიპლომატებთან იმის მტკიცებაც დაიწყეს, რომ ამ ყველაფრის უკან დგას ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ბიძინა ივანიშვილი, რომელიც თავის „ბინძურ“ საქმეებს აკეთებს ყოფილი მთავარი პროკურორის, ოთარ ფარცხალაძის ხელით. „ნაციონალები“ ძალიან წუხან, რომ ბიძინა ივანიშვილი დღესაც რჩება დე ფაქტო მმართველად და მისი მარიონეტი ღარიბაშვილი უსიტყვოდ ასრულებს დავალებებს. უცხოელმა დიპლომატებმა ყოველგვარი კომენტარის გარეშე დატოვეს „ნაციონალების“ ოფისი... როგორც ინკოგნიტო წყარო ამტკიცებს „ალიასთან“ საუბარში, მეორე სერია უკვე „შინაურულ“ წრეში ჩატარდა და სულ ხუთი მამალი „ნაცი“ ესწრებოდა (გიგა ბოკერია, გიგი უგულავა, ირმა ნადირაშვილი, გივია თარგამაძე და გიორგი კანდელაკი), საუბრის ძირითადი თემა გახლდათ ოთარ ფარცხალაძის მომავალი.

ბოლო დღეებში „ნაციონალები“ ინტენსიურად ამახვილებენ ყურადღებას ყოფილ მთავარ პროკურორზე და ამტკიცებენ, რომ ის თანამდებობის გარეშეც კარგად ახერხებს მათი სულიერი ძმების დევნას, რაზეც „დაბრო“ აქვს გაცემული ასევე თანამდებობის გარეშე დარჩენილ ბიძინა ივანიშვილს. შეიძლება დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ „ნაცების“ საიდუმლო „სხადნიაკზე“ გივია თარგამაძისთვის დაუვალებიათ, თავისი კავშირების საშუალებით, მოახდინოს ოთარ ფარცხალაძის ნეიტრალიზება. დაუკვირდით ბოლო ორი დღის მოვლენებს, კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, „ნაციონალებმა“ 18 მარტს, საღამოს 10 საათამდე უკვე იცოდნენ, რას იტყოდა ბიძინა ივანიშვილი ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში („პოლიტიკის დრო“). ვინაიდან გადაცემა წინასწარ იყო ჩაწერილი, ინფორმაციამ გაჟონა და ამიტომაც მიხეილ სააკაშვილის ბანდის წევრებმა საბოლოო „განაჩენიც“ ცოტა ნაადრევად გამოიტანეს.

ბიძინა ივანიშვილი: „ოთარ ფარცხალაძეს ახლოს არა, მაგრამ ვიცნობდი, ძალიან კაცური, ვაჟკაცური ადამიანია. არ ვიცი, როგორ მოხდა მისი დანიშვნა, რომ გამოეპარათ ეს დეტალი. ეს ქართული ხასიათია, როცა ტექნიკას ვყიდულობთ, პირდაპირ დენში ვრთავთ, არავინ ვკითხულობთ ინსტრუქციას. მის დანიშვნაში უკანონო არაფერი იყო, არც მან მიაქცია ამ ამბავს ყურადღება და არც გუნდმა. თანაც, ის მანამდე იყო ნამუშევარი მაღალ თანამდებობაზე, მანამდეც უნდა მიქცეოდა ყურადღება ამ საქმეს... რა, ფინანსური პოლიციის უფროსობა თანამდებობა არ არის? ვიმეორებ, ოთარის დანიშვნით კანონი არ დარღვეულა, მაგრამ, როგორც კი ეს თემა აიწია, ის გადადგა... ორი ყოფილი მთავარი პროკურორი გვყავს, არჩილ კბილაშვილი თავისუფალია და არავინ მას ხელს არ უგრეხს, ნებისმიერ თემაზე შეუძლია ისაუბროს, თუ რა ხდებოდა მის დროს – ხდებოდა თუ არა ის, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ ხატავს, რომ ლამის მე ვიჭერდი ყველას“.

„ნაციონალები“ მორიგ შტურმს ამზადებენ ივანიშვილისა და ფარცხალაძის წინააღმდეგ... ერთი რამ ცხადია, ტერორისტული ორგანიზაცია „ნაციონალური მოძრაობა“ გადამწყვეტ შეტევაზე გადადის. სამწუხაროდ, ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობენ პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და „რესპუბლიკელები“. აშკარად ვხედავთ, ბიძინა ივანიშვილი მორიგი დილემის წინაშე აღმოჩნდა და სხვათა შორის, როგორც ინკოგნიტო წყარო ამბობს „ალიასთან“ საუბარში, არ უნდა გამოვრიცხოთ პოლიტიკაში ყოფილი პრემიერის დაბრუნებაც. ალბათ, გახსოვთ, მან თანამდებობიდან წასვლისას განაცხადა: თუ საჭირო იქნება, პოლიტიკაში ისევ დავბრუნდებიო.

დავუბრუნდეთ ოთარ ფარცხალაძის საკითხს... ჩვენ უკვე ვიცით, რომ პირველი „რაუნდი“, ასე თუ ისე, ციხეში მყოფმა ვანო მერაბიშვილმა მოიგო, როცა საკნიდან მისი გატაცებისა და მთავარ პროკურორთან მიყვანის შესახებ განაცხადა. მოგვიანებით გიგი უგულავა აყვირდა, მთავარი პროკურორი ყაჩაღობისთვის იყო გასამართლებული გერმანიაშიო. ფარცხალაძე გადადგა.

„ალიამ“ საგულდაგულოდ გადაამოწმა და აღმოჩნდა, რომ ის ამჟამად არსად არ მუშაობს, მაგრამ „ნაციონალებს“ მისი სახით უკვე მაჯლაჯუნები ესიზმრებათ და თვლიან, რომ გივია თარგამაძის კავშირების წყალობით როგორმე უნდა განეიტრალდეს. მათი აზრით, ბიძინა ივანიშვილი ერთ საკმაოდ სერიოზულ მხარდამჭერსა და ბრძანებების შემსრულებელს დაკარგავს. ინკოგნიტო წყაროს ინფორმაციის თანახმად, „ნაციონალებს“ ფარცხალაძის მოშორება სხვა მიზეზითაც უნდათ – ის სააკაშვილის რეჟიმის დროს ისეთ თანამდებობაზე მუშაობდა (ფინანსური პოლიციის უფროსი), სულ ზეპირად იცის, თარგამაძეებს, კეზერაშვილებსა თუ სხვებს, სად რა თანხები აქვთ გადამალული.




გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „საეჭვო ამომრჩევლებთან“ დაკავშირებით წესები იცვლება




მმართველი გუნდი არჩევნების დღეს, ამომრჩეველთა ვერიფიკაციასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას ცვლის. „საარჩევნო კოდექსიდან“ მთლიანად ამოდის მუხლი, რომელიც საარჩევნო უბანზე, ამომრჩევლის იდენტიფიცირების პროცესში ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, საქმეში პოლიციის ჩართვას ითვალისწინებს.

პარლამენტის მიერ გასულ კვირას დამტკიცებული პროექტის თანახმად, რომელიც ძალაში უკვე შევიდა, თუკი ამომრჩევლის სახეს, მის საიდენტიფიკაციო დოკუმენტსა და საარჩევნო სიას დართულ ფოტოსურათს შორის რეგისტრატორსა და საარჩევნო უბნის თავმჯდომარეს ეჭვი უჩნდებათ, ასეთ ამომრჩეველს საარჩევნო ბიულეტენი არ მიეცემა. ინფორმაცია ამ ფაქტის შესახებ კი პოლიციას ეცნობება. თავდაპირველად განიხილებოდა ვერსია, თავად ასეთი პირის პოლიციისთვის დაუყოვნებლივი წარდგენის შესახებ, თუმცა საბოლოოდ, მმართველ გუნდში პოლიციისთვის ინფორმაციის წარდგენის გადაწყვეტილება მიიღეს.

პროექტის გათვალისწინებით, ამომრჩეველთა ერთიან სიაში არ იქნება შეყვანილი ის ამომრჩეველი, რომელსაც აღებული არა აქვს იურიდიული ძალის მქონე საქართველოს პირადობის მოწმობა ან პასპორტი. ასეთ ამომრჩეველს არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა იმ შემთხვევაში მიეცემა, თუ არჩევნებამდე არაუგვიანეს მე-11 დღისა, სერვისების განვითარების სააგენტოში რეგისტრაციას გაივლის.

რაც შეეხება არჩევნების დღეს, საარჩევნო უბნებზე, ამომრჩეველთა იდენტიფიცირების ახალ პროცედურას, კანონპროექტის თანახმად, თუ კენჭისყრის დროს ამომრჩევლის მიერ წარდგენილ საბუთებში აღნიშნული სარეგისტრაციო მონაცემები, გარდა ფოტოსურათისა, ამომრჩეველთა სიაში არსებულ მონაცემებს შეესაბამება, მაგრამ კომისიის რეგისტრატორი, საარჩევნო კომისიის წევრი და საარჩევნო უბანზე ყოფნის უფლების მქონე პირი ამომრჩევლის სახესა და სიაში არსებულ ფოტოსურათს ერთიმეორესთან შეუსაბამოდ მიიჩნევენ, რასაც საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეც დაადასტურებს, ასეთ პირს არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მიეცემა. ამასთანავე, პროექტის მიხედვით, თუ ასეთი ამომრჩეველი კენჭისყრის დასრულებამდე კომისიის თავმჯდომარეს იმავე უბნის ორ ამომრჩეველს წარუდგენს, რომლებიც პირის ვინაობას წერილობით დაადასტურებენ, მაშინ მას არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცემა.

პროექტის გათვალისწინებით, ასეთი შემთხვევის დაფიქსირებისას, როცა გაჩნდება ეჭვი ამომრჩევლის იდენტურობის თაობაზე, შესაბამისი მასალის ასლები ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გადაეგზავნება. თავის მხრივ, ცესკო არჩევნების შემდგომ, 40 დღის განმავლობაში, განიხილავს საკითხს და მასალებს პირის ვინაობის გადამოწმების მიზნით სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადასცემს. (ინტერპრესნიუსი)

## სახელისა და გვარის შეცვლას სახლიდან გაუსვლელად შეძლებთ

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო და იუსტიციის სახლი საქართველოს მოქალაქეებს ახალ ონლაინ სერვისს სთავაზობს. ონლაინ მომსახურებით საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეებს, შეუძლიათ განაცხადი დაარეგისტრირონ სახლიდან გაუსვლელად.

სახელის/გვარის შეცვლაზე განცხადების წარდგენა შესაძლებელია ელექტრონულად სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ან იუსტიციის სახლის ვებგვერდის საშუალებით – www.sda.gov.ge და www.psh.gov.ge. ონლაინ რეჟიმში განაცხადის გასაკეთებლად მოქალაქეს ესაჭიროება ვებ-კამერა, ყურსასმენი და მიკროფონი. სახელის და/ან გვარის შეცვლის მოწმობა გაიცემა 10 სამუშაო დღის ვადაში და მომსახურების საფასურია 350 ლარი. საფასურის გადახდა შესაძლებელია ონლაინ რეჟიმში ელექტრონული განცხადების შევსებისას პლასტიკური ბარათის მეშვეობით ან ნებისმიერ ბანკში ნაღდი ანგარიშსწორებით. ამ უკანასკნელის შემთხვევაში აუცილებელია განაცხადზე საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ელექტრონულად ატვირთვა.

სერვისთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დაუკავშირდეთ დისტანციური მომსახურების სამსახურს 24 საათის განმავლობაში ტელეფონის ნომერზე: 240-10-10, ან იუსტიციის სახლის საინფორმაციო სამსახურს ნომერზე: 2 405 405. (ინტერპრესნიუსი)

## თმის ცვენის საწინააღმდეგო 6 საუკეთესო საშუალება



მოდით, სანამ მთავარ სათქმელზე გადავიდოდეთ, ჯერ იმას გეტყვით, რომ როგორც მედიკოსები ამბობენ, თმის ცვენა ხშირ შემთხვევაში ორგანიზმის პრობლემებზე მეტყველებს, ან ვიტამინების ნაკლებობაზე. ორივე ვარიანტი არასასიამოვნოა და დაფიქრება ნამდვილად ღირს.

თუმცა ზოგჯერ თმის ცვენის მიზეზი არასწორი მოვლაა. აი, სწორედ აქ დაგეხმარებათ რეცეპტები, რომლებიც კარგად ყოფილა აპრობირებული.

1. ალოე – ეს მცენარე ყოველთვის იყო ერთ-ერთი ეფექტური საშუალება თმის ცვენასთან ბრძოლაში. მას ხშირად ისვამენ თავზე, რაც იმას ნიშნავს, რომ პრობლემასთან ბრძოლის საკმაოდ ხელმისაწვდომი საშუალებაა. რეცეპტი ასეთია: მოაჭერით ალოეს რამდენიმე ფოთოლი, გულდასმით გარეცხეთ და გააშრეთ. შემდეგ შეინახეთ მაცივრის კარში 12 საათი. თუკი ფოთოლს გვერდები გაუშავდება, მოაჭერით, ხოლო საღად დარჩენილი ნაწილი გაწურეთ და თმებზე 1-2 კვირის განმავლობაში წაისვით ხოლმე. ამბობენ, შედეგი გადასარევიაო.

2. ნიღაბი აბუსალათინის ზეთით – შემადგენლობა: აბუსალათინის ზეთი, ერთი ცალი ლიმონის წვენი, იმავე ლიმონის კანი, ერთი ცალი კვერცხის გული. ეს ყველაფერი კარგად აურიეთ ჭურჭელში, რომელიც დამზადებული იქნება ემალით და „მშვიდობით, მელოტო ჯემალი". მიღებული მასა თმებზე 2 საათი დაიტოვეთ, შემდეგ კი შამპუნითა და თბილი წყლით ჩამოიბანეთ.



3. ბირკავას ზეთი წითელი წიწაკით – პირველ რიგში, შეგახსენებთ, რომ ბირკავა ეკლებიანი ყვავილია, რომელიც მინდორში ძალიან ბევრჯერ გექნებათ ნანახი. ჰოდა, მისი ზეთი მისწრება ყოფილა თმის ცვენისთვის. საკმარისია ნახევარი კოვზი ბირკავას ზეთი და რამდენიმე წვეთი წითელი წიწაკის წვენი. გულდასმით შეიზილეთ მასა თმის ძირებში და თავზე პოლიეთილენის ქუდი დაიხურეთ. 1 საათის შემდეგ თავი შამპუნით დაიბანეთ. პროცედურა კვირაში ერთხელ უნდა ჩატარდეს.

4. ჭინჭრის ნახარში – მისი რეგულარული გამოყენება აფერხებს არა მხოლოდ თმის ცვენის პროცესს, არამედ მუსრს ავლებს ქერტლსაც.

5. ხნა – ამ ნატურალური საღებავის გამოყენების შემდეგ ბევრი ქალი ამჩნევს, რომ ვარცხნის შემდეგ, სავარცხელზე სულ უფრო ნაკლები თმა რჩება.

6. რომი ვაშლით – შემადგენლობა: 200 გრამი გახეხილი ვაშლი და 500 მილიგრამი რომი. ვაშლი ალკოჰოლში 3 დღე უნდა შეინახოთ. ამის შემდეგ მიღებული მასა თმის ძირებში კვირის მანძილზე უნდა შეიზილოთ. ეს რეცეპტი უფრო ღია ფერის თმის მქონეებისთვის ყოფილა, თუმცა რატომ, აღარ ზუსტდება.

*forumnt.ru*

## ქოლესტერინი სექსის სურვილს დაგაკარგვინებთ



ისედაც ცნობილი ამბავია, რომ საკვების გადამეტებულად მიღება სასიკეთო შედეგებს არასოდეს იძლევა და თუკი ამას დიდი რაოდენობით ქოლესტერინიც ემატება, მტრისას, ისეთი ცუდი ამბები დატრიალდება.

მაგალითად, იტალიელ მეცნიერებს აღმოუჩენიათ, რომ სისხლში ქოლესტერინისა და სხვა ცხიმების მომატებას, სექსუალური ფუნქციების მნიშვნელოვნად დაზიანება შეუძლია. განსაკუთრებული საშიშროება კი, ამ მხრივ, მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს ექმნებათ!

თუკი ეს მართლაც ასეა, გამოდის, რომ ფრიგიდულობა, ერთი მხრივ, საკვების ბრალი ყოფილა და გარდა ამისა, ასეთი უსიამოვნება ლიპიდებს (ცხიმისებრი ნივთიერებები, რომლებიც ყველა ცოცხალი უჯრედის შემადგენლობაში გვხვდება) უნდა დავაბრალოთ!



სპეციალისტების განმარტებით, ჰიპერლიპიდემია ათეროსკლეროზის ჩამოყალიბების მთავარი მიზეზია, რაც გულის იშემიურ და სხვა დაავადებების გაჩენით სრულდება. გარდა ამისა, ჰიპერლიპიდემიის ერთ-ერთი ყველაზე უსიამოვნო შედეგი მამაკაცებისთვის იმპოტენციაც გახლავთ.

რაც შეეხება ქალებს, იტალიელების მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოაჩინა, რომ რიგ შემთხვევებში, მათი აღგზნების დონე, მამაკაცების მსგავსად, გენიტალიებისკენ სისხლის გადასროლაზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, როცა ქოლესტერინი ლიპიდების დონეს ამაღლებს, თავისთავად იკლებს აღგზნებადობის დონე და ჩნდება სექსუალური აშლილობის სერიოზული საშიშროება. კერძოდ, ლიპიდების უარყოფითი გავლენა 100-დან 32 შემთხვევაში გამოვლინდა, ფრიგიდულობის მიზეზი კი იგი 9 შემთხვევაში გახდა.

იტალიელი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ქოლესტერინის საწინააღმდეგო პრეპარატებს ფრიგიდულობის პრობლემის მოგვარება მინიმუმ 1/3 შემთხვევაში შეუძლია.

შეგახსენებთ, რომ ყველაზე დიდი რაოდენობით ქოლესტერინს საქონლის ტვინი შეიცავს. შემდეგ მოდის ღორის ხორცი, იხვი, ხამანწკა, კიბო, ინდაური, ცხვრის ხორცი, წიწილა და ასე შემდეგ.

*medkarta.com*

## მოძალადე 77 წლის მოხუცის გაუპატიურებას შეეწირა



ნებისმიერი ადამიანი ცოდოა სიკვდილისთვის, მოძალადის გარდა! ალბათ, ძალიან არაჰუმანური პოზიცია გვაქვს, მაგრამ ასე ვფიქრობთ და რა ვქნათ?!

ჰოდა, ძალიან ცუდად დაამთავრა ამ სიტყვის ორი გაგებით ტეხასელმა მოძალადემ, რომელიც 77 წლის მოხუცის გაუპატიურების დროს გულის შეტევამ გააშეშა და მოუსვლელში გაისტუმრა.

როგორც ირკვევა, 53 წლის მოძალადე მარტოხელა მოხუცის სახლში შეიპარა და მსხვერპლის გაუპატიურება დაიწყო.

სულ რამდენიმე წუთში თავდამსხმელს ფერი წაუვიდა და გონება დაკარგა, ხოლო როცა ადგილზე პოლიცია და სასწრაფო დახმარება მივიდა, ის უკვე გარდაცვლილი იყო.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მოძალადეს საკმაოდ მდიდარი კრიმინალური წარსული ჰქონია. კერძოდ, 1986 წელს ის ბავშვის გაუპატიურებისთვის იყო ნასამართლევი. ამის შემდეგ მან კიდევ რამდენიმე მსგავსი დანაშაული ჩაიდინა და საბოლოო ჯამში, ციხეს თავი 2008 წელს დააღწია.

*lenta.ru*

## ალცჰეიმერის დაავადებას ძროხის ცოფის საწინააღმდეგო წამლით დაამარცხებენ?



ამ მიღწევას ექიმები სამედიცინო სენსაციას უწოდებენ, რადგან აღმოჩნდა, რომ დაუმარცხებლად შეფასებული ალცჰეიმერის დაავადებისთვის კისრის მოგრეხა ძროხის ცოფის საწინააღმდეგო წამლით ყოფილა შესაძლებელი.

მართალია, ჯერჯერობით მეთოდი ბოლომდე შესწავლილი არ არის, მაგრამ წინასწარ შედეგებზე დაყრდნობით მიღწევის ავტორები ამბობენ, რომ ძროხის ცოფის საწინააღმდეგო წამალში შემავალი ორი ანტისხეული ალცჰეიმერის დაავადების განვითარებას ბლოკავს.

უფრო რომ დავაზუსტოთ, ანტისხეულები არ აძლევენ საშუალებას ბეტა-ამილოიდის ცილას, ტვინში დაგროვდეს და ნერვული უჯრედები დააზიანოს. შედეგად, ანტისხეულები „აისიეს-18" და „აისიესემ-35" ადამიანს ეხმარებიან, ტვინის მუშაობის პროცესი არ შეფერხდეს და საჭირო დონეზე დარჩეს.

ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის პროფესორი ჯონ კოლინჯი განმარტავს, რომ ახალი მეთოდით მკურნალობა ჯერჯერობით მხოლოდ თაგვებზეა ჩატარებული. კვლევამ აჩვენა, რომ ზემოაღნიშნული ორი ანტისხეული ალცჰეიმერის დაავადების მკურნალობის საქმეში საკვანძო როლს ასრულებს.

– თუკი დავამტკიცებთ, რომ ანტისხეულები ყოვლად უსაფრთხოა, ექსპერიმენტებს უკვე ადამიანებს ჩავუტარებთ, – ამბობს ჯონ კოლინჯი.

*medkarta.com*

## „ახალგაზრდობის ელექსირის" შემქმნელის ქალიშვილი პრეპარატის გამოცდებს შეეწირა



სიბერის საწინააღმდეგო ელექსირის გამოცდის დროს 22 წლის ბრიტანელი იოლანდა კოკსი გარდაიცვალა, რაშიც სამართალდამცველები დედამისს ადანაშაულებენ – პრეპარატი სწორედ მან გამოიგონა და იმისთვის, რომ ფული აღარ დაეხარჯა, ექსპერიმენტი საკუთარ შვილზე ჩაატარა. რაც ყველაზე დიდი საშინელებაა, სასიკვდილო ინექცია 22 წლის იოლანდა კოკსს ორგანიზმში საკუთარმა დამ შეუყვანა.

როგორც ირკვევა, ამ პრეპარატის შესაქმნელად 10 წელი და დაახლოებით 3 მილიონი ფუნტი სტერლინგი დაიხარჯა, თუმცა რატომ გადაწყვიტა გარდაცვლილი გოგონას დედამ, რომლის ზუსტი გვარ-სახელი არ ზუსტდება, ექსპერიმენტის შვილზე ჩატარება, უცნობია.

*etotupo.ru*

## მამაკაცს ტელეშოუ მობეზრდა და ტელეკომპანიას აფეთქებით დაემუქრა



როცა ზოგ-ზოგიერთი ქართველების დემოკრატიულობას იწუნებს, თავის ქვეყანას მიხედოს, იქ როგორი მდგომარეობაა!

როგორც ირკვევა, ნიუ-იორკის შტატის მკვიდრი პოლიციამ იმის გამო დააპატიმრა, რომ თურმე, მას ერთ-ერთი ტელეკომპანიის შოუ იმდენად მობეზრდა, რომ შეუთვალა: „თუ შოუს ჩვენებას არ შეწყვეტთ, ცულს და ცუნცულას კი არა, ბომბს მოვიტან და ჰაერში აგწევთ თქვენი ასე და ისეო"...

ჰო, მართლა ამის გამო გაუნაწყენდა ტელეკომპანიას ფრედი კალდუელი და ტელევიზიის აფეთქებაც მოინდომა.

პოლიციამ დაადგინა, რომ ექვმიტანილმა ტელევიზიაში ორჯერ დარეკა – პირველად მიმდინარე წლის 11 მაისს, ხოლო როცა სასურველი შედეგი ვერ მიიღო, ანუ სულელური შოუ არ დასრულდა, „ტელევიზიონშიკებს" კიდევ ერთხელ შეეხმიანა.

მოკლედ, ზის ახლა ფრედი კალდუელი და ელოდება სასამართლოს, რომელიც, ალბათ, მას მინიმუმ სოლიდური ჯარიმით „დაასაჩუქრებს".

ისე, სულელური შოუების და მუშაობის გამო ჩვენც რომ ვაფეთქებდეთ ტელევიზიებს, ახლა საქართველოში არც ერთი არხი აღარ იქნებოდა.

*etotupo.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

# უკრაინის ხელისუფლებამ ყირიმიდან მოსახლეობის ევაკუაცია დაიწყო



რუსეთი ყირიმის მიერთებას ზეიმობს. რუსეთის დუმამ გადაწყვიტა, რომ ყირიმის შემოერთების დღესასწაულს დააწესებს და ეს იქნება 18 მარტი.

პარალელურად, პუტინიც დასავლეთის მიმართ აგრესიული განცხადებების კეთებას აგრძელებს და ამბობს, ძალიან კარგია, თუ დასავლეთმა გაიხსენა, რომ საერთოდ საერთაშორისო სამართლის ნორმები არსებობსო: „რატომღაც, ის, რაც ალბანეთში შეუძლიათ კოსოვოელებს, ეკრძალებათ რუსებს, უკრაინელებსა და ყირიმელ თათრებს. ჩნდება კითხვა – რატომ?! ევროპისგან და აშშ-სგან ჩვენ გვესმის, რომ კოსოვო განსაკუთრებული შემთხვევაა. მაინც რაში მდგომარეობს მისი განსაკუთრებულობა?! მათი აზრით, როგორც ჩანს, იმაში, რომ კოსოვოს კონფლიქტის დროს იყო ძალიან დიდი მსხვერპლი. ეს რა, იურიდიული და სამართლებრივი არგუმენტია?! ეს უკვე ორმაგი სტანდარტიც არ არის. ეს პრიმიტიული და სწორხაზოვანი ცინიზმია. არ შეიძლება ერთი და იგივე საგანს დღეს თეთრი დავუძახოთ, ხვალ – შავი. ყირიმში არ მომხდარა შეიარაღებული დაპირისპირება და მსხვერპლი. რატომ?! პასუხი ერთია – ხალხის ნების წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია. მადლობა იმ უკრაინელ სამხედროებსაც, ვინც არ წავიდა სისხლისღვრაზე. ამ დროს ჩვენ გველაპარაკებიან ყირიმში რუსეთის ინტერვენციაზე, აგრესიაზე. რაღაც არ მახსენდება ისეთი ინტერვენცია, რომელიც ერთი გასროლის გარეშე, მსხვერპლის გარეშე დასრულებულიყო. უკრაინის მოვლენები ანარეკლია იმისა, რაც მსოფლიოში ბოლო პერიოდში ხდება. ჩვენი დასავლელი პარტნიორები, აშშ-ის ხელმძღვანელობით, ამჯობინებენ იხელმძღვანელონ არა საერთაშორისო სამართლის ნორმებით, არამედ ძალის სიმართლით. ისინი დარწმუნებულები არიან თავიანთ განსაკუთრებულობაში. თითქოს მათ უფლება აქვთ, მსოფლიოს ბედი გადაწყვიტონ, რომ მართლები ყოველთვის მხოლოდ ისინი არიან. ისინი რომელიმე სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ იყენებენ ძალას, ქმნიან კოალიციებს პრინციპით – ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მოწინააღმდეგეა“.

სხვათა შორის, პუტინის ამ განცხადებას გუშინ დასავლეთის მხრიდან რეაქცია არ მოჰყოლია.

პუტინის ამ განცხადების შემდეგ, დასავლეთის მოსალოდნელ სანქციებთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა: „თუ მსოფლიოს ერთი კუთხიდან ერთი ეკონომიკური პარტნიორი სანქციებს გვიწესებს, ყურადღებას სხვა პარტნიორებისკენ მივმართავთ მსოფლიოს სხვა მხარეში. მსოფლიო ერთპოლარული არ არის, ჩვენ კონცენტრირებას სხვა ეკონომიკურ პარტნიორებზე მოვახდენთ“, – განაცხადა პესკოვმა, რითაც მიანიშნა, რომ დასავლეთი რუსეთს სანქციებით ვერ შეაშინებს.

ამის მიუხედავად, ავსტრალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ჯული ბიშოფმა განაცხადა, რომ ავსტრალია 12 რუს და უკრაინელ მაღალჩინოსანს სანქციებს დაუწესებს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის საპასუხოდ. ბიშოფის თქმით, ფინანსური სანქციები და სავიზო აკრძალვები შეეხებათ რვა რუს და ოთხ უკრაინელ მაღალჩინოსანს, თუმცა მან არ დაასახელა რუს და უკრაინელ მაღალჩინოსანთა გვარები.

დასავლეთის განცხადებების მიუხედავად, რუსი სამხედროები გუშინ მთელი დღის მანძილზე ეწეოდნენ უკრაინელი კოლეგების პროვოცირებას და ძალისმიერი მეთოდებით მოქმედებდნენ. „ყირიმის ე.წ. „თავდაცვამ“ უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბის დაახლოებით 200-მდე ადამიანი შეიჭრა შტაბის ტერიტორიაზე, რის გამოც უკრაინელმა სამხედროებმა შტაბი დატოვეს, მათ შორის, უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალების მეთაურმა სერგეი გაიდუკმაც, რომელიც „ფეესბეს“ წარმომადგენლებმა დააკავეს და პროკურატურაში გადაიყვანეს, სადაც დაკავების მიზეზად ის დაუსახელეს, რომ, მათი ინფორმაციით, გაიდუკმა სამხედროებს მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ იარაღის გამოყენება უბრძანა.

ამ ფონზე, სიტუაციის განსამუხტად ყირიმში ჩავიდნენ უკრაინის პირველი ვიცე-პრემიერი ვიტალი იარემა და თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი იგორ ტენიუხი, მაგრამ ისინი არ შეუშვეს. სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბის დაკავების შემდეგ რუსულმა სპეცრაზმებმა უკრაინის სარაკეტო დივიზიონის ბლოკირება მოახდინეს.

გუშინვე უკრაინის ხელისუფლებამ საგარეო საქმეთა სამინისტროს რუსეთის ფედერაციასთან სავიზო რეჟიმის შემოღება დაავალა. უკრაინამ ასევე გადაწყვიტა, შეაჩეროს 2014 წელს დსთ-ს თავმჯდომარეობა. პარალელურად, უკრაინა ამ ეტაპზე განიხილავს დსთ-ში დარჩენის საკითხს.

კიდევ ერთი დავალება, რომელიც უკრაინის ხელისუფლებამ გასცა, ყირიმიდან იმ მოქალაქეების ევაკუაციაა, რომლებსაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე ყოფნა არ სურთ.

ამ ბატალიების ფონზე ევროკომისიამ უკრაინისთვის მაკროფინანსური დახმარების სახით 1 მილიარდი ევროს გამოყოფა დაამტკიცა. კომისიამ აღნიშნა, რომ უკრაინა მძიმე ფინანსურ და ეკონომიკურ მდგომარეობაშია, რომელიც მკვეთრად უარესდება და საჭიროა საერთაშორისო ძალისხმევა უკრაინის დასახმარებლად, რათა შეიქმნას პირობები უკრაინის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციისთვის.

დაძაბული ვითარების გამო გაერო-ს გენერალური მდივანი ბან კი მუნი 21-22 მარტს უკრაინას ეწვევა. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო აგრესიაზე.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევი ქემერონი აუცილებლად მიიჩნევს რუსეთის „დიდი რვიანიდან“ გარიცხვის საკითხის განხილვას, თუ კრემლი უკრაინაში ვითარების დესტაბილიზაციას განახორციელებს. „ვფიქრობ, რომ ჩვენს მოკავშირეებთან და პარტნიორებთან ერთად უნდა განვიხილოთ საკითხი, გაირიცხოს თუ არა რუსეთი „დიდი რვიანიდან“, თუ იმავე მიმართულებით გაგრძელდება მოქმედებები“, – განაცხადა ქემერონმა და დასძინა, რომ ასევე დღის წესრიგში დგას მოსკოვისთვის ეკონომიკური სანქციების დაწესების საკითხი.

განცხადებას ავრცელებს ნატოს გენმდივანი რასმუსენიც. „რუსეთმა უგულებელყო ყველა მოწოდება, დაეხია უკან საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად და აგრძელებს სახიფათო გზაზე დაშვებას. რუსეთი აგრძელებს უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას, ასევე, საერთაშორისო ვალდებულებების უხეშ დარღვევას. ვერანაირი გამართლება ვერ ექნება რუსეთის ქმედებების ამ კურსს, რომელიც კიდევ უფრო გააღრმავებს რუსეთის საერთაშორისო იზოლაციას. ყირიმის ანექსია არაკანონიერი და არალეგიტიმურია და ნატო-ს მოკავშირეები მას არ აღიარებენ“, – განაცხადა ანდერს ფოგ რასმუსენმა.

გუშინვე უკრაინის ხელისუფლებამ ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური ვითარების გამო, კალათბურთში ევროპის 2015 წლის ჩემპიონატის მასპინძლობაზე ოფიციალური უარი განაცხადა.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# ვინ როგორ შეაფასა ბიძინა ივანიშვილის სატელევიზიო გამოსვლა

**გივი თარგამაძე,** დეპუტატი „ნაცმოძრაობიდან“:



„ბიძინა ივანიშვილი ცდილობს, მოქალაქის“ პოზიციიდან მართოს ხელისუფლება, მას არ აინტერესებს იმ ამომრჩევლების აზრი, რომლებმაც მარგველაშვილს დაუჭირეს მხარი... თავზეხელაღებული რუსი ოლიგარქი ქვეყნის მართვას ცდილობს... ერთი მხრივ ბერა ივანიშვილი ახერხებს იმას, რომ დატოვოს არა მხოლოდ ნასამართლევი და განთავისუფლებული გენერალური პროკურორი პროკურატურის მმართველად და „ჯირყვნის“ მთელ მედიასივრცეს, მეორე მხრივ უჩა მამაცაშვილი, ყოფილი პრემიერის საყვარელი დეიდაშვილი „ჯირყვნის“ ბიზნესსექტორს, თავად ყოფილი პრემიერ-მინისტრი კი აკრიტიკებს 62%-ით არჩეულ პრეზიდენტს და ასე ვთქვათ, არ აინტერესებს ამომრჩევლების აზრი. ეს არანორმალურია და მათ ურთიერთობა ერთმანეთში უნდა გაარკვიონ“.

**დავით სერგეენკო,** ჯანდაცვის მინისტრი:



„ეს იყო მართლაც უპრეცედენტო გამჭვირვალობა, რაც არის ღიად აზრის გამოთქმა და არანაირი ტაბუ და ბლოკი არ მოქმედებს. ბატონმა ბიძინამ გამოთქვა თავისი მოსაზრება, როგორც კერძო პირმა და საზოგადოების წარმომადგენელმა იმ კითხვაზე, რაც დაუსვეს და იმ ადამიანებზე, ვისზეც შეეკითხნენ. მე თვითონ ამ ფორმას, ღიად და გულწრფელად აზრების წარმოჩენას ყოველთვის მივესალმები. რაც შეეხება იმას, მე პირადად ვეთანხმები თუ არა მის პოზიციას, მე ვერ გამოვდგები რეფერად, რადგან არ მქონია საშუალება, რომ რაღაც განსაკუთრებულად აქტიური ურთიერთობა მქონოდა პრეზიდენტთან“.

**დავით დარჩიაშვილი,** დეპუტატი „ნაცმოძრაობიდან“:



„ახლა უცებ, ამ რამდენიმე თვის თავზე როცა იწყება ასეთი ტიპის კრიტიკა, უცნაურია. დიდი მადლობა ივანიშვილს გულახდილობისთვის, გავიგეთ საინტერესო დეტალი, რაც ადრე ჭორად ვიცოდით, რომ პრეზიდენტს უნდოდა, მაგრამ ვერ დაადო ვეტო იმ კანონპროექტს, რომელიც მოწმის დაკითხვის ახალი წესის გადავადებას ითვალისწინებდა. კანონის ამოქმედებას მხარს უჭერდა მთელი არასამთავრობო სექტორი, გარდა №1 მოქალაქისა. მთლიანობაში ივანიშვილის მთელი კრიტიკა იყო გამორჩეული არა პოლიტიკის მიმართ, რომელიც შეიძლება არ მოგეწონოს, არამედ ჭორაობასა და კულისებზე დაყრდნობილი - ვინ ვის რა უთხრა, როდის უთხრა, შენობას რას ეძახდა, რას არ ეძახდა... ეს კრიტიკა ხშირად გახასიათებთ ხოლმე თქვენც ჩვენს მიმართ“.

**აკაკი მინაშვილი,** დეპუტატი „ნაცმოძრაობიდან“:



„ჩვენ, ბუნებრივია, მარგველაშვილს არ ვიცავთ, ჩვენი პოზიცია მის მიმართ თქვენ ძალიან კარგად იცით, უბრალოდ ცალსახაა, რომ ბიძინა ივანიშვილის სიტყვას ფასი არ აქვს. ჩვენ გვახსოვს, როცა რამდენიმე თვის წინ ის ამბობდა, რომ მარგველაშვილი არის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ადამიანური რესურსი საქართველოში, მან მარგველაშვილი ქართველ ამომრჩეველს მოახვია, რამდენიმე თვის თავზე ის ამბობს, რომ ეს იყო მისი შეცდომა. რა გარანტია გვაქვს, რომ იგივეს არ იტყვის თქვენზე, ან ნარმანიაზე“.

**ზურაბ ტყემალაძე,** უმრავლესობის წევრი:



„პრეზიდენტის რეზიდენციასთან დაკავშირებით ვიზიარებ ივანიშვილის მოსაზრებას. ეს საკითხი არაერთხელ დასმულა პოლიტსაბჭოს სხდომაზე და პოზიციის შეცვლა ნამდვილად არასწორად მიმაჩნია... ვიზიარებ ყველა იმ მოსაზრებას, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა დააფიქსირა, რადგან პიროვნება არის ძალიან დადებითი და რასაც ფიქრობს, იმას აცხადებს. მიმაჩნია, რომ საგარეო მიმართულებით პრეზიდენტსაც, პარლამენტის თავმჯდომარესაც და პრემიერსაც ერთი პოზიცია უნდა ჰქონდეთ, რათა შეთანხმებული და კონსტრუქციული მუშაობა შედგეს“.

რეკლამა: 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. გერმანული ავტომობილი
2. ძვ. ბერძნული თიხის ჭურჭელი
3. დაბადების მოწმობა
4. მშობიარობის დამხმარე
5. ...-ქრისტიან ანდერსენი
6. მოცეკვავე ნინო ...
7. მტაცებელი თევზი
8. სერიალი „... ქალაქში“
9. კავშირი, გაერთიანება
10. კანცლერი ოტო ფონ ...
11. ... პუგაჩოვა
12. რადიოტალღების მიმღები ძელი
13. ცურვის სტილი
14. ვარამი
15. ძვ. სამედიც. წიგნი „... დავუდი“
16. დედამიწის აიროვანი გარსი
17. მიმართვა იაპონელი ქალისადმი
18. სისხლნაკლებობა
19. პომიდვრის სახეობა
20. მონათა აჯანყების მეთაური
21. შხამიანი გველი
22. სამხედრო წოდება
23. ყინვაგამძლე სითხე
24. თამბაქოს მოსაწევი მოწყობილ.
25. დონ კიხოტის ცხენი
26. სამეჯლისო ცეკვა
27. რუმინეთის დედაქალაქი
28. ავსტრალიის ბინადარი ცხოველი
29. მსახიობი რასელ ...
30. მონა. იბრძოდა რომის არენაზე
31. ფურცლის ერთი მხარე
32. ქალაქი ლატვიაში
33. მსახიობი დენიელ ...
34. სასროლეთი
35. მოგზაური ფრიტიოფ ...
36. „დათა თუთაშხია“ ანარქისტი ... ბუბუტეიშვილი
37. ტბა აშშ-ში
38. ყველიანი ბურგერი
39. მდინარე გერმანიაში
40. ტენორი ხოსე ...
41. ხის ჯიში
42. ნაკურთხი წყალი
43. ხერხემლის ძვალი
44. ბანკიდან აღებული სესხი
45. ციებცხელება
46. რუკების კრებული
47. ფირმა „...-პარი“
48. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა
49. მდინარე აფრიკაში
50. კუნძული. იდგა მსოფლიოს საოცრება-ალექსანდრიის შუქურა
51. ქალაქი ესტონეთში
52. ცვარი
53. ჰემინგუეი. „მშვიდობით, ...“
54. ბოსტნის „დაცვა“
55. მცენარე. ხდიან ტეკილას
56. თაღი
57. ტალახი
58. მდინარე გერმანიაში
59. მსახ. ... ზაქარიაძე
60. ნარკოტიკული ნივთიერება
61. იატაკის საცხი
62. ფსიქოლოგი ზიგმუნდ ...
63. ... ხაიამი
64. სოფლის ტრანსპორტი
65. მანქანის საყვირი
66. გორკი. „... ჩუდრა“
67. ... ძედუნი
68. უსინათლოთა ანბანი
69. სამკურნალო მცენარე
70. ზრდადაუსრულებელი ქათამი
71. სახელმწიფო აფრიკაში
72. მარჯნის კუნძული
73. მსახიობი ... ოლივიე
74. სამხედრო ფორმის შარვალი
75. მალამო
76. მდინარე პარიზში
77. შაბათ საღამო
78. ცხვრის ქონი
79. ტილ ულენშპიგელი და ... გუძაკი
80. მხ/ფ „... და კოტე“
81. ინტერნეტით პირდაპირ ყურება
82. ავტოსაგზაო შემთხვევა
83. გუთნის დეტალი
84. მომღერალი რაფაელა ...
85. ნორვეგიის დედაქალაქი
86. ჰავა
87. მზის ამოსვლა
88. დარტყმა კრივში
89. პატივმოყვარეობა
90. მომღერალი ... ვაიკულე
91. მწერალი ... დოდაშვილი
92. „წითელი“ პლანეტა
93. კურორტი ნარაგაულთან
94. მეიგავე ... კრილოვი
95. საერთო სალაპარაკოდ გამხდარი, ანუ ...
96. პატარა ფრინველი ქალაქში
97. ოსური ცეკვა
98. ამფიბია
99. ქალის სამოსი
100. მოკლე კაბა
101. მისი დედაქალაქია ტალინი
102. მსახიობი ჯეინ ...
103. იტალიური საჭმელი
104. მსახიობი მარინა ...
105. მობილურების ფირმა
106. დრამატურგი ჰენრიკ ...
107. იტალიელი ფერმწერი
108. ცელქი
109. ომის ღმერთი ბერძ.მით.
110. ცხიმოვანი სიმსივნე
111. სამართლიანობის ქალღმერთი
112. ღმერთი სკანდინ. მითებში
113. ნივთიერება თამბაქოში
114. ტატუ
115. იაპონური ავტომობილი
116. სამწლიანი ცხენების რბოლა
117. მსახიობი ... კრუზი
118. გაუშლელი ყვავილი
119. რეპტილია
120. ლითონი
121. „ნატვრის ხე“ კოლელიშვილი
122. მომღერალი ... ჯაგერი
123. „20000 ... წყალქვეშ“
124. რეჟისორი ჯეიმს ...
125. ... კუზანოვი
126. შოტლანდიური ნაგაზი
127. უფრთო ფრინველი
128. ქალაქი იტალიაში
129. ბალერინა ნინო ...
130. შვედური ხურდა ფული
131. ზამთრის თვე
132. დათვის ნაშიერი
133. ბრინჯაო
134. მსახიობი ... ბენინგი
135. მსახიობი ... ჰეჩი
136. ზაზა (ზუმბა) ...
137. კბილის დამცავი ფენა
138. ძვირფასი ქვა
139. შეძახილი თეატრში
140. მეკარე ... იაშინი
141. მშენებლის სახაზავი
142. მუსიკოსი ... გილელსი
143. მხ/ფ „ეშმაკი და ... მცნება“
144. ... დაიჭირავს სკივ-დილსა
145. ანწლი

პასუხები: 1. „მერსედესი“; 2. ამფორა; 3. მეტრიკა; 4. მეანი; 5. ჰანს; 6. რამიშვილი; 7. ბარაკუდა; 8. შუა; 9. ალიანსი; 10. ბისმარკი; 11. ალა; 12. ანტენა; 13. ბრასი; 14. დარდი; 15. იადიგარ; 16. ატმოსფერო; 17. ტიან; 18. ანემია; 19. ტომატი; 20. სპარტაკი; 21. ეფა; 22. მაიორი; 23. ანტიფრიზი; 24. ნარგილე; 25. როსინანტი; 26. რუმბა; 27. ბუქარესტი; 28. იხვნისკარტა; 29. კროუ; 30. გლადიატორი; 31. გვერდი; 32. იურმალა; 33. რედკლიფი; 34. ტირი; 35. ნანსენი; 36. ნიკიფორე; 37. მიჩიგანი; 38. ჩისბურგერი; 39. რაინი; 40. კარერასი; 41. ტირიფი; 42. აიაზმა; 43. მალა; 44. კრედიტი; 45. მალარია; 46. ატლასი; 47. ისი; 48. ტატამი; 49. ნილოსი; 50. ფაროსი; 51. ტარტუ; 52. ნამი; 53. იარაღო; 54. საფრთხობელა; 55. აგავა; 56. არკა; 57. ლაფი; 58. ელბა; 59. სერგო; 60. კოკაინი; 61. მასტიკა; 62. ფროიდი; 63. ომარ; 64. ურემი; 65. კლაქსონი; 66. მაკარ; 67. მაო; 68. ბრაილი; 69. ალოე; 70. ვარია; 71. ანგოლა; 72. ატოლი; 73. ლოურენს; 74. გალიფე; 75. სალბუნი; 76. სენა; 77. კვირაძალი; 78. დუმა; 79. ლამე; 80. ქეთო; 81. ონლაინი; 82. ავარია; 83. სახნისი; 84. კარა; 85. ოსლო; 86. კლიმატი; 87. აისი; 88. აპერკოტი; 89. ამბიცია; 90. ლაიმა; 91. სოლომონ; 92. მარსი; 93. ნუნისი; 94. ივანე; 95. ყბადაღებული; 96. ბელურა; 97. სიმდი; 98. ტრიტონი; 99. კაბა; 100. მინი; 101. ესტონეთი; 102. ბირკინი; 103. რავიოლი; 104. ვლადი; 105. „მოტოროლა“; 106. იბსენი; 107. ტინტორეტო; 108. ცეტი; 109. არესი; 110. თია; 111. თემიდა; 112. ლოკი; 113. ნიკოტინი; 114. სვირინგი; 115. „ნისანი“; 116. დერბი; 117. ტომ; 118. კოკორი; 119. კუ; 120. რკინა; 121. შეთე; 122. მიკ; 123. ლიე; 124. კამერონი; 125. ივა; 126. კოლი; 127. კივი; 128. ტურინი; 129. ანანიაშვილი; 130. ერე; 131. თებერვალი; 132. ბელი; 133. რვალი; 134. ანეტ; 135. ენ; 136. კორინთელი; 137. ემალი; 138. ლალი; 139. ბის; 140. ლევ; 141. გონიო; 142. ემილ; 143. ათი; 144. ვერ; 145. ავი. იკითხება: სოფი მარსო.

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# ყველაზე გავრცელებული მცდარი მოსაზრებები მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში

**ქვემოთ მოყვანილი ფაქტები, შესაძლოა, ბევრს დაუჯერებლადაც კი მოეჩვენოს, მაგრამ დაგვერწმუნეთ, სწორედ ასე ფიქრობდა მთელი მსოფლიო არცთუ ისე შორეულ წარსულში და ალბათ, დღეს რომ ის ადამიანები ცოცხლები იყვნენ, თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, უბრალოდ, ვერც კი დაიჯერებდნენ.**



მსოფლიოში პირველი კომპიუტერი

მოკლედ, ერთად გავიგოთ, როგორი წარმოდგენა ჰქონდათ გასულ საუკუნეში მოღვაწე მეცნიერებს:

– მომავალში, კომპიუტერის წონა 1,5 ტონას არ გადასცდება – 1949 წელი, ამერიკული ჟურნალი „პოპულარმექანიკსი“.

მსოფლიოში პირველი კომპიუტერი კაცობრიობამ 1946 წელს, ამერიკელი გამომგონებლების წყალობით იხილა. მისი წონა... 28 ტონა გახლდათ, იყენებდა 140 კილოვატ ენერგიას და მხოლოდ „კრაისლერის“ საავიაციო ძრავის დახმარებით გრილდებოდა.

– მანქანა ვერასოდეს შეძლებს ფრენას, რადგან ის ჰაერზე ბევრად მძიმეა, – ლორდ კელვინი, ბრიტანეთის სამეფო საზოგადოების პრეზიდენტი, 1895 წელი.

სხვათა შორის, სწორედ ამ პერიოდში შექმნა რუსმა გამომგონებელმა ალექსანდრე მოჟაისკიმ მსოფლიოში პირველი ნატურალური ზომების მქონე თვითმფრინავი, რომელმაც ადამიანის ზეცაში აყვანა შეძლო.



– ნავთობის მოსაძებნად მიწის ბურღვა?! თქვენ გინდათ თქვათ, რომ ნავთობის მოძიება მიწის გაბურღვით მოხერხდება?! ნამდვილად შეშლილი ხართ! – სწორედ ასეთი პასუხი მიიღო ამერიკელმა ედვინ დრეიკმა 1859 წელს სპეციალური კომისიისგან, რომელიც იმ დროისთვის ცნობილი მეცნიერებით იყო დაკომპლექტებული.

ნავთობის მოსაძიებლად პირველი ბურღი, თურმე, ჯერ კიდევ 1848 წელს კავკასიაში აუმოქმედებიათ, ამერიკელებმა კი ამ მხრივ წარმატებას 11 წლის შემდეგ, სწორედ 1859 წელს მიაღწიეს, როცა ედვინ დრეიკმა თავისი მაინც გაიტანა და ბურღვის დაწყების უფლება მიიღო.

– ვის რაში აინტერესებს მსახიობის ხმა?! მთავარია, გამოსახულება და როლის კარგად შესრულება, – ასეთი რეაქცია ჰქონია ცნობილი ამერიკული კინოკომპანია „უორნერ ბრაზერსის“ დამფუძნებელს ჰარი უორნერს გასული საუკუნის 20-იან წლებში, როცა მას კინემატოგრაფიაში ხმის გამოყენება შესთავაზეს. საბედნიეროდ, უორნერის დაყოლიება ადვილად მოხერხდა და უკვე 1926 წელს კომპანიამ პირველი საცდელი ხმოვანი ფილმები გამოუშვა, რასაც წარმოუდგენელი პოპულარობა მოჰყვა.

აღსანიშნავია, რომ ფირზე გამოსახულებისა და ხმის დადების მცდელობა უფრო ადრეც, კერძოდ 1899 და 1906 წლებშიც დაფიქსირდა, თუმცა დიდი შედეგების მიღება ვერ მოხერხდა. საერთო ჯამში, პირველი ხმოვანი ფილმი ამერიკაში 1924 წელს გამოჩნდა, „უორნერ ბრაზერსმა“ კი, როგორც უკვე გითხარით, ამ მხრივ, პირველი ნაბიჯები 1926 წელს გადადგა.

– ყველაფერი, რისი გამოგონებაც ადამიანს შეეძლო, უკვე სახეზე გვაქვს, – 1899 წელს გაკეთებული ეს განცხადება ჩარლზ დიუელს, ამერიკის პატენტების ბიუროს ხელმძღვანელს ეკუთვნის, რომელიც ძალიან მწარედ შეცდა.

– ისეთი მოწყობილობა, როგორიც ტელეფონია, კავშირის დამყარების მხრივ, ძალიან ბევრ ნაკლს ფლობს. ამდენად, ვფიქრობთ, რომ მას არავითარი ფასეულობა არ გააჩნია, – 1876 წელი, ამონარიდი კომპანია „ვესტერნ უნიონის“ მესვეურთა მსჯელობიდან.

– ამ მუსიკალურ კოლოფს არავითარი კომერციული დატვირთვა არ გააჩნია. აბა, ვინ შეიძლება გადაიხადოს თანხა ისეთ ინფორმაციაზე, რომელსაც კონკრეტული ადრესატი არ ეყოლება?! – 1920 წელი, ასოციაცია „დევიდ სარნოფის“ პარტნიორების პასუხი მის წინადადებაზე, რომ ინვესტიცია რადიოს შექმნისთვის განხორციელებულიყო.

– ვშიშობ, კომპიუტერის შეძენის მსურველებს მსოფლიო ბაზარზე ვერ მოვიძიებთ. ალბათ, ასეთ შენაძენს ხუთიოდე ადამიანი თუ გააკეთებს, – 1943 წელი, კომპანია „აი ბი ემ“-ის დირექტორი, თომას უოტსონი.

– კონცეფცია საინტერესოა და შესანიშნავადაა გაფორმებული, მაგრამ საეჭვოა, იდეამ იმუშაოს, – იელის უნივერსიტეტის პროფესორის კომენტარი ფრედ სმიტის შეთავაზებაზე, რომელიც ნივთების სახლში მიტანის სერვისს ეხებოდა. მოგვიანებით, ფრედ სმიტმა იდეის რეალიზება მაინც შეძლო და მილიარდებიც იშოვა.

– ვფიქრობ, 640-კილობაიტიანი მოცულობის მყარი დისკი ყველასთვის საკმარისი იქნება, – ბილ გეითსი, 1981 წელი.

ვინც კომპიუტერის თავისებურებებში ოდნავ მაინც ერკვევა, ცხადია, გეითსის ამ დაუფიქრებელ ფრაზაზე ბევრს იცინებს. ხოლო ვინც ვერ ერკვევა, ყველაზე გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, 640-კილობაიტიანი მყარი დისკი „ემპე 3“ ფორმატის ერთ მელოდიას, ან მობილური ტელეფონით გადაღებულ ხარისხიან ერთ ფოტოსაც ვერ დაიტევს.

– საერთოდ, არ მოგვწონს მისი ხმა და საერთოდ, გიტარა – ეს გუშინდელი დღეა, – იცით, ვისი მუსიკა დაიწუნეს ამგვარად კომპანია „დეკა რეკორდსის“ მესვეურებმა გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში? ლეგენდარული „ბითლზის“!

– მისი ხმით, შესაძლოა, მხოლოდ ორსული კატა შევაშინოთ, მაგრამ სხვა რა დატვირთვა და შედეგი უნდა ჰქონდეს მას, უბრალოდ, ვერაფრით ვხვდები, – 1915 წელი, გენერალი კიტჩერენი პირველი... ტანკის შეფასებისას.

– პროფესორი ჰოდარდი ვერ ხვდება კავშირს მოქმედებასა და რეაქციას შორის. მან არც კი იცის, რომ რეაქციისთვის აუცილებელია უფრო უკეთესი პირობები, ვიდრე ვაკუუმი. როგორც ჩანს, პროფესორს ის ელემენტარული ცოდნაც კი არ აქვს, რომელსაც ადამიანები საშუალო სკოლაში იღებენ, – 1921 წელი, „ნიუ იორკ თაიმსის“ გამხსნელი სტატია, რომელიც რაკეტის შექმნის საქმეში რობერტ



ჰოდარდის რევოლუციურ მუშაობას ეხებოდა.

რეალურად, სწორედ ეს ამერიკელი მეცნიერი გახლავთ რაკეტების შექმნის ერთ-ერთი პიონერი.

*factroom.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## მცენარეებს მწერების სუნის შეგრძნება შეუძლიათ



არ გვეგონა, ნეხვის ხოჭოს გარდა, თუ სხვა მწერსაც ექნებოდა სუნი...

ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მცენარეები მავნებლებს მათი სუნის მიხედვით გრძნობენ. კერძოდ, მცენარე, სახელწოდებით სოლიდაგო ალტისიმა ეუროსტა სოლიდაგინისის სახეობის ბუზის ფერომონებს შეიგრძნობს.

ეს მწერი მცენარეს იმით ვნებს, რომ მის ღეროზე კვერცხებს დებს. გარდა ამისა, ღეროს კვერცხსადებით ჟღენთს, რაც მართალია, მცენარეს არ კლავს, მაგრამ მაინც საკმაოდ დიდ ზიანს აყენებს.

როგორც აღმოჩნდა, როცა მცენარე ბუზის ფერომონებს იგრძნობს, „დაცვით პროგრამას“ რთავს და განსაკუთრებულ არომატს გამოყოფს, რომელიც თავად მწერების იდენტურია. ამით მწერი ტყუვდება და ცდილობს, მსგავს მცენარეებზე კვერცხი აღარ დადოს.

ეს არის პირველი შემთხვევა, როცა მეცნიერულად დამტკიცდა, რომ მცენარეებს ცხოველების ქიმიური სიგნალების ამოცნობა შეუძლიათ.

*novostiua.net*

## ქმრის არსებობა დაავიწყდა და... გათხოვდა



პირდაპირ, განსაცვიფრებელი შემთხვევა მოხდა ამ ცოტა ხნის წინ აფრიკის ერთ-ერთ პატარა სახელმწიფოში, სადაც უპასუხისმგებლო ნორვეგიელმა ქალმა საკმაოდ სულელური ნაბიჯი გადადგა – მას დაავიწყდა, რომ ქმარი ჰყავდა და უღლის დადგმა ახალ რჩეულთან დააპირა, თუმცა პოლიციამ მოასწრო და შეახსენა, რომ გარკვეული ვალდებულებები სხვა მამაკაცს აკავშირებდა.

ბევრი ვარაუდობს, რომ 36 წლის ნორვეგიელმა ქალმა ასეთი ნაბიჯი სიყვარულისგან დაბრმავებულმა გადადგა, თუმცა ჩვენს აზრსაც თუ იკითხავენ, ვეტყვით, რომ რაღაც ეჭვი გვეპარება, ზრდასრულ ადამიანს ისეთი მნიშვნელოვანი რამ გამორჩეს და დაავიწყდეს, რასაც მეუღლე ჰქვია. ასეა თუ ისე, ამ დროისთვის ჭკუაგაფანტული ნორვეგიელი წინასწარი პატიმრობის საკანშია მოთავსებული – მას ბრალად ორქმრიანობა ედება, რაც იქაური კანონებით აკრძალული ყოფილა.

*etotupo.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



– აი, ვერ გამიგია, რატომ ეშინიათ კაცებს ქალების? მაინც, რა შეუძლია, რომ ქალმა დაგმართოს? ჰა, განწყობა გაგიფუჭოს, ნუ კარგი, ცხოვრება დაგინგრიოს... ეს არის და ეს!..

*****

– მათ, ვინც ამბობს, რომ ღამით ჭამა არ შეიძლება, იქნებ ამიხსნან, რისთვის აქვს მაცივარს ნათურა?!

*****

კოტე ავტოსალონში შევიდა:

– ეს „ბენტლი“ რა ღირს?

– 250 ათასი ევრო.

– ეეჰ!.. და ერთწლიანი კრედიტით რომ ავიღო?

– თვეში 25 ათასი ევრო.

– ვაი მე!.. და ორწლიანი კრედიტით?

– მაშინ თვეში – 12 ათას 500 ევრო...

– მოდი, სამწლიანიც მითხარით.

– იქნებ სჯობდეს, უფრო იაფფასიანი ავტომობილი შეარჩიოთ?

– კი, სჯობია, მაგრამ ჩემი სატვირთოდან აგურები სწორედ „ბენტლის“ დაეყარა...

*****



10 საათი აკეთებდა ექიმი აიბოლიტი ურთულეს მიკროქირურგიულ ოპერაციას. ბოლოს შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და:

– მორჩა! მიდი, იფრინე, ჩემო პატარა კოღუნია და შეეცადე, ციცქნა ფრთები აღარ მოიტეხო!

ერთი წუთის შემდეგ ექიმმა აიბოლიტმა ლოყაზე სილა იტკიცა და გამწარებულმა წამოიძახა:

– უხ, შე უმადურო არამზადავ!..

*****

– როგორც იქნა, გავარკვიე, რატომ ვარ ასეთი დაუდევარი და რატომ ვიქცევი ყოველწამს!

– რატომ?

– რატომ და იმიტომ, რომ ფეხებზე 10 თითი მაქვს!

– ჰო, მაგრამ ფეხებზე ყველას 10 თითი აქვს.

– მართლა? 7 ერთზე და 3 მეორეზე?!

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები***

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## მოკლე გზის ძებნაში ვეფხვის გალიაში აღმოჩნდა და...



დიდი სიბრძნე დევს ქართულ ანდაზებსა და ფრთიან გამოთქმებში, მაგრამ ვაი, რომ მათ შესახებ ჩინელებმა არაფერი იციან, თორემ უზარმაზარი ვეფხვის მსხვერპლს, 20 წლის ჩინელს ყურმოკვრით მაინც რომ გაეგონა „შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო“, ახლა სუდარაში გახვეული კი არ იწვებოდა...

თურმე, პეკინში მცხოვრები რამდენიმე ახალგაზრდა ჩინეთის დიდი კედლის დასათვალიერებლად გამგზავრებულა და ნაქირავებ სახლში მალევე რომ დაბრუნებულიყო, მოკლე გზის ძიება დაუწყია.

ჰოდა, ერთ-ერთი მათგანი რამდენიმე ღობეზე გადახტომის შემდეგ მესამე ნახტომისას პირდაპირ ადგილობრივი ზოოპარკის იმ ვოლიერში ჩამხტარა, რომელშიც უზარმაზარი ვეფხვი ბინადრობდა.

როგორც ტრაგიკული შემთხვევის მსხვერპლის მეგობრები ყვებიან, მათი თანამგზავრი მორიგ კედელზე აძვრა და როდესაც მიწაზე დახტომის ხმა შემოესმათ, რამდენიმე წამში მისი განწირული ყვირილი და ვეფხვის გააფთრებული ღრიალიც გაიგეს.

სამწუხაროდ, გაავებულმა ცხოველმა ახალგაზრდა ჩინელი ნაფლეთებად აქცია და ამ საქმეში მას კიდევ შვიდი ვეფხვი დაეხმარა.

*tainamira.ru*

## სუიციდის 50 წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, ამერიკელს ოკეანესთან მიახლოებაც კი აეკრძალა



წარმოიდგინეთ, როგორ არ უნდა უყვარდეს ადამიანს საკუთარი თავი, რომ თვითმკვლელობა 50-ჯერ სცადოს...

დეპრესიაში ჩავარდნილმა 36 წლის ემი ბეტ დელამურემ ოკეანაში თავის დახრჩობა, არც მეტი, არც ნაკლები, 50-ჯერ სცადა, თუმცა, საბედნიეროდ, მაშველებმა სუიციდის ყველა ფაქტის აღკვეთა მოასწრეს. როგორც კი ემი ოკეანის ნაპირებთან ჩნდებოდა, მაშინვე განგაშს ტეხდნენ, რადგან შესანიშნავად იცოდნენ, რაც მოხდებოდა.

საბოლოო ჯამში, ამერიკელ მაშველებს მობეზრდათ მუდმივად ერთი და იგივე ადამიანის დევნა და მის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანეს:

– ან სხვა გზით მოიკლას თავი, ან ჩვენ შეგვეშვასო...

დიდხანს არ უმსჯელია სასამართლოს და გადაუწყვეტია, რომ ემი ბეტ დელამურმა იძულებითი მკურნალობა უნდა გაიაროს, თუმცა, ამ პროცესის წარმატებულად დასრულების შემთხვევაშიც კი მას ოკეანესთან მხოლოდ 300 მეტრით მიახლოებაღა შეეძლება, წინააღმდეგ შემთხვევაში ამერიკელს ხანგრძლივ პატიმრობას მიუსჯიან.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*aif.ru*

**ვაკანსიები!!!**

გაზეთი ალია

სამუშაოდ იწვევს სააგენტოების ინფორმაციებზე მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტს. ანაზღაურება 800 ლარი.

ასევე, გამოცდილ ჟურნალისტებს.

ტელეფონი: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

20 მარტი: დღეს საკმაოდ ენერგიული იქნებით. ყველაფერი იღონეთ, რომ ის დღის პირველ ნახევარში დახარჯოთ, თორემ ღამე დაძინება გაგიჭირდებათ.

**კურო 22.04-21.05**

**20 მარტი:** გადადეთ ნებისმიერი საქმე, თუ გრძნობთ, რომ გულით ვერ უდგებით. დღეს ერთდროულად რამდენიმე საქმეზე კონცენტრირებას ვერ მოახერხებთ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**20 მარტი:** საერთოდ, ყოყმანი არ გახასიათებთ, მაგრამ დღეს სწორედ ეს თვისება დაგეუფლებათ. შეიძლება რომელიღაც საქმეების გადადება მოგიწიოთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**20 მარტი:** დღეს ერთი, დიდი ხნის დავიწყებული პრობლემა თავს შეგახსენებთ. არ დაიზაროთ და ერთხელ და სამუდამოდ მოიშორეთ ეს თავის ტკივილი.

**ლომი 23.07-22.08**

**20 მარტი:** შეიძლება დღეს მოხდეს ის, რასაც ვერც კი წარმოიდგენდით. მოსალხენად გექნებათ საქმე, თუ სადარდებლად, მოგვიანებით გაიგებთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**20 მარტი:** თუ თავს გარემოებათა მსხვერპლად მიიჩნევთ, კარგად დაფიქრდით, ღირს თუ არა, რომ ეს მუდმივ სადარდებლად აქციოთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**20 მარტი:** ყველას არ მოსწონს თქვენი მოქმედებების მანერა. თუ ასევე გსურთ გაგრძელება, კრიტიკოსები მოგიმრავლდებიან.

**მორიელი 23.10-21.11**

**20 მარტი:** შეეცადეთ, საკუთარ თავს მაქსიმალური დრო დაუთმოთ, გაერთეთ და იმხიარულეთ ისე, რომ ხვალ სანანებელი არაფერი გქონდეთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**20 მარტი:** ძალიან ყურადღებით მოისმინეთ, რას გეტყვიან დღეს, მაგრამ მხოლოდ ნათქვამი სიტყვების არსით არ შემოიფარგლოთ. ბევრ რამეს მიმიკითა და ინტონაციით შეიტყობთ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**20 მარტი:** როგორც ჩანს, სწორი არჩევანი გააკეთეთ, მაგრამ ამას ვერ შეიტყობთ მანამ, სანამ არჩეული მიმართულებით არ დაიწყებთ სვლას. გადაწყვიტეთ.

**მერწყული 20.01-18.02**

**20 მარტი:** შეიძლება დღეს სადმე გამგზავრება მოგინდეთ. თუ ამის საშუალება არ გაქვთ, ახლომახლო გაისეირნეთ, გულს მაინც გადააყოლებთ.

**თევზები 19.02-20.03**

20 მარტი: ეს დღე ნამდვილი გამოცდა იქნება თქვენთვის. შეიძლება ერთდროულად ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო და ერთნაირად ძლიერი გრძნობების გადატანა მოგიწიოთ.

## საუკეთესო ადგილი მამაკაცების დასვენებისთვის



ზოგჯერ ძალიან სჭირდება ხოლმე ადამიანს, ისეთ ადგილზე დაისვენოს, სადაც ნაცნობს მხოლოდ სარკეში ჩახედვისას დაინახავს და ისიც საკუთარი თავი იქნება.

სამწუხაროდ, მშვენიერი სქესი „დაიჩაგრა“ და მათ ვერ ვეტყვით, სად ღირს მარტო წასვლა და დასვენება, თუმცა მამაკაცებს კი გავახარებთ და ამ საკითხს ახლავე მოვუგვარებთ.

როგორც ირკვევა, დასავლელმა ჟურნალისტებმა 29 ქალაქის რეიტინგი შეადგინეს, სად უნდა წავიდნენ წელს ძლიერი სქესის წარმომადგენლები.

აღმოჩნდა, რომ ღამის ცხოვრების მოყვარულთათვის ნამდვილი მისწრებაა თელ-ავივი.

აღნიშნულმა ქალაქმა რეიტინგში უმაღლესი შეფასება – 10 ქულა დაიმსახურა კატეგორიაში „ღამის ცხოვრება მამაკაცებისთვის“.

უნდა ითქვას ისიც, რომ საერთო რეიტინგში თელ-ავივი მე-13 ადგილზეა დასახელებული 78,4 ქულით კარგი ამინდებისთვის, ლამაზი ქალებისთვის, ხარისხიანი საკვებისთვის, სასტუმროების დონისთვის და ასე შემდეგ.

აი, საერთო რეიტინგში კი პირველი ადგილი ბარსელონას ხვდა წილად, რომელმაც 85,1 ქულა მიიღო. მას მოსდევს ბუენოს-აირესი (84,8), მესამეზე კი მაიამი დასახელდა (84,2).

ასევე, მამაკაცების ყველაზე სასურველი ქალაქების რეიტინგის ათეულში შევიდა: ნიუ-იორკი, გამარჯვებული კატეგორიაში – საუკეთესო საკვები, ლონდონი (საუკეთესო საკვები და ისტორია), სეული (გართობა), პარიზი (საკვები და ისტორია), მელბურნი, ბანგკოკი და ლას-ვეგასი.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*top.rbc.ru*



მამას შვილი ტუალეტში შეჰყავს და ჭკუას არიგებს:

– ადამიანზე თავისუფლად შეიძლება იმსჯელო იმის მიხედვით, რას კითხულობს ის ტუალეტში. აი, მაგალითად, მე მიყვარს „ომი და მშვიდობა“, დედაშენს – „თამაში ქვავის ყანაში“, ბაბუაშენს – „წითელი და შავი“, შენ კი რაღაც იაფფასიან ანეკდოტებს კითხულობ. რას ნიშნავს ეს?!

– რას ნიშნავს, მამიკო და იმას, რომ კუჭში შეკრულობას უნდა უმკურნალო და არა იამაყო ამით!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია ≫ 211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი

(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე

(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაძუაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური ☎ 2-333-170

577-444-442

მიხეილ სახვაძე

21 21 80 ან 233 20 06 (შიდა ნომერი 108)

E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.55